



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ქართულ-თურქული მულტიდისციპლინარული
სამეცნიერო კონფერენცია**

3-4 ოქტომბერი, 2013, გორი, საქართველო

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

**Georgian-Turkish Multidisciplinary
Scientific Conference**

October 3-4, 2013, Gori, Georgia



2014

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს გორის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2013 წლის 3-4 ოქტომბერს ჩატარებულ ქართულ-თურქულ მულტიდისციპლინარულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

The Collection covers the scientific works presented at Georgian-Turkish Multidisciplinary Scientific Conference at Gori State Teaching University held on October 3-4, 2013.

საორგანიზაციო კოლეგია:

- გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი (კოლეგიის თავმჯდომარე)
- შევქეთ ერჯან თუნჩი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
- არიფ იილმაზი, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
- სულეიმან ბაიკალი, კარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
- შერიფ ალი ტეკალანი, ფატიჰის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
- ილიას ჩაპოღლუ, ერზინკანის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
- მალხაზ (სოსო) ვახტანგაშვილი, გორის მაჟორიტარი დეპუტატი
- დავით რაზმაძე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
- პაპუნა კობერიძე, გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი

UDC (უაკ) 001(479.22:560)(063)

ქ-279

ISBN 978-9941-0-6763-1

საორგანიზაციო კომიტეტი:

- **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი (კომიტეტის თავმჯდომარე)
- **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი
- **ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი
- **ქეთევან ბარბაქაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი
- **დავით ჩოჩიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი
- **ნუგზარ აბრამიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
- **ანა იმნაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უფროსი
- **რეზიან მექვაბიძე**, სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საერთაშორისო ოფისის ხელმძღვანელი
- **გიორგი ყაზიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამეცნიერო მიმართულებების მთავარი სპეციალისტი

სარედაქციო კომისია:

- **ელდარ მამისთვალიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი
- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი
- **ზურაბ ჩხიკვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი
- **თეა ხორგუაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი
- **ივანე ბალახაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი
- **ზურაბ ტიელიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი
- **ჯემალ ქირია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი
- **ნელი ჭამპურიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და მეთოდის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი
- **მარიკა შერაზადიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, პროფესორი

ORGANIZATIONAL BOARD:

- **Giorgi Sosiashvili**, Rector of Gori State Teaching University, Professor (Head of Organizational Board)
- **evket Ercan TUNÇ**, Rector of International Black Sea University, Professor
- **Arif YILMAZ**, Rector of Recep Tayyip Erdoğan University, Professor
- **Süleyman BAYKAL**, Rector of Karadeniz Technical University, Professor
- **erif Ali TEKALAN**, Rector of Fatih University, Professor
- **Iyas ÇAPO LU**, Rector of Erzincan University, Professor
- **Malkhaz (Soso) Vakhtangashvili**, Gori Majoritarian Deputy
- **David Razmadze**, Chairman of Gori Municipality Council
- **Papuna Koberidze**, Head of Gori Municipality

ORGANIZATIONAL COMMITTEE:

- **Aleksandre Mghebrishvili**, Deputy Rector of Gori State Teaching University, Professor (Head of Committee)
- **Giorgi Khorbaladze**, Head of Administration of Gori State Teaching University
- **Levan Midodashvili**, Head of Quality Assurance Service of Gori State Teaching University, Professor
- **Ketevan Barbakadze**, Dean of Department of Humanities of Gori State Teaching University, Associate Professor
- **David Chochishvili**, Dean of Department of Education, Exact and Natural Sciences of Gori State Teaching University, Associate Professor
- **Nugzar Abramishvili**, Dean of Department of Social Sciences, Business and Law of Gori State Teaching University
- **Ana Imnadze**, Head of Strategic Development, International and Public Relations Service of Gori State Teaching University
- **Ruizan Mekvabidze**, Head of International Office of Strategic Development, International and Public Relations Service
- **Giorgi Kazishvili**, Chief Specialist of Scientific Direction of Quality Assurance Service of Gori State Teaching University

EDITORIAL COMMISSION:

- **Eldar Mamistvalishvili**, Head of the Educational Scientific Centre of History and Archaeology of Gori State Teaching University, Professor
- **Vianor Akhalaia**, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature of Gori State Teaching University, Professor
- **Zurab Chkhikvadze**, Head of Foreign Language Faculty of Gori State Teaching University, Professor
- **Tea Khorguashvili**, Head of Business Administration Faculty of Gori State Teaching University, Professor
- **Ivane Balakhashvili**, Head of Practical Law Clinic and Faculty of Social Sciences of Gori State Teaching University
- **Zurab Tielidze**, Head of Faculty of Natural Sciences of Gori State Teaching University, Professor
- **Jemal Kiria**, Head of Faculty of Information Technologies and Mathematics of Gori State Teaching University, Professor
- **Neli Champuridze**, Head of Faculty of Pedagogics and Methodology of Gori State Teaching University, Professor
- **Marika Sherazadishvili**, Specialist of Quality Assurance Service of the Department of Social Sciences, Business and Law of Gori State Teaching University, Professor

შინაარსი

იოსებ ალიმზარაშვილი – თურქი გენერალი ქართველი ემიგრანტის თვალთ (ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან XIX საუკუნეში) -----	7
გიორგი ბაღათურია, ლევან წიქარიძე – თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის საკვანძო ეტაპები - მაგალითი საქართველოსთვის -----	11
თამარ გოგოლაძე – ჯალალ-ედ-დინ რუმი - პერსონაჟი - ქართველი და თურქი მწერლის რომანებში ---	14
სევენ ერდოღანი – საქართველო-თურქეთის ურთიერთობები ცივი ომის შემდგომ პერიოდში -----	17
ნუგზარ ზოსიძე – საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ისტორიიდან 1917-1918 წლებში -----	21
მარიამ კობერიძე – ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობები დიმიტრი ბაქრაძის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“-----	25
ემზარ მაკარაძე – თურქეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა 2002 – 2011 წლებში -----	29
ელდარ მამისტვალიშვილი – „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ზოგიერთი ებრაული დასახლების შესახებ -----	32
ნიკოლოზ ოთინაშვილი – ონომასტიკური მასალები ლიახვის ხეობიდან თურქული აღწერის მიხედვით	36
ტატიანა პაპიაშვილი, ილიას ჩილოღლუ – თურქული გამოცდილების გაზიარება - მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის პოლიტიკა -----	38
რუსუდან სალინაძე, ჰარუნ ჩიმქე – ზეპირი კომუნიკაციის ასპექტები ქართულსა და თურქულში -----	43
გიორგი სოსიაშვილი – ახალგორი „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით -----	47
ვაჟა ჩოჩია – 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ქართული ტერიტორიების საკითხი -----	54
მარინე ცერცვაძე – თურქეთი და სტამბოლი ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მკვლევართა ნაშრომებში -----	58
ოთარ ჯანელიძე - საქართველო-თურქეთის თანამედროვე ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი ასპექტი	62

CONTENTS

Ioseb Alimbarashvili – <i>THE GEORGIAN IMMIGRANT’S OPINION ABOUT TURKISH GENERAL (FROM THE HISTORY OF THE NATIONAL LIBERATION STRUGGLE OF NORTH - CAUCASIAN PEOPLES IN THE 19TH CENTURY)</i> -----	7
Giorgi Baghaturia, Levan Tsikaridze – <i>TURNING POINTS OF GOVERNING OF REPUBLIC OF TURKEY–EXAMPLE FOR GEORGIA</i> -----	11
Tamar Gogoladze – <i>JALAL-ED-DIN RUMI - A CHARACTER-IN THE NOVELS OF GEORGIAN AND TURKISH WRITERS</i> -----	14
Seven Erdogan – <i>TURKEY-GEORGIA RELATIONS IN THE AFTERMATH OF COLD WAR</i> -----	17
Nugzar Zosidze – <i>FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN-TURKISH RELATIONS IN 1917-1918</i> -----	21
Mariam Koberidze – <i>GEORGIAN-TURKISH LANGUAGE RELATIONSHIPS IN THE DIMITRI BAKRADZE’S BOOK “ARCHEOLOGICAL JOURNEY IN GURIA AND ADJARA”</i> -----	25
Emzar Makaradze – <i>THE INNER POLICY OF TURKISH REPUBLIC IN 2002-2011</i> -----	29
Eldar Mamistvalishvili – <i>“TBILISI VILAYET GREAT BOOK OF 1728” ABOUT SOME JEWISH SETTLEMENTS</i> -----	32
Nikoloz Otinashvili – <i>ONOMASTIC MATERIALS FROM LIAKHVI GORGE ACCORDING TO THE TURKISH RECORDS</i> -----	36
Tatiana Papiashvili, Ilyas Ciloglu – <i>LEARNING TURKISH EXPERIENCE ON SME - SPECIFIC POLICIES</i> -----	38
Rusudan Saghinadze, Harun Chimke – <i>ASPECTS OF ORAL COMMUNICATION IN GEORGIAN AND TURKISH LANGUAGES</i> -----	43
Giorgi Sosiashvili – <i>AKHALGORI ACCORDING TO “THE GREAT BOOK OF TBILISI VILAYET, 1728”</i> -----	47
Vazha Chochia – <i>RUSSIAN-TURKISH WAR OF 1877-1878 YEARS AND THE ISSUE OF GEORGIAN TERRITORIES</i> -----	54
Marine Tsertsvadze – <i>TURKEY AND ISTANBUL IN THE RESEARCHERS’ WORKS ON THE GEORGIAN EMIGRANT LITERATURE</i> -----	58
Otar Janelidze – <i>CERTAIN ASPECTS OF MODERN GEORGIAN-TURKISH RELATIONS</i> -----	62

**თურქი გენერალი ქართველი ემიგრანტის თვალთ
(ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის
ისტორიიდან XIX საუკუნეში)**

**იოსებ (სოსო) ალიმზარაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესორი**

რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ XIX საუკუნეში არაერთი სახელოვანი პიროვნება წარმოაჩინა. ერთ-ერთი მათგანია მუსა-ფაშა კუნდუხოვი, რომელმაც, მიიღო რა თავისი დროის შესაფერისი განათლება, ჯერ რუსეთის არმიის გენერალი გახდა, შემდეგ რუსების ნამოქმედარისადმი პროტესტის ნიშნად თავის თანამომხებთან ერთად თურქეთის მხარეს გადავიდა, სულთნის ქვეშევრდომობა და ლიგ-ფაშას (ბრიგადის გენერალი) თანამდებობა მიიღო, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა და ემიგრაციაშივე გარდაიცვალა.

თუმცა, მუსა კუნდუხოვის შესახებ არის სხვა მოსაზრებაც. თითქოს ჩეჩნების თურქეთში გადასახლება კუნდუხოვმა რუსეთის ინიციატივით განახორციელა გენერალ ლორის-მელიქოვის დაავალებით და იგი ამ შემთხვევაში ჩეჩნებისათვის რუსების „ტროას ცხენი“ იყო. მან დაარწმუნა ჩეჩნები, რომ სამშობლოში დარჩენას ალტერნატივა არ ჰქონდა. ან უნდა გადასახლებულიყვნენ მცირე ყაზარდოში, ხოლო მათგან გათავისუფლებულ მიწებზე იგეგმებოდა კაზაკების ჩასახლება, ამ შემთხვევაში ისინი საკუთარ მიწაზე უცხოელებად იქცეოდნენ, მეორე შესაძლებლობა რუსების წინააღმდეგ აჯანყება და უთანასწორო ბრძოლაში დაღუპვა იყო, ან - გადასახლება თურქეთში. თითქოს კუნდუხოვმა ამ პაქტის სანაცვლოდ რუსებისგან 2800 ჰექტარი მიწა ოსეთში და 45 ათასი ვერცხლის რუბლი მიიღო (**აიდამიროვი, 1996; Айдамиров, 1996:24-26; 112-114; 124**).

ზემოაღნიშნული მოსაზრების ავტორი აბუზარ აიდამიროვი კუნდუხოვს ადანაშაულებს იმაში, თითქოს იგი ჩეჩნებს მოუწოდებდა ყოველგვარი ძალადობის, აჯანყებისა და ომის წინააღმდეგ, ერთიანობის, ხელისუფლებისადმი მორჩილებისა და მოთმენისაკენ. ამტკიცებდა, რომ მშვიდობა და კეთილდღეობა არ შეიძლებოდა სისხლისღვრითა და ომით დამყარებულიყო. მისი მოტანა მხოლოდ ყოვლისშემძლე ალაჰის უზენაესი ნება იყო და მას უნდა მინდობოდნენ (**Айдамиров, 1996:3-4**).

თუმცა, ჩვენ კუნდუხოვის ცხოვრების აღწერისას ვეყრდნობით იმ მემუარებს, რომელიც პარიზში, გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა 1936-37 წლებში და ცნობილი ქართველი პოლიტიკური ემიგრანტის - ზურაბ ავალიშვილის მოსაზრებებსა და შეფასებებს თურქი გენერლის შესახებ. ვინ-ვინ და ავალიშვილი ყველაზე უკეთ გრძნობდა იმ ნოსტალგიას, რაც სამშობლოდან იძულებით გადახვეწით იყო გამოწვეული. მისი ცხოვრებაც ხომ ისეთივე ტრაგიკული იყო, როგორც კუნდუხოვის. ავალიშვილმა ცხოვრების 23 წელი იძულებით პოლიტიკურ ემიგრაციაში გაატარა.

მუსა-ფაშა კუნდუხოვი წარმოშობით თავაურელ ალაღართა თემიდან იყო. სანამ რუსები კავკასიას დაიპყრობდნენ, თავაურელი ალაღარების ოსური თემი ცხოვრობდა მდინარეებს – თერგსა და ფიაგდონს შორის ტერიტორიაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თავაურელი ოსები საუკუნეების განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი გვიანფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათ დარიალის გზის დაცვა ევალებოდათ ჩრდილოეთიდან მომხდურთაგან შესაკავებლად და ამისათვის ქართველი მეფეებისაგან ჯამაგირსაც იღებდნენ. მაგ. როდესაც 1752 წელს ერეკლე II-ს აჯი ჩალაბის წინააღმდეგ სხვებთან ერთად თავაურებისთვისაც მოუხმია, მათ ქართლ-კახეთის მეფისათვის შემოუთვლიათ: „რაც უწინ ჩვენს ნათესავს ქართველი მეფისაგან ჯამაგირი გვექონდაო, ის გაგვიჩინოსო“ (**ორბელიანი, 1981:199**). 1804 წლის 18 სექტემბრის¹ ერთი საბუთით, მთიულეთის ცნობილი აჯანყების დროს, თავაურებს დარიალის გადმოსასვლელი უნდა შეეკრათ და რუსები სამხრეთით აღარ გამოეშვათ (**თაყაიშვილი, I, 1991:146-147**). ასევე თავაურებს მოუწოდებდნენ მხარდაჭერისათვის ქართველი ბატონიშვილები 1812 წლის აჯანყების დროს (**საქართველოს, IV, 1973:922; , V, 1873:373; 516**). თავაურები ხშირად

¹ საბუთი, რომლის შესახებაც ზემოთაა საუბარი, გამოქვეყნებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილს „ოსებისადმი ბომბეული ექვსი სიგელის“ სახით და ნუმერაციით მეოთხეა. საბუთის სათაური შემდეგი ფორმულირებითაა: „გიორგი მეფის ძის ფარნავაზის წერილი ქურთაულებისადმი მიწერილი 1800 წელს, სექტემბრის 18“. თუმცა, თვით საბუთში მოტანილი ქორონიკონი „უჟბ“ უდრის 1804 წელს და მთიულეთის ზემოხსენებული აჯანყებაც 1804 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე მიმდინარეობდა. ჩვენც ხსენებულ საბუთს 1804 წლით ვათარილებთ.

დაიარებოდნენ ქართლ-კახეთის მეფის კარზე და ერეკლესგან საკუთარი მემანდარიც („სტუმართა მოურავი“) ჰყავდათ მიჩენილი. 1791 წლის 13 ოქტომბერს მეფის კარზე სტუმრად მისული თავაჯურების მემანდარად ანდრია გაბაშვილი ინიშნება (ერეკლე II-ს მიერ გაცემული საბუთები, 2008:184; №882).

მუსა-ფაშა კუნდუხოვი დაიბადა 1818 წელს, იმ დროს, როდესაც რუსეთი, საქართველოს დიდი ნაწილის დაპყრობის შემდეგ, ჩრდილო-კავკასიის დაპყრობისათვისაც ემზადებოდა.

კავკასიის დაპყრობის ერთ-ერთი მეთოდი კავკასიელებში რუსეთის, როგორც „განმანათლებლის“ ფუნქცია იყო. იგი გულისხმობდა გავლენიან ჩრდილო-კავკასიელ ოჯახთა შვილების მოსკოვის, პეტერბურგის და სხვ. ცნობილ კადეტთა სასწავლებლებში გაგზავნას და იქ სამხედრო განათლების მიღებას.

სპეციალური აგენტები მოლაპარაკებებითა თუ დაშინებით აიძულებდნენ ხსენებულ ოჯახებს, გაეგზავნათ თავიანთი ვაჟები სამხედრო სასწავლებლებში, სადაც ისინი წარმოადგენდნენ რუსული ხელისუფლების ფაქტიურ მძევლებს. მათთვის დაწესებული იყო სპეციალური რეჟიმი, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სამხედრო ტყვეებისაგან. დესპოტი და უვიცი ფელდბეფელების¹ სასტიკი ქმედებების შედეგად, სამხედრო სკოლების დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა უმეტესობისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელი იყო რუსეთისა და რუსებისადმი სიძულვილი.

ასეთ სამხედრო სკოლაში, პეტერბურგის პავლოვის კორპუსში გააგზავნეს 12 წლის მუსა კუნდუხოვი 1830 წელს, რომელიც 6 წლის შემდეგ დაამთავრა კავალერიის ოფიცრის ჩინით.

ერთი წლის შემდეგ, 1837 წელს მუსა კუნდუხოვი თარჯიმნად მოსდევს იმპერატორ ნიკოლოზ I-ს კავკასიაში.

აქედან იწყება მისი ბრწყინვალე სამხედრო კარიერა – უმცროსი ოფიცრიდან გენერლის ჩინამდე.

კუნდუხოვის რუსულ არმიაში სამსახური დაემთხვა იმპერიის ომს მის სამშობლოსთან შამილის მეთაურობით.

ამ დროისათვის რუსეთმა უკვე „რკინის რკალი“ შემოარტყა კავკასიას და ყველა კავკასიელის წინაშე სიკვდილ-სიცოცხლის დილემა დადგა, ამიტომ სულ უფრო და უფრო მეტი მებრძოლი მიდიოდა შამილის დროშის ქვეშ.

ამ მომენტში მუსა კუნდუხოვი მძიმე სულიერ დრამატიზმს განიცდიდა. იგი თანაუგრძნობდა შამილისა და მისი ძმების სამართლიან ბრძოლას, მაგრამ აკრიტიკებდა შამილის სამხედრო სტრატეგიას. მორალური პასუხისმგებლობა კუნდუხოვისათვის წარმოუდგენლად დიდი იყო, მით უფრო, რომ მისი ღვიძლი ძმები: ხაჯი-ხამურზა და ხასბულატი შამილს მიემხრნენ და ამ ომს თვლიდნენ „თითოეული კავკასიელის წმინდა მოვალეობად, მათ შორის, სომხებისა და ქართველების ჩათვლით“ (, 1936: 14), ხაჯი ხამურზა გმირულად დაეცა ჩეჩნეთში 1844 წელს.

რუსებმა კარგად გამოიყენეს კუნდუხოვის წარმოშობა, განათლება, ავტორიტეტი და შუამავლობა მიანდეს შამილსა და რუს გენეტალიტეტს შორის.

მოლაპარაკებებიდან არაფერი გამოვიდა. კუნდუხოვის შუალედური წინადადებები შამილისათვის მიუღებელი იყო, იგი მთელი ჩრდილო-კავკასიის დამოუკიდებლობას ითხოვდა, მაგრამ 1859 წელს შამილი დაატყვევეს და მუსა-ფაშას შუამავლობამაც აზრი დაკარგა.

1860 წელს მუსა-ფაშა კუნდუხოვი ინიშნება ჩეჩნეთის ოლქის უფროსად, რასაც იგი რუსებისაგან ჩეჩენი ხალხისათვის ქონებისა და პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლების შენარჩუნების პირობითა და გარანტიით იღებს. ამას თან დაერთო იმპერატორის მიმართვა ჩეჩენი ხალხისათვის ავტონომიის აღიარებით, რაც პროკლამაციების სახით მთელ იჩკერიაში გაავრცელეს.

ამ ფაქტმა ხანგრძლივი ომისაგან დაღლილი ჩეჩნეთი მნიშვნელოვნად დაამშვიდა. კუნდუხოვმა მიზანი მიღწეულად ჩათვალა. მართალია, შამილის პროგრამა-მაქსიმუმი ვერ განხორციელდა, მაგრამ კუნდუხოვის პროგრამა-მინიმუმმა მიზანს მიაღწია (, 1936: 15). იგი ასეთივე ფორმატის გამოყენებას ცდილობდა დაღესტანში, ყუბანისა და თერგის მოსახლეობაზეც, თუმცა, კუნდუხოვისა და ჩეჩენი ხალხის იმედი მალევე გაცრუვდა.

1864 წლიდან, ჩრდილო კავკასიაში ომის დამთავრებისთანავე, რუსეთმა ყველა წინასწარი პირობა დაარღვია და უმკაცრესი ღონისძიებებით შეუდგა დაპყრობილი ტერიტორიების მართვას.

კუნდუხოვის მცდელობები და მიმართვები ხელისუფლებისადმი, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, რჩებოდა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“.

ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიაში დაიწყო თვითგადარჩენისათვის ბრძოლის უმძიმესი პერიოდი.

¹ ფელდბეფელი - დაბალი რანგის ოფიცერი მეფის რუსეთის არმიაში

და მუსა-ფაშამ მიიღო ლოგიკური გადაწყვეტილება – მოისროლა მუნდირი, ორდენები, მედლები და გახდა საძულველი იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი მგზნებარე რევოლუციონერი (, 1936: 17).

რა თქმა უნდა, რუსების ინტერესშიც არ შედიოდა გამოცდილი და მამაცი გენერლის მტრის მხარეზე გადასვლა, ამიტომ სთავაზობდნენ შესანიშნავ მატერიალურ პირობებსა და უზარმაზარ მიწის ნაკვეთებს პოლონეთსა და კავკასიაში, სურვილისამებრ, მაგრამ მისი გადაწყვეტილება საბოლოო იყო: თურქეთში გადასახლება საკუთარ თანამოაზრეებთან ერთად და სულთნის სამსახურში შესვლა.

გადასახლებამდე მუსა კუნდუხოვი ბევრს ფიქრობდა, რა სიძნელები და გაჭირვება ელოდა მის ხალხს, მაგრამ იგი საკითხს სვამდა მარტივად: ან თურქეთში გადასახლება და ჭირისა და ლხინის ერთად გაზიარება, ან მტრის მიერ დაპყრობილ სამშობლოში დარჩენა და სირცხვილისა და დამცირების ატანა. მან არჩევანი პირველზე გააკეთა და ასე გახდა რუსული არმიის გენერალ-მაიორი, თურქი მირ-ლივა, ანუ ბრიგადის გენერალი. „დამერწმუნეთ, – მიმართავდა იგი გადასახლების წინ თანამემამულეებს, – ჩვენ ვწუხვართ და ვშიშობთ საკუთარ თავზე კი არა, არამედ ჩვენს შთამომავლობაზე. ისინი არასოდეს დაგვდებენ ბრალს იმაში, რომ თითქმის ასწლოვანმა კავკასიურმა ომმა ჩვენ ნაციონალობა მოგვისპო, მაგრამ მუდმივად შეგვავსენებენ, თუკი სამშობლოში ყოფნის საბაბით (რომელიც მათ უკვე აღარ ეკუთვნით) აქ დავტოვებთ მამულის გარეშე, მუდმივი დამცირებისა და შეურაცხყოფის პირობებში“ (, VIII, 1936: 26).

„კამათის გარეშე უნდა ვაღიაროთ ის ჭეშმარიტება, რომ რუსებმა თავისი უზარმაზარი სამხედრო ძალითა და შესაძლებლობებით როგორც იქნა, დაიმორჩილეს კავკასია. რუსულ მხედრობას შეუძლია იამაყოს თავისი გმირული სამხედრო მოქმედებებით, მაგრამ, ამის საპირისპიროდ, მათ ხელისუფლებას უნდა რცხვენოდეს როგორც კავკასიელი, ასევე საკუთარი ხალხის წინაშე და იგი მკაცრ სამსჯავროს ვერ გაექცევა“, წერდა იგი სხვაგან (, IX, 1936: 32).

XIX საუკუნის 60-იან წლებში კავკასიელების ემიგრაციამ თურქეთში 1-1/2 მილიონს მიაღწია, მათი ლიდერები შამილის ვაჟი ყაზი-მუჰამედი¹ და მუსა-ფაშა კუნდუხოვი იყვნენ. რუსეთი თურქეთთან ომის დასაწყებად ემზადებოდა (1877-1878 წწ.) ცარიზმი ამ ფაქტისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა, ამიტომ ომის დაწყებამდე სამი წლით ადრე სტამბოლში მიავირნა გენერალი ფადეევი სპეციალური დავალებით: შეხვედროდა ყაზი-მუჰამედსა და კუნდუხოვს და შეეთავაზებინა მათთვის, გადასახლებული და დარჩენილი კავკასიური მოსახლეობისაგან იმპერიის სახსრებით ავღანეთის საზღვარზე შეექმნათ „ახალი კავკასიის“ დამოუკიდებელი სახელმწიფო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ (, 1936: 17).

რა თქმა უნდა, ეს ცინიკური ავანტიურა ყაზი-მუჰამედისა და კუნდუხოვის მიერ უარყოფილი იქნა და ორივე მათგანი ომის დაწყებისთანავე დაუყოვნებლივ ჩადგა სულთნის მებრძოლთა რიგებში. თუმცა, ამ ომში თურქეთი დამარცხდა და მუსა-ფაშას ოცნებები საბოლოოდ დაიმსხვრა. მან სამსახურსა და ჩინზე უარი თქვა და ცხოვრების დარჩენილი დღეები ერზრუმში გაატარა, სადაც გარდაიცვალა 1889 წელს, დაკრძალეს მეჩეთ ნორმანლ-ჯამეში, თავისი ძმის - ხაზბულატ-ბეის გვერდით.

თუმცა, კუნდუხოვის ტრაგედია ამით არ დასრულებულა. პირველი მსოფლიო ომის დროს რუსულმა მხედრობამ არზრუმში დაიკავა და მეჩეთი და მუსა-ფაშას საფლავი, როგორც იმპერიის მოღალატის, დანგრეულ იქნა რუსი ჯარისკაცების მიერ.

ასეთია ცხოვრება ამ საინტერესო და ტრაგიკული პიროვნებისა.

მუსა-ფაშა კუნდუხოვი თავის მემუარებში არაერთგან ეხება საქართველოს და ცნობილ ქართველებს. 1837 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის თბილისში სტუმრობასთან დაკავშირებით იგი სვამდა კითხვას: „რატომ ჩამოვიდა ნიკოლოზი კავკასიაში?“ და პასუხობდა: „ნათელია, რომ მისი, როგორც დესპოტი პიროვნების, სურვილი კავკასიელი ხალხების თავისუფლებისმოყვარე სულის განადგურება და მონური მორჩილებისაკენ მომზადება იყო. ამ მიზნის მისაღწევად ერთადერთ იარაღად მან შიში და უსიტყვო მორჩილება აქცია და ამას პირადი მაგალითებით უმტკიცებდა ქვეშევრდომებს იმ პირთა მიმართ, ვინც ზუსტად არ შეასრულებდა იმპერატორის სურვილს“ (, VIII, 1936: 15).

კუნდუხოვს იქვე მოჰყავს საკუთარი თვალთ ნანახი: იმპერატორმა თბილისში ყოფნისას, ხალხისა და ჯარის თანდასწრებით თუ როგორ ჩამოგლიჯა სამხრეები საკუთარი ხელით და რუსეთში გადასახლება მიუსაჯა ერევნის პოლკის ფლიგელ-ადიუტანტს, დამსახურებულ პიროვნებასა და მამაც მეომარს - დავით დადიანს.

¹ ეს ის ყაზი-მუჰამედი, რომელიც 1854 წლის 4 ივლისს დაეცა წინანდალში დავით ჭავჭავაძის (ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის) ოჯახს, ქალიან-ბავშვიან-მსახურებიანად დაატყვევა და შამილს მიჰგვარა თავის რეზიდენციაში - ვედენოში. ერთწლიანი ტყვეობის შემდეგ, გამოსასყიდის ფასად, შამილმა რუსების ხელში მყოფი შვილი ჯამალ ად-დინი, რამდენიმე ავარიელი და მილიონი მანეთი მოითხოვა, მაგრამ შემდეგ შვილსა და 40 ათას მანეთს დასჯერდა.

გარდა ზემოხსენებული შემთხვევისა, კუნდუხოვი კიდევ რამდენიმეჯერაა თბილისში ნამყოფი. იყო იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელმაც გოლოვინს თბილისში ჩამოუტანა ჩრდილოკავკასიელ ხალხთა საჩივარი რუსი მოხელეების ნამოქმედარის შესახებ. იგი ძალზე თბილად აღწერს იმ დროისათვის თბილისის გუბერნატორ - გრიგოლ ორბელიანთან შეხვედრას, თუ როგორ ცდილობდა ქართველი გენერალი კუნდუხოვთან განმარტობას იმის სათქმელად, რომ იგი არასოდეს ემხრობოდა რუსული მმართველობის დამყარებას საქართველოში (, VIII, 1936: 29). გარდა ორბელიანისა, კუნდუხოვი კონკრეტიკის გარეშე (რაც, ვფიქრობთ, სიფრთხილითაა გამოწვეული) გადმოგვცემს ცნობილ ქართველ გენერალთა განწყობას, მათ დანაბარებს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალი-ფაშასთან, რომ ქართველმა ხალხმა უკეთ გაიცნო თურქეთი, შიში ოსმალეთის იმპერიისადმი ისეთი აღარ არის, როგორც ადრე და განმარტავს, რომ ერთ-ერთი გავლენიანი თავადი მზად იყო მოსალაპარაკებლად თურქეთში გასამგზავრებლად, თუ მეორე მხრიდან ამის სურვილი იქნებოდა.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსისა და პოლიტიკური ემიგრანტის - ზურაბ ავალიშვილისათვის (1874-1944 წწ.) მუსა-ფაშა კუნდუხოვის მოღვაწეობა, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. როგორც ითქვა, მუსა-ფაშას მემუარები დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ 1936-1937 წლებში, პარიზში, სადაც იმ დროს ზურაბ ავალიშვილიც ცხოვრობდა.

ზ. ავალიშვილის შეფასებით, მუსა-ფაშა კუნდუხოვის მემუარები არა მარტო კავკასიის ომის მონაწილისა და საკუთარი თვალთ ნანახ-განცდილის მნიშვნელოვანი მოწმის უბრალო გადმოცემაა, არამედ ეს არის ცდა რუსული ხელისუფლების რეალური პოლიტიკის წარმოჩენისა კავკასიის მთიანეთში. ეს არის, პირველ რიგში, ადამიანური დოკუმენტი, რომელშიც ნათელი ფერებით და ცხადადაა მოცემული ავტორის პირადი ცხოვრება, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ჩანაწერები მათთვის, ვისაც სურს, ღრმად ჩაიხედოს კავკასიელი მთიელების პოლიტიკური თვითგამორკვევის ფესვებში.

„კუნდუხოვს არ წამოუყენებია რაიმე სახის პოლიტიკური პროგრამა, – წერდა ავალიშვილი, – ერთადერთი, რასაც იგი რუსული ხელისუფლებისაგან ითხოვდა, ადგილობრივი ადათ-წესებისა და ღირებულებების პატივისცემა იყო“ (ავალიშვილი, 1937:8/44).

იგი ძალზე ცხადად და პირდაპირ გამოხატავდა იმ საერთო ინტერესებსა და იდეურ სოლიდარობას, რამაც შეაკავშირა დაღესტნის, ჩეჩნეთის, ოსეთისა და ყაბარდოს ხალხები, რა გრძნობა აერთიანებდა მათ დამპყრობელ-კოლონიზატორის წინააღმდეგ: „მთიელი ხალხის წინააღმდეგობას ჰკვებავდა არა რელიგიური ფანატიზმი ან მიუზრდილობა, როგორც ამას რუსები ამტკიცებდნენ, არამედ საერთო უბედურების განცდა, გამოწვეული რუსული უღლის სიმძიმით. ამიტომ ზედმეტი ძალდატანების გარეშე, გულისა და გონების კარნახით, აუცილებლად ჩათვალეს, გაერთიანებულიყვნენ შამილის ძალაუფლების ქვეშ და არც შემცდარანო“, – ციტირებდა ავალიშვილი¹ (ავალიშვილი, 1937:13).

ლიტერატურა:

1. ერეკლე II-ს მიერ გაცემული საბუთები, 1736-1797 წლები, თბ., 2008.
2. თაყაიშვილი ე., ემიგრანტული ნაშრომები, კრებულში: ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება“, ტ. I, გურამ შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991.
3. ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
5. აიდაშიროვი ა., „დოღგიე ნოჩი“ („გრძელი ღამეები“) მოსკოვი 1996, თარგმნა გიორგი მარჯანიშვილმა, ელ. ვერსია: www.ireporter.ge/troas-tskheni-musa-khundukho/
6. „...“ - „...“ , „...“ » (Le Caucase) 8/44, 1937 .
7. „...“ , <http://Zhaima.com/history/>
8. „...“ . V, „...“ , 1873.
9. „...“ - „...“ , (Le Caucase) . 1936-1937 . 1/25, 2/26, 3/27, 4/28, 5/29, 8/32, 10/34, 11/35, 12/36, 3/39, 5/41, 8/44.

¹ თუმცა, მუსა-ფაშა კუნდუხოვისაგან განსხვავებით, ზურაბ ავალიშვილის ნეშტი გარდაცვალებიდან (+1944 წ. შვარცენფელდში) 50 წლის შემდეგ გერმანიიდან გადმოსვენეს და 1994 წელს მშობლიურ მიწას მიაბარეს თბილისში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

THE GEORGIAN IMMIGRANT'S OPINION ABOUT TURKISH GENERAL (FROM THE HISTORY OF THE NATIONAL LIBERATION STRUGGLE OF NORTH - CAUCASIAN PEOPLES IN THE 19TH CENTURY)

Ioseb (Soso) Alimbarashvili, Gori State Teaching University, Assistant Professor

RESUME

The article includes very interesting and tragic person's life details of Musha-Fasha Kundukhov.

At first he was Russian Army general, after it he left Army with his partners and subordinated to the sultan. He became Liv-Pasha (general of brigade). He fought against Russian Empire and died in the emigration.

Musa Kundukhov lived in Caucasus in this period, when whole North Caucasus was fighting against Russian Empire, that's why his family was participated in this war.

However, there are other opinions about Musa-Pasha Kundukhov, that he relocated Chechens in Turkey with assignment Russian general-Loris-Melikov and in this case he was "Trojan Horse" for Chechens. He persuaded Chechens that they had not alternation to stay at home. They should move in Kabardino and in this case, they became foreigners to their own homeland, or they should fight against Russian Empire, or resettlement in Turkey.

The author based on the memoir of Musa-Pasha Kundukhov, which pressed in the "Kavkaz" in 1936-37 in Paris and shares to famous Georgian political emigrant- Zurab Avalisvili's opinions about Turkish general.

თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის საკვანძო ეტაპები - მაგალითი საქართველოსთვის

გიორგი ბაღათურია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
ლევან წიქარიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის წარმატებას (ან მარცხს) მრავალი მიზეზი განაპირობებს, სახელდობრ: გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები, მსოფლიოს ისტორიული განვითარების თავისებურებები, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კონკურენტული პოლიტიკა და ინტერესები და ა.შ. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ასეთი ფაქტორები აყალიბებენ იმ ობიექტურ კანონზომიერებას, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების ბედ-იღბალს. ჩვენი აზრით, ამ ფაქტორთა შორის აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის ლიდერის როლი ისტორიული ქართველების პერიოდში. ლიდერის სიბრძნე, სიმამაცე, საფრთხეების თავიდან აცილების ან მათთან სხვაგვარად გამკლავების უნარი, ქვეყნისა და ხალხის ინტერესების გაცნობიერება და მათი რეალური წინამძღოლობა, როგორც წესი, გადამწყვეტი ხდება ქვეყნის განვითარების ისტორიულად საკვანძო მომენტებში.

ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა თურქეთის რესპუბლიკის ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების გაკვეთილების შესწავლა-განალიზება და, თუ შესაძლებელია, პრაქტიკულად გამოყენება.

21-ე საუკუნის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად, უდავოდ, თურქეთის რესპუბლიკის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა უნდა ჩაითვალოს. ოციოდე წლის წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი ეკონომიკისა და პოლიტიკური სტაბილურობით გამორჩეულ სახელმწიფოს წარმოადგენს. ამჟამად თურქეთის ეკონომიკური ზრდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების (მ.შ. G-20-ის ქვეყნების) ეკონომიკურ მაჩვენებლებსაც კი აღემატება. თურქეთის ეკონომიკური ზრდა იმდენად მძლავრია, რომ ზოგიერთი ექსპერტი თურქეთის ეკონომიკის „გადახურების“ შესაძლებლობასაც კი პროგნოზირებდა (თუმცა თურქეთის ცენტრალური ბანკი არ იზიარებდა ამ შეშფოთებას). თურქეთის წარმატება მით უფრო აღსანიშნავია, რომ იგი მიმდინარეობდა (და კვლავაც გრძელდება) ევროპულ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე. ამასთან, კრიზისი სწორედ იმ ქვეყნებშია (საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ნაწილობრივ - იტალია), რომლებიც, გარკვეული თვალსაზრისით, თურქეთის ეკონომიკის მსგავსი სტრუქტურით ხასიათდებიან. იმის თქმაც კი შეიძლება,

რომ „ევროპაში კრიზისია, ხოლო თურქეთში - განვითარება“. ცხადია, რომ თურქეთის ეკონომიკური წარმატება განპირობებულია მთავრობის ბრძნული და ეფექტიანი პოლიტიკით, საზოგადოებაში არსებული ნაციონალური თანხმობით, თურქი ხალხის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით და მათი სამეწარმეო (ენტერპრენიული) და კომერციული ნიჭიერებით.

ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მანძი იყო ქვეყნის მიზანმიმართული რეფორმირება უკანასკნელი ოცწლეულის განმავლობაში. წინამდებარე სტატიის ავტორთა აზრით, თურქეთის რეფორმირების გამოცდილების გათვალისწინება სასარგებლო უნდა იყოს მრავალი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოებისთვის.

თურქული სასწაული ავტორები

ჩვენი აზრით, თურქეთის დღევანდელი სასწაულის ავტორები არიან: მუსტაფა ქემალ-ფაშა - ათათურქი (1881-1938), თურგუთ ოზალი (1927-1993), რეჯებ ტაიპ ერდოღანი (დაიბადა - 1954 წ.) და ფეთულაჰ გიულენი (დაიბადა 1951 წ.). რა თქმა უნდა, თურქეთის ისტორია იცნობს სხვა გამორჩეულ ლიდერებსაც, მაგრამ განსაკუთრებული წვლილი თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ეკუთვნის ზემოხსენებულ დიდ ოთხეულს.

ათათურქი (თურქთა მამა) არის თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი, თურქეთის ეროვნული გმირი, რეფორმატორი, რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. ათათურქის მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას (*კინროსი, 2011*). ათათურქმა ოსმალეთის იმპერია დაასამარა და ისლამური სახელმწიფო ევროპული მოდერნიზაციის გზაზე დააყენა, რითაც სერიოზულად შეიცვალა ადრინდელი ოსმალური იდენტობა. ქვეყნის რეფორმირება მიმდინარეობდა ათათურქის იდეოლოგიური შეხედულებების შესაბამისად, რასაც „ქემალიზმი“ ეწოდა. „ქემალიზმის“ ძირითადი პრინციპები შემდეგ 1937 წლის კონსტიტუციაშიც აისახა, ეს არის:

- რესპუბლიკანიზმი - ხელისუფლების არჩევითობა და მისი ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე;
- თურქული ნაციონალიზმი - ეროვნებისცნება საერთო ისტორიასა და ტერიტორიას, წარმომავლობას, მენტალობას, ენასა და მოქალაქეობას მოიცავს;
- წოდებრივი პრივილეგიებისა და სოციალური უთანაბრობის წინააღმდეგ ბრძოლა;
- სეკულარიზმი - საერო კანონები შარიათის ნაცვლად;
- ეტატიზმი - შერეული ეკონომიკა ძლიერი სახელმწიფო რეგულირებით;
- თურქეთის დასავლური ორიენტაცია და ოსმალური ტრადიციების აღმოფხვრა.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წლის განმავლობაში თურქეთი ავტორიტარული სახელმწიფო იყო, სადაც სამხედროები მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქემალიზმის პრინციპების დაცვის საბაბით, მაინც თურქეთი ეყრდნობოდა ჯანსაღ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრინციპებს, რაც გამოიხატებოდა ეკონომიკაში თავისუფალ, საბაზრო ურთიერთობებით, პოლიტიკაში - პარლამენტარიზმით, ზოგადად, სახელმწიფო მართვის დემოკრატიული პრინციპებით, რომლებიც, მართალია, ირღვეოდა ბიუროკრატის თვითნებობით, მაგრამ მაინც დემოკრატიული პრინციპების არსებობამ ახალი საზოგადოება ჩამოაყალიბა. ათათურქის მემკვიდრეობის განხილვის დროს სასარგებლო იქნება გავიხსენოთ 1917 წლის რევოლუცია რუსეთის იმპერიაში. განსხვავებით თურქეთისგან, რუსეთში დამკვიდრდა ბოლშევიკების ერთპარტიული დიქტატურა, რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდევ სსრ კავშირის ეკონომიკური სტაგნაცია და პოლიტიკური სიკვდილი.

თურგუთ ოზალი იყო თურქეთის მერვე პრეზიდენტი (1989–1993 წწ.), თურქეთის პრემიერ-მინისტრი (1983–1989), მან ახალი სიცოცხლე შთაბერა თურქეთის რესპუბლიკას. იმ პერიოდში თურქეთი მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად. ბიუჯეტი - დეფიციტური, დიდი შიდა და საგარეო ვალი, ინფლაცია, ეკონომიკური მდგომარეობა - იმპორტზე ორიენტირებული (როგორც დღევანდელი საქართველო) (*ნადაშვილი, 2004*). თურგუთ ოზალმა განახორციელა ენერგიული რეფორმები ქვეყნის თავისუფალ მეწარმეობასა და სრულფასოვან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მიზნით, რამაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა თურქეთის დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას, განხორციელდა მასშტაბური პრივატიზაცია. ქვეყანამ სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება, ბიზნესმენებს და საზოგადოდ თურქეთის მთელ მოსახლეობას გაუჩნდა იმის რწმენა, რომ საკუთარი შრომით შესაძლებელია ღირსეული ცხოვრება. ჩამოყალიბდა მეწარმეთა ახალი საშუალო კლასი (ე.წ. „ანატოლის ბურჟუაზია“), რომელიც გამოირჩევა პატრიოტიზმით და განსაკუთრებული ზნეობრიობით, რომელთათვის უცხოა ქონების გადანაწილების საწყისი ეტაპისთვის (ე.წ. „ჯუნგლების კაპიტალიზმისთვის“) დამახასიათებელი მმარცველობითი ინსტინქტი. თურგუთ ოზალის

მოულოდნელმა გარდაცვალებამ ვეღარ შეაჩერა დაწყებული ლიბერალური რეფორმები - ქვეყანა უკვე მომზადებული იყო შემდგომი ეკონომიკური ნახტომისთვის.

რეკვებ ტაიპ ერდოღანი თურქეთის პრემიერ-მინისტრია 2003 წლიდან, რომელიც 2011 წელს უკვე მე-3 ვადით აირჩიეს პრემიერ-მინისტრის პოსტზე. მან ფაქტობრივად დაასრულა თურქეთის რესპუბლიკის, მაღალგანვითარებული ქვეყნის თანამედროვე შენობის აგება. მის სახელთანაა დაკავშირებული თურქეთის მიერ მიღწეული საოცარი შედეგები როგორც სამინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, საზოგადოების დემოკრატიზაციის, განათლების, კულტურისა და მეცნიერების სფეროებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ერდოღანის მმართველობის პერიოდში თურქეთში უფრო მეტი თანამედროვე გზა აშენდა, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკის ისტორიაში. თურქეთის მიერ მიღწეული წარმატებების მოკლე ჩამონათვალიც კი საოცრად შთამბეჭდავია, მოსალოდნელია, რომ 2011 - 2017 წლებისთვის თურქეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი 7%-ს მიუახლოვდება და ამ მაჩვენებლით თურქეთი გადაუსწრებს ევროპის ქვეყნებს (www.turkstat.gov.tr).

აქვე უნდა აღინიშნოს გეზი-პარკთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ. ივნისში სტამბოლის ევროპულ ნაწილში მდებარე გეზისსკვერის რეკონსტრუქციის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებას ახალგაზრდობის სერიოზული პროტესტი მოჰყვა. პირველად თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში მოსახლეობამ ასე მასშტაბურად გამოხატა თავისი უკმაყოფილება, რამაც, ერთი შეხედვით, თითქოს შეარყია ერდოღანის ავტორიტეტი. მაგრამ, ფაქტობრივად, ამ საპროტესტო აქციებმა დაადასტურა, რომ თურქეთში არსებობს სამოქალაქო საზოგადოება, რაც სწორედ ერდოღანის მოღვაწეობის ერთ-ერთი საგულისხმო შედეგია.

ქვეყნის სრულფასოვანი განვითარება ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებებთან ერთად შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებისა და სახელმწიფოს შორის სულიერი თანხმობის შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით უნიკალურია **ფეთულაჰ გიულენის** როლი. მისმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ შექმნა თურქული საზოგადოების სულიერი ერთიანობის საფუძველი, სულ უფრო მეტ ადამიანს (მათ შორის, ბიზნესმენებს) სწამს ამაღლებული იდეალების და შესაბამისად წარმართავს თავის საქმიანობას. ასეთ ადამიანებს მართლაც ძალუძთ გრანდიოზული წარმატებების მიღწევა. გიულენის მიმდევრები ხელს უწყობენ რელიგიათაშორის დიალოგს, მრავალპარტიული დემოკრატიის გაძლიერებას, განათლების სისტემის განვითარებას და, რაც მთავარია, გიულენის მოძრაობის მთავარი მიზანია მსახურება საზოგადო სიკეთისთვის („*ჰიზმეთი*“), იგი ქმნის ახალ, საუკეთესო ხარისხის სკოლებსა და უნივერსიტეტებს მთელ მსოფლიოში და ამკვიდრებს უმაღლესი ზნეობის ღირებულებებს (*ქეროლი, 2009*).

მშვიდობისა და დემოკრატიის დამყარების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ჩადლარის საგანმანათლებლო ქსელი, რომელმაც საქართველოშიც შექმნა ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტი და სკოლები, სადაც საუკეთესო დონეზეა განათლება და ახალგაზრდობის სულიერ-კულტურული განვითარება.

დასკვნა

თურქეთის მთავრობის ბრძნული და ეფექტური პოლიტიკა, ლიბერალური რეფორმები, საფინანსო და სოციალური პოლიტიკა, საბაზრო ეკონომიკა გონივრული რეგულირებით, შრომისმოყვარე, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე ხალხი, რომელიც თავის საქმიანობაში ზნეობრივი პრინციპებით ხელმძღვანელობს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის არსებული თანხმობა – ქმნის თურქეთის თანამედროვე წარმატებებს, რაც შესაძლოა, მაგალითი გახდეს მრავალი ქვეყნისთვის.

ერდოღანის პოლიტიკის ზოგადი დახასიათებისთვის ზოგჯერ ხმარობენ ტერმინს „ისლამური სოციალიზმი“. ახლა საჭიროა ქემალიზმისა და ერდოღანის გზის ჰარმონიული თანაარსების უზრუნველყოფა გიულენის მოძღვრების საფუძველზე, ანუ სახელმწიფო მართვისა და საზოგადოების, ხალხის, რიგითი ადამიანების სახელმწიფოსთან ერთიანობის - სინერგიის უზრუნველყოფა, რაც თურქეთის შემდგომი წარმატებების საწინდარი გახდება.

ლიტერატურა:

კინროსი, ჯონ (ლორდი კინროსი, 2011). ათათურქი - ერის მეორედ დაბადება. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი

ნადაშვილი ივანე (2004), ნარკვევები თურქეთის რესპუბლიკის თანამედროვე ისტორიიდან (მე-VIII პრეზიდენტი თურგუთ ოზალი), ახალი აზრი 2004 №5(19)

ქეროლი ჟილ (2009). ცივილიზაციათა დიალოგი. გიულენის ისლამური იდეალები და ჰუმანისტური მოძღვრება. „ახალი ხიდი“, თბილისი

<http://www.turkstat.gov.tr/Start.do;jsessionid=TvhYSFTFnBnGnbym8SdvCJFycLf71Jcyy8tsvfpnhNqWTY414sxP!-2024171497> ნანახია 2013 წ. 25 სექტემბერს

TURNING POINTS OF GOVERNING OF REPUBLIC OF TURKEY– EXAMPLE FOR GEORGIA

Giorgi Baghaturia, International Black Sea University, Associate Professor

Levan Tsikaridze, Gori State Teaching University, Specialist by Contract

RESUME

In the article is discussed the fundamentals of success of the Turkish Republic. It gives arguments that the success of Turkey together with other objective circumstances is conditioned by hard works of honorable public and political figures – Kemal Atatürk, Turgut Özal, Recep Tayyip Erdoğan and Fethullah Gülen. Here is given a suggestion that the experience of Turkey could be useful for many other countries. Herewith, Turkey faces a challenge – the maintenance of a harmonic co-existence of Kemalism and Erdoğan's way, which can be realized on the bases of Gülen's doctrine.

ჯალალ-ედ-დინ რუმი - პერსონაჟი - ქართველი და თურქი მწერლის რომანებში

თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

კონია -მცირე აზიის, რუმის სასულთნოს, სატახტო ქალაქი „კუტურული გზაჯვარედინი“, სადაც მთელი ცხოვრება გაატარა პოეტმა ჯალალ-ედ-დინ რუმმა (1207-1273). მისი ბედი თითქოს უცნაურად გადაიხლართა ქართულ სამყაროსთან: ა. გაწერელიას ცნობით, თამარ მეფის შვილიშვილი თამარი, რომელიც სელჩუკიანთა დინასტიის წარმომადგენლის სულთან ყიას ედ-დინს, ქაიხოსრო მეორეს, მიათხოვეს, ამ ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. „თამარ დედოფლის მეორე მეუღლე „რუმის მოწაფედ თვლიდა თავს“ (გაწერელია 1962:413). და თვით კონიის დედოფალი „გურჯი-ხათუნი“ დიდი თამარ მეფის შვილიშვილი, ულამაზესი და ყოველმხრივ „სრულქმნილი“, თავის ძითურთ რუმის თაყვანისმცემლად და მეგობრად გვევლინება“ (გაწერელია 1962:436).

თავის მხრივ რუმი „დიდ პოეტადაა აღიარებული“. სპარსული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარის ე.ე. ბერტელსის აზრით, „ჯალალ-ედ-დინი უდიდესი პოეტია არა მხოლოდ ნაციონალურ-სპარსული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით“ (Бертельс 1928:59). რუმის პოპულარობა განსაკუთრებით იზრდება ახლა, როცა, თარგმანების წყალობით, მას მსოფლიო ეცნობა. შემთხვევითი არაა, რომ ორმა თანამედროვე ქართველმა და თურქმა მწერალმა, თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში (2010, 2011 წ.) განიზრახა რუმის სახის გაცოცხლება რომანში. ესენია: დათო ტურაშვილის „გურჯი-ხათუნი“ და თურქი მწერლის ელიფ შაფაქის „სიყვარულის ორმოცი წესი“. ელიფ შაფაქი (1971 წ.) თანამედროვე თურქი პროზაიკოსია, რომელიც ცხოვრობს ამერიკასა და თურქეთში, წერს თურქულად, ინგლისურად, ეკუთვნის განხმარებული რომანები „სიყვარულის ორმოცი წესი“, „სტამბოლელი ნაბიჭვარი“. მწერალი დათო ტურაშვილი (1966 წ.) თანამედროვე ქართველი პროზაიკოსია, წერს რომანებს, მოთხრობებს, პიესებს, სცენარებს. გამოცემული აქვს 14 წიგნი, რომელთაგან ზოგიერთი თარგმნილია 7 ენაზე და გამოქვეყნებულია სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურულ პერიოდიკაში. ქართველი მწერლისათვის მიზანი შუასაუკუნეების მემკვიდრის, ჟამთააღმწერლის ისტორიის ადგილზე განცდა და მხატვრული ხორცშესხმა იყო უცხო მიწაზე: „ყოველ ჩვენგანს ჰყავს თავისი გურჯი-ხათუნი, უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ქალები - ყველაზე სევდიანი ემიგრანტები დედამიწის ზურგზე, უსაშველოდ რომ ენატრებათ ეს უცნაური მიწა და მაინც სჯერათ, რომ კაცები აქ ისევ იმ კაცებს ჰგვანან, წასვლამდე რომ ახსოვთ, მათ არ იციან, რომ ჩვენ შევიცვალეთ, ... რომ სინამდვილეში დრო ერთია და სხვა დრო არც არსებობს. არც ისტორია არ არსებობს და ის შვიდი საუკუნეც, გურჯი-ხათუნის ეპოქას რომ გვაშორებს, უბრალოდ გაქრა და, როცა დრო და მანძილი ქრება, შეგიძლია იქ იცხოვრო, სადაც მოისურვებ, სადაც არასოდეს არ ყოფილხარ, მაგრამ შეგიძლია შვიდი საუკუნე ამ დროში გაიარო, რა დროსაც ერთი წიგნის წაკითხვას მოანდომებ და, მთავარია, არ შეგეშინდეს...“ (ტურაშვილი 2011:5). ამიტომ დ. ტურაშვილისათვის რომანის ქარგა გაშლილია ორ დროზე, ანუ „უდროო დროზე“, რომელშიც ცხოვრობს შვიდი საუკუნის წინანდელი პერსონაჟიც, მისი ისტორიის მკვლევარიც, მოგონილი პიროვნებანიც, რომლებიც, შესაძლებელია, არასოდეს ყოფილან, მაგრამ, სავარაუდოდ, უნდა

არსებულიყვნენ, ან ზოგადიდან გამოყოფილიყვნენ. ღერძი გურჯი-ხათუნის ისტორიაა, რომელთანაც რუმი სამეფო კარზე, ან სატახტო ქალაქში იმყოფებოდა. ამიტომ რუმი აქ ხან პერსონაჟია და ხანაც – მთხრობელიც.

ელიფ შაფაქის რომანიც „დროში მოგზაურობაა“, ოღონდ წარსული და აწმყო პარალელურად მიმდინარეობს და გმირი ქალის, ელა რუბინშტეინის, განცდებში წარსულიდან მოსული ვირტუალური მეგობარი ჩნდება, რომელსაც როგორც ლიტერატურულ აგენტს, უგზავნიან წიგნს აზიზ ზ. ზაჰარასი. ელა, რომლის ცხოვრება 40 წელი მონოტონური რიტმით მიდის მეუღლესა და შვილებთან ურთიერთობაში, მოულოდნელად იცვლება. წიგნის ავტორი კი მთავარ თემას ავითარებს: „ისლამის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე პატივდებული სულიერი მოძღვრისა და დიდი პოეტის ჯალალ-ედ-დინ რუმის ურთიერთობა სკანდალებითა და უცნაურობებით განთქმულ დავრიშთან -შამს თებრიზთან“ (შაფაქი 2012:20).*

აღნიშნული ფაქტი მართლაც მოხდა რუმის ბიოგრაფიაში: „ჯელალ-ედ-დინს მთელი სიცოცხლე რუმში გაუტარებია. აქედან წარმოდგება მისი ფსევდონიმი რუმი, რაც რუმელს -მცირე აზიელს - ნიშნავს. თხუთმეტი წელი გაგრძელდა მისი მშვიდი ცხოვრება. 1244 წლის დეკემბერში გამოჩნდა ვიღაც თავრიზელი დავრიში - სუფი, რომელიც „თავრიზის შუედ“ (შემსე თაბრიზი) იწოდებოდა. ამ დავრიშმა ძლიერ გავლენაში მოიქცია ჯელალ-ედ-დინი, რომელიც მისი მოწაფე და განუყრელი მეგობარი გახდა... აღნიშნულ დავრიშთან დამეგობრების შემდეგ ჯელალ-ედ-დინი გაურბოდა ხალხსა და მოწაფეებს. იგი მთელ დღეებსა და ღამეებს მოხსენიებულ დავრიშთან ერთად განმარტოებით ატარებდა. მათმა ქცევამ ხალხი ააღელვა, იფეთქა აჯანყებამ. თავრიზელი დავრიში სადღაც გაქრა. ა. კრიმსკის ცნობით, იგი ამბოხებულებმა მოკლეს. მეგობრის დაკარგვამ ჯელალ-ედ-დინი დიდ მწუხარებაში ჩააგდო. პოეტმა ღრმა ლირიკული ლექსებით დაიტირა იგი. მისი ხსოვნისადმი დაარსა ორდენი „მეველი“ (ბატონისეული), რომლის წევრებს გარდაცვლილის ხსონისათვის სამგლოვიარო ტანისამოსი უნდა ეტარებინათ“ (კობიძე 1975:387).

წიგნი, რომელიც ელამ მიიღო, ფაქტიურად შამსე თავრიზელის სამყაროა გარდასახული აზიზ ზაჰარად. აქ რუმი პერსონაჟია, რომელთანაც სულიერი ნათესაობა აკავშირებდა შამსეს. ასევე მყარდება ვირტუალური კავშირი ელასა და აზიზს შორის. ელა იგებს, წვდება სუფისტურ სიყვარულს. მისი ცხოვრება ძირეულად იცვლება, რაც ვერ ფერმკრთალდება აზიზის სიკვდილით.

თანამედროვე თურქი მწერალი ქალი ელიფ შაფაქი გრძნობს წარსულის აწმყოში გადმოტანის აუცილებლობას, უახლესი პოეტური საღებავებით აღადგენს უწყვეტ კავშირს 7 საუკუნის წინანდელ წარსულთან, რაც მთავარი, სიყვარულის სუფისტური, გაგებიდან გადმომდინარეობს.

ავსებს თუ არა ეს ორი მწერალი თანამედროვე მკითხველის წარმოდგენას რუმზე, მისტიკოს პოეტზე? აღნიშნულ საკითხს ვეხებით ჩვენს ნაშრომში, ვცდილობით გამოვკვეთოთ ორი მწერლის მხატვრულ ტექსტში გახსნილი პლასტები, რომელიც საერთოცაა თითქოს, მაგრამ - განსხვავებულიც.

რუმი დათო ტურაშვილის რომანში თითქმის პირველი თვეებიდანვე გვხვდება აბუ ალ-ბიკა საბით იბნ აჰზად ნაჯმ ად-დინ ათ თიფლისის მონათხრობში, რომელშიც გამოკვეთილია პირველი ინფორმაცია რუმზე და მისი ოჯახის კონიაში გადმოსახლების მიზეზებზე. მუჰამედ იბნ ჰუსაინ ალ-ხათაბი ალ-ბალხის ოჯახში დაიბადა დიდი მევლანა, „მსოფლიოს უდიდესი პოეტი, რომელზეც თქვენ მეკითხებით და რომლის სრული სახელიც არის მევლანს ჯელალ ად-დინ მოჰამად მეველი, ბალხი რუმი“. (ტურაშვილი 2012 :15). „მან სპარსულად დაიწყო წერა და რუმის არჩევანი არავის გაუკრიტიკებია“. (ტურაშვილი 2012:16). რუმის მამამ თავის ერთ ქადაგებაში ხვარზმელები გააკრიტიკა და ამიტომ გამოიქცნენო ბალხიდან. გზაში იგი პოეტ ათარს შეხვედრია, რომელიც შემდგომ მონღოლებმა მოჰკლეს. თავად რუმმა რომ გაიგო ეს, თქვა ათარზე: „მან სიყვარულის შვიდი ქალაქი გავლო, ჩვენ კი მხოლოდ სიყვარულის ერთი ქუჩა გავიარეთ...“ (ტურაშვილი 2012:17).

მწერალი სხვა თავებში აცნობს მკითხველს იმ ფაქტსაც, რომ რუმი კონიაში თავდაპირველად ღვთისმეტყველების მოძღვარი ხდება და საკმაოდ პოპულარულიც. რუმი არაა ჩვეულებრივი ადამიანი. მისი სუფიზმიც თავისუფლებისაკენ სწრაფვითაა გაპირობებული: ღმერთში გალხობა, ამისათვის საკუთარი „მე“-დან გამოსვლა და შეგნება იმისა, რომ ნამდვილი „მე“ არის მასში განღმერთობილი ძალა. შერწყმა „მე“-სთან კი არის დიდი სიყვარული. სწორედ ამ საკითხის შამსე თავრიზისეული ახსნას ცდილობს ელიფ შაფაქი: „დადგება დრო, როცა შენ სიყვარულის ხმას გიწოდებენ, - მიმართავს შამსე რუმს, - ეს ხმა შთაგონების წყარო გახდება ადამიანებისთვის (მათთვის, ვისაც არასოდეს თვალთ არ

* სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში შამს თებრიზი ზოგან შამს თავრიზედ, ზოგან შამსე იბრიზად იხსენიება.

უნახავხარ), აღმოსავლეთის მკვიდრნი იქნებიან ისინი, თუ დასავლეთისა.“ (შაფაქი 2012:99). თუმცა ესაა გზა ქადაგებიდან პოეზიისაკენ.

როდესაც რუმი ქმნის თავის „მესნევებს“, სწორედ აქ აყალიბებს „სუფისტურ გაგებას“, პოეზიის სიტყვით გადმოცემულს. ამიტომ უწოდებს მას მთარგმნელი გიორგი ლობჯანიძე ქართულად „აზრიან მესნევს“. დათო ტურაშვილი როგორც მწერალი, გრძნობს, რომ რუმის მსოფლგაგების მხატვრულ ფორმაში გადმოცემა არაა ხელოვნური:

„შენ დაივანე დედამიწაზე
და ამოიდგა ენა ბუნებამ,
გამოდის სიო, შენ ცეკვავ მასთან
და ტანთ ნიავი გელამუნება.

...

ცეკვა კი იგი ადამის ტომის
ათას შვებას და ვნებას რომ იტევს,
მარადისობის, დე იყოს წილი
და უკვდავების საუნჯის კლიტე!“
(მაცხოვარი და ღვთისმშობელი
Three versions of normalization of relations with Georgia were formed in parallel with these situations in the political circles of Istanbul, which for its part had touched the border regime of the two states. According to the first variant of the future relationship would be built taking into account the conditions of the Brest peace. The second option involved the confiscation of the political entities in other territories of the Caucasus. The third option admitted the full accession of the Caucasus to Turkey.⁹

In autumn, 1918, the position of the Ottoman Empire in the Southwest Georgia was severely shaken. Turkey, defeated in World War I, attempted to normalize relations with the neighboring republic of Georgia. At the end of October, 1918, Tbilisi was officially informed of the withdrawal of Turkish troops from Batumi. This step of Turkey was dictated with the existing political situation at that moment. Turkey signed a temporary contract with England at the port of Mudros after being defeated in battle with the Allies, on 30 October, 1918, on which it had to leave all occupied territories.

Such were the Georgian-Turkish relations in 1918, closely connected with complicated international politics.

Georgia's aspiration to Europe did not unabated after Germany's defeat in World War.

Within two years of the Georgian delegation had spared no effort or energy to achieve recognition of the country's de jure at European political congresses of different rank and level. But they more often received only hopeless promises. The policy of effort of the Georgian delegation to achieve the country's entry in the "League of Nations" was unsuccessful. Here the main role was played by British attitude to this issue. While the UK government,

¹ Central State Historical Archive of Georgia, Fund 1836, inventory 2, affair. 73, p. 4-5

² Zosidze N. political situation and the national liberation movement in Adjara in 1918-1920., Batumi 1995, p. 43-45

³ Documents and Materials on the foreign policy of Georgia and the Caucasus, Doc. Number 159, p. 309-310

⁴ History of Georgian diplomacy, Tbilisi 2004, p. 473-474

⁵ Documents and materials on the foreign policy of the Caucasus and Georgia, Doc. Number 172, p. 343-349

⁶ Zosidze N. Political situation and the national liberation movement in Adjara in 1918-1920. Batumi, 1995, p. 51

⁷ Documents and materials on the foreign policy of the Caucasus and Georgia, Doc. Number 188, p. 377-378

⁸ Documents of Soviet Foreign Policy, Vol I. M, 1957, p. 490-492

⁹ Zosidze N. political situation and the national liberation movement in Adjara in 1918-1920., Batumi., 1995, p. 50

on the basis of their political or other interests, considered the possibility of a rapprochement with the Soviet Russia, so the protection of Georgia's aggression against Bolshevism was not in the plans of England.

The foreign policy of the Georgian Democratic Republic towards the European states did not produce the desired results. It should be noted, and the fact that the victor states belonging to the Entente were not able to properly assess and develop a fair treatment of the Ottoman Empire, as a result, a response reaction followed to it.

Sultan Turkey suffered a heavy defeat in the First World War. on 30 October, 1918, it signed an armistice agreement in terms of which Allied forces occupied Istanbul and the most important cities in southern and western Anatolia. Greek forces landed in Izmir under the cover of Allied warships. Policy was begun to destroy the Turkish state, the open division of the territory of Turkey.

REFERENCES:

1. Archive of the President of Georgia , the fund 13 , inventory 10 , the case 55.
2. Central State Historical Archive of Georgia, the fund in 1818, inventory 2, affair 116, paper 12.
3. Central State Historical Archive of Georgia, the fund in 1818, inventory 1, affair 17.
4. Central State Historical Archive of Georgia, the fund in 1818, inventory 2, affair 179.
5. Central State Historical Archive of Georgia, the fund in 1836, inventory 2, affair 73.
6. Central State Historical Archive of Georgia, Harvard fund, Number 386 ; 387.
7. Turkiye Cumhuriyeti Ba bakakanlık Ar ivi, BEO 346469.
8. The struggle for the victory of Soviet authority in Adjara. Documents and Materials (1917-1921), Batumi, 1961.
9. Documents of Soviet foreign policy. Vol. I, Moscow, 1957.
10. Documents and materials for foreign policy Caucasus and Georgia, Tb. , 1919.
11. Trabzon Conference, a collection of papers, edited by N. Zosidze , Batumi, 1998.
12. N. Jordania My past. Tbilisi, 1990.
13. D. Zavriev recent history northeastern Anatolia provinces Turtsii. Tbilisi , 1947.
14. Zosidze N. political situation and the national liberation movement in Adjara in 1918-1920 . Batumi, 1995.
15. History of Diplomacy, edited by Academician Vladimir Potemkin, Vol II. Moscow, 1945.
16. Peace negotiations in Brest-Litovsk, Vol. I, Moscow, 1920.
17. Historical Journal, XIV, Batumi, 2005.
18. S. Kuznetsova The establishment of the Soviet- Turkish relations. Moscow, 1961.
19. Nozadze B. For the restoration of Georgia's fight for Meskheti. Tb. 1989.
20. Svanidze M. Brest Peace. Tselidtsleuli - Georgian diplomacy, that is, III, Tb. , 1996.
21. Svanidze M. diplomatic struggle to Batumi district 1918-1921 // The Georgian diplomacy. T.X. Tbilisi, 2003.
22. ahin E. Trabzon ve Batum Konferansları ve Antla maları (1917-1918). Ankara 2002.

ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობები დიმიტრი ბაქრაძის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“

მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

საქართველოსა და თურქეთის საუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობიდან გამომდინარე, ქართულში მრავლად იმეზნება ამ ურთიერთობის ამსახველი ლექსიკა. ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს დიმიტრი ბაქრაძის წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, რომელიც 1878 წელს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით დაისტამბა. ამ მონოგრაფიის არჩილ ტოტოჩავასეული თარგმანი ხარიტონ ახვლედიანის რედაქტორობით დაბეჭდა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ 1987 წელს. ნაშრომს ახლავს ასეთი წარწერა – „ამ ნაშრომს ვუძღვნი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ორდინარულ აკადემიკოსს მარი ივანეს ძე ბროსეს, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული ლიტერატურის უცნობი და ნაკლებად ცნობილი წყაროების შესწავლას. ქართველი საზოგადოების ერთი წევრთაგანი დიმიტრი ბაქრაძე“.

1873 წელს დიმიტრი ბაქრაძემ იმოგზაურა გურიასა და აჭარაში, შეისწავლა ამ მხარის ბუნება, მოსახლეობა, ყოფა-ცხოვრება, კულტურა. ამ მოგზაურობისას მას, გარდა საჭირო წიგნებისა, თან ჰქონდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ გამოცემული კავკასიის რუკა და თან ახლდა თბილისელი მოქალაქე შაქრო აბრამიშვილი, შუახნის მამაკაცი, რომელსაც

მთელი კავკასია ჰქონდა მოვლილი და რუსულად, ქართულად, სომხურად და თურქულად ლაპარაკობდა (ბაქრაძე, 1987:8).

დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით, მოსახლეობის მეტყველებაში შეიმჩნევა „ძველი ქართული სიტყვებიცა და ახლანდელი ქართული სიტყვების შეცვლილი ფორმებიც და ხმარებაში შემოსული თურქული ფრაზები“ (1987:45). ავტორის მიერ ამ მონოგრაფიაში ქართული სიტყვების სინონიმებად გამოყენებული თურქული ან თურქულის გზით შემოსული ლექსიკური ერთეულებიდან აღსანიშნავია:

1. სამოხელეო და სოციალური დიფერენციაციის გამომხატველი ლექსიკა:

აღა > „პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი. საზოგადოებრივი მდგომარეობით აღა აზნაურულ წოდებას ეთანაბრებოდა“ (ნიჭარაძე, 1971: 94).

ბეგი (ბატონი, თავადი): „კნენა ესმა ჯაიანმა გადმომცა სარეკომენდაციო წერილები ზემო აჭარის ცნობილი ბეგის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა და ზოგიერთი მისი ნათესავისადმი“ (13).

მუდირი (უბნის უფროსი): „ქობულეთი პატარა სავაჭრო ქალაქია, თურქეთის მუდირის რეზიდენცია და შტაბსადგომი ერთი ბატალიონია, რომლის შემადგენლობაში როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე ჩერქეზებიც აღმოჩნდნენ“ (16).

ფაშა (მმართველი): „კესარია, გურიის მთავრის სვიმონის ასული, XVIII საუკუნის მიწურულს აკვანში დანიშნეს ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის, შემდგომში ახალციხის ფაშის მცირეწლოვან ძმაზე აბდი-ბეგზე“ (13).

მუთასარიფი (გუბერნატორი): „ამჟამად ბათუმი ლაზისტანის საფაშოს დედაქალაქია, მას მართავს მუთასარიფი ანუ გუბერნატორი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება პორტას და არაპირდაპირ ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს“ (24).

კაზა: „ამ საფაშოში შედის 11 კაზა ანუ ოლქი: ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონია, ხოფა, არხოვე, ემშინა და ათინა“ (24).

კაიამაკამი (ოლქის უფროსი): „რომლის ხელქვეითია 2-3 მუდირი, ჩვენს უბნის უფროსს რომ შეესაბამება. გარდა ფაშისა, ბათუმში არის: მეჯლისი ანუ საგუბერნიო საბჭო, კაიამაკამი, სასამართლო და შტაბსადგომი“ (24).

ფირმანი (ბრძანება, განკარგულება, უმაღლესი კანონი). **მედრესე** (სკოლა): „ჩრდილოეთიდან ორსართულიანი ქვის სახლის გვერდით, დასავლეთის მხრიდან, ქვის მედრესე, მის გრძელ ბნელ დერეფანში დატანებული პატარა სენაკები ყმაწვილებისათვის, რომლებიც თურქულ წერა-კითხვას სწავლობენ“ (60). **ჯამე**: „კანცელარიის აღმოსავლეთით დგას დიდი ხის მეჩეთი ანუ ჯამე სუფთად გათლილი ქვის ცოკოლით“ (60). **ყურანი** - ლოცვების წიგნი.

2. ადგილობრივი მონეტების გამომხატველი ლექსიკა:

ფარა (სპილენძის ფული): „რომელიც სხვათაშორის თითქმის აღარ არის მიმოქცევაში და რომელიც ჩვენი ფულით 1/4 კაპიკს შეადგენს, არის 5-ფარიანი, 8-ფარიანი, 10-ფარიანი სპილენძის ფული“ (17).

მეჯიდიე ანუ 24 ყურუში (1 მან. 40 კაპ.) - ვერცხლის ფული. „არის 1/4 მეჯიდიე და 1/2 მეჯიდიე“ (17).

ყირმიზი (ოქროს ფული): „რომელიც 120 ყურუშს შეესაბამება“ (17). დღეს აჭარულში **ყირმიზი** (თ. kirmizi ← არაბ.) ორი მნიშვნელობით დასტურდება: 1. წითელი ფერი; 2. გად. ოქროს ფული, ოქრო (შ. ნიჭარაძე, 1971, გვ. 373).

ქისა: „აქ ხმარებაშია განყენებული ფული ანუ ქისა, რომელშიც იგულისხმება 50 მან. ვერცხლით“ (გვ.17). აქედანაა **ქესა** (სპ.) - ქისა, საფულე. „ხელცაფელი არ დაბრუნდე, ქესსა ქქონდეს ფარიანი“ (ნიჭარაძე, 1971: 354).

3. საწყაო-საზომების გამომხატველი ლექსიკა:

ძირითადი საწყაოები: **ბათმანი** (თ. batman. 1/2 ფუთი): „რომელიც 6 ოყას შეადგენს, ოყა - 400 დრამას, დრამა - 4 დანგს; ქილა- 3 პინას, პინა - 10 ოყას (17). **საბა მიუთითებს**, „ქილა სხვათა ენაა, ქართულად დერგი ჰქვია“ (სულხან-საბა, 1993: 226). რაც შეეხება მანძილის საზომს, „იგი განისაზღვრება იმ დროით, რომლის უმთავრესი ერთეულია ცხენოსნის ან ქვეითის ერთი საათის სავალი. ცხენით მგზავრობის ერთი საათი მთავორიან ადგილებში შეესაბამება 6 ვერსს, ხოლო ქვეითად სიარულის ერთი საათი - 5 ვერსს; დღიური გადასავალი კი - 30-40 ვერსს“ (17). როგორც ჩანს, აქ საურთიერთოდ გამოდის რუსული სიტყვა **ვერსი** -- „ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; უდრის 1,06 კმ-ს“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990: 497).

4. ადგილის სახელწოდებები:

ადგილის სახელწოდებებად თურქული ტერმინებიდან რამდენიმე გვხვდება. მაგ.: **ჩურუქ-სუ** „ანუ ქართული ქობულეთი“ (20). ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოგვითხრობს: „ოზურგეთის სამკრით დის მდინარე ხინოსი, გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მდის აღმოსავალ-სამხრეთის შუადამ, ჩრდილო-დასავლეთს შუა, ლეხურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მიერთვის ზღვას აღმოსავლიდან... ხინოს მდინარის სამკრით, მთის

მირს, არს აჭვს ციხე კარგი; და ხინოს მდინარის შესართავთან ზღვაზედ არს ალამბარი, სასახლე შენი, გურიელთა. ...ალამბრისა და აჭვის სამკრით დის მდინარე ქობულეთისა. გამოდის ხინო-აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე. ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი“ (ვახუშტი, 1941: 175-176).

სანჯაყი. „თურქებმა როსტომ გურიელს, რომელიც 1564 წელს გარდაიცვალა, წართვეს როგორც ბათომი ანუ ბათუმი, ისე გონია, სადაც მაშინვე ააგეს სიმაგრეები; შემდეგ იგი აქციეს ბათუმის ლივანის ანუ **სანჯაყის** დედაქალაქად და სხვა **სანჯაყებთან-ტრაპიზონსა** და გონიასთან-ერთად ტრაპიზონის გუბერნატორს დაუმორჩილეს“ (ბაქრაძე, 1987: 23). **ხასან-კალე:** „აქედან გზა გაჰყავთ ბაიბურთამდე, სადაც შეუერთდება უკვე არსებულ დიდ შარაგზას, რომელიც არზრუმსა და შემდეგ ყარსში მიემართება **ხასან-კალეს ანუ ძველი ხასიანის** გავლით“ (35).

5. ტანსაცმლის აღმნიშვნელი ლექსიკა:

ჩალმა ანუ თავსახვევი. **ელედი** (მდრ: ელეგი//ელელ-ი) (თ. yelek) მამაკაცის წელზევითა უსახელებო ღილებით შესაკვრელი ტანსაცმელი - ჟილეტი“ (ნიჟარაძე, 1971: 290; **ელეგი** - მამაკაცის ან ქალის უკლავებო ჩასაცმელი იყო (კობერიძე, 2011: 129). **ყაიში** - ქამარი (146). მდრ. **ყაიში**-ი (თ. kayis) ტყავის სარტყელი, ღვედი, თასმა-ქამარი (ნიჟარაძე, 1971: 367). **ზუბუნი**. შ. ნიჟარაძესთან დასტურდება „**ზუბუნი** (თ. zibin) ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი ჟილეტის მსგავსი ზედა ტანსაცმელი (კაცისა); წინა მხარეს ღილები ახლო-ახლოს აქვს დაკერებული“ (1971: 201)

6. იარაღის ამსახველი ლექსიკა:

სილაღი - იარაღი. მდრ. **სილაპი** (არაბ.) - თოფი, იარაღი (ნიჟარაძე, 1971: 318); **სილაღლული** - იარაღის ჩანთა. **იაღდანი** - საქონე, მასში ინახავენ საქმელ ზეთს იარაღის საწმენდად (147). **ყანთარ - ქილა** (მდრ. **ყანთარ-ქილე** (თ. kantar+ არაბ.) თოფის წამლის საწყაო, საპირისწამლე (ნიჟარაძე, 1971: 368). **ყურშუმი** - ტყვია (თ. kursum). **ყამა** (თ. kama) - სატევარი.

7. ადამიანთა სახელები და გვარები:

დიმიტრი ბაქრაძე თურქული წარმოების სახელებს იყენებს სოციალური დიფერენციაციის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად. მაგ.: **ხასან-აღა:** „თავის ქართულ გვარად ასახელებს **მოურავიშვილს** და თავისთავს ლაზისტანის უმაღლეს კლასს აკუთვნებს“ (26); **შერიფ-ბეგი; ბეგლარ-ბეგი; აიდარ-ბეგი;** მამის სახელების საწარმოებლად გამოყენებულია ოღლი (თ. oğul, gıu) შვილი, ძე. მაგ.: **მურადოღლები** ანუ **მოურავიშვილები** (29). **ბაბუროღლები** ანუ **ბაბაურჩასძე;** **მუთაოღლი** ანუ **მუთასძე;** **შალოღლები** ანუ **შალიკაშვილები** (29); **მახმუდოღლი - მახმუდის ძე ლაზი;** **შერიფოღლი** ანუ თავდგირიძე; **ისმაილოღლი** ანუ **გოგიტიძე...** როგორც ჩანს, თურქული წარმოების მამის სახელების გვერდით გვხვდება ქართული გვარები.

8. რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები:

ნამაზი (სპ.) მის. მაჰმადიანთა ლოცვა (ნიჟარაძე, 1971: 280). „სახლი წაბლის ხისა იყო, ქვედა სართული ბოსელი იყო, ზედა - საცხოვრებელი. იგი იყოფოდა საქალებოდ და სასტუმროდ, რომელსაც წინ დერეფანი ეკრა, სადაც ჩვეულებრივ სრულდებოდა **ნამაზი**“ (44). „კვირის დღეებიდან ქობულეთსა და აჭარაში იგივეა, რაც დანარჩენ საქართველოში, გარდა პარასკევისა, რომელსაც **ჯუმა** ცვლის. დღის ნაწილები იქ აღნიშნება ლოცვის დროით: **საბაჰნამაზი** (ცისკრის ლოცვა), **ელილე ნამაზი** (შუადღის ლოცვა), **იქინდი ნამაზი** (მწუხრის ლოცვა) და **იასი ნამაზი** (ღამის ლოცვა)“ (ბაქრაძე, 1987: 162).

9. ცხენის აკაზმულობა: დომლული-სამკერდული. „**დომლული** (თ. dosluk) ცხენის აკაზმულობის ნაწილი, მკერდზე ამოსაკრავი თასმა - სამკერდული“ (ნიჟარაძე, 1971: 183). **თორბა** (თ. torba) - პატარა ტომარა, პარკი (ნიჟარაძე, 1971: 211).

10. სახლი და მისი მოკაზმულობა: კონახი //ოდა (თ. oda) - სახლი. შ. ნიჟარაძესთან ოდა აღნიშნავს ოთახს (1971: 291). **იაზლული** - „ვგონებ, თურქული უნდა იყოს. იგი ნიშნავს აივანს ან სახლის შესასვლელთან ღია დერეფანს, კვადრატულს ან მოგრძოს“ (145). „**იაზლოღი** (თ. yaztik) აივანი, მოაჯირი, ვერანდა“ (ნიჟარაძე, 1971: 283). **მუსანდარი** - ქანდარა (მუსანდარა (თ. musandara) სახლის კედელში დატანებული კარადა - ლეიბ-საბნის დასაწყობად (ნიჟარაძე, 1971: 277).

მერთები-ყავარი. მერთეგი (თ. mertek)- ოთხკუთხა კოჭი (ხისა) (ნიჟარაძე, 1971: 252).

ახორი - ბოსელი. დ. ბაქრაძე მიიჩნევს „**ახორი, ახური** თურქულია. გურიაში, იმერეთსა და თვით საქართველოში თავად-აზნაურობაში საჯინიბოს ამბობენ“ (150). საბა: „ქართული არ არის, ბაგას ჰქვიან“ (20).

11. სამზარეულო და საჭმელი:

მუთმაღი - სამზარეულო. შ. ნიჟარაძესთან გვხვდება **მუთვაღი** (თ. mutfak←არაბ.). **სოგუში** - ცივი ხორცი. მდრ. **სოგუში** (თ. sogus) - დიდი ნაჭერი, მონაკვეთი, ნატეხი (ყველის, ხორცის და მისთ) (ნიჟარაძე, 1971: 322).

12. საოჯახო მეურნეობა:

ბირკაზმა-წერაქვი (←ბირ+კაზმა) (თ. kasma).

13. მცენარეები:

ციზილ-ჯული - შინდი; კანჯუფა - კუნელი.

როგორც საანალიზო მასალაზე დაკვირვებიდან ირკვევა, დიმიტრი ბაქრაძეს ქართული სიტყვების სინონიმებად გამოუყენებია თურქული ან თურქულის გზით ნასესხები სიტყვებიც და ამით შექმნილა თავისებური წყვილები. ასეთ წყვილებს საენათმეცნიერო ლიტერატურაში შ. ძიმიგურმა სინონიმური პარალელიზმები უწოდა (1960: 67-72). ნიმუშად დავაკვირდეთ სინონიმურ წყვილებს დიმიტრი ბაქრაძის ამ მონოგრაფიაზე დართულ „ქართულ-კახური, იმერული, გურული, ქობულური (ჩურუქსული) და აჭარული კილოების მოკლე შედარებით ლექსიკონში“. მაგ.: დედა (ქართული) - ანა (თურქული ana); სამკერდული (ქართული)- დომლული (თურქული dosluk); თავლა, ბაგა (ქართული) - ახორი (თურქული←სპარსული).

ამრიგად, დიმიტრი ბაქრაძის წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ და დოკუმენტურ მასალას არა მარტო ამ მხარეების ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესახებ, არამედ ნათლად გვიხატავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც თავისებურად აისახა ქართული ენის დიალექტურ ლექსიკაში.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
2. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
3. კობერიძე მ., ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 2011.
4. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.
5. ორბელიანი ს. ს., ქართული ლექსიკონი, I, თბ., 1991.
6. ორბელიანი ს. ს., ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1993.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1990.
8. ძიმიგური შ., საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960.

GEORGIAN - TURKISH LANGUAGE RELATIONSHIPS IN THE DIMITRI BAKRADZE'S BOOK "ARCHEOLOGICAL JOURNEY IN GURIA AND ADJARA"

Mariam Koberidze, Gori State Teaching University, Professor

RESUME

Based on the centuries-old historical relations between Georgia and Turkey, the reflecting vocabulary of this relationship is many found in Georgian language. In this regard, Dimitri Bakradze's book "Archeological journey in Guria and Adjara" gives us interesting information, which was printed by the order of the Imperial Academy of Sciences in 1878. Mr. Archil Totochava's translation of this monograph edited by Khariton Akhvediani was printed by the Publishing House "Soviet Adjara" in 1987.

In 1873 Dimitri Bakradze traveled in Guria and Adjara, studied nature, people, everyday life, culture of this side, which was peculiarly reflected in the vocabulary.

We can distinguish such kind of groups from the vocabulary derived from Turkish affirmed by Dimitri Bakradze in this work: **official and social differentiation expressive words, local coins and measurement expressive words, toponyms, onomastica, clothes and everyday life expressive vocabulary...**

თურქეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა 2002-2011 წლებში

ემზარ მაკარაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

2002 წლის დასაწყისისათვის თურქეთის საშინაო პოლიტიკაში არამყარი სიტუაცია შეიქმნა. კერძოდ, პრემიერ-მინისტრ ბ. ეჯევითის შერყეული ჯანმრთელობა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში პარტიებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება მოსალოდნელი სამთავრობო თუ პოლიტიკური კრიზისის შესაძლო დასაწყისად იქნა მიჩნეული.

თურქეთის პარლამენტმა 2002 წლის 1 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება ვადამდელი არჩევნების გამართვის შესახებ. 2002 წლის 3 ნოემბერს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა დაახლოებით 80%-მა. შედეგების მიხედვით, არჩევნებში მონაწილე 19 პარტიიდან 10%-იანი ბარიერი გადალახა მხოლოდ „სამართლიანობისა და განვითარების“ და „სახალხო-რესპუბლიკურმა“ პარტიებმა (*ადეშიველი, 2002*).

ისლამური ფასეულობების „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიამ 550 სადეპუტატო მანდატიდან მიიღო 363, რაც ხელისუფლების სათავეში აღნიშნული პარტიის ერთპიროვნული მოსვლის მაუწყებელი იყო.

არჩევნების შედეგად პარლამენტს მიღმა დარჩნენ როგორც ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მყოფი კოალიციური მთავრობის წევრები, ასევე პარლამენტში წარმოდგენილი სხვა ოპოზიციური პარტიები.

2002 წლის 18 ნოემბერს ქვეყნის პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა პრემიერ - მინისტრის თანამდებობა და 58-ე მთავრობის ჩამოყალიბება დაავალა რეჯეფ თაიფ ერდოღანის პირველ მოადგილეს - აბდულა გულს.

პრემიერად აბდულა გულის მოსვლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა აუცილებლობა – პარლამენტს მოკლე დროში მიეღო ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა შედეგად ერდოღანის პრემიერ-მინისტრად გახდომას სამართლებრივი წინააღმდეგობა აღარ ექნებოდა (საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ რეჯეფ თაიფ ერდოღანს, ისლამური შეხედულებების გამო, აკრძალული ჰქონდა სახელმწიფო სისტემაში თანამდებობის დაკავება).

იმავე წელს, საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, რეჯეფ თაიფ ერდოღანს მოეხსნა შეზღუდვები და მიეცა უფლებამოსილება, მონაწილეობა მიეღო საპარლამენტო არჩევნებში, რომელშიც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა (*Volkan, 2002*).

2003 წლის 14 მარტს ერდოღანი გახდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტმა სეზერმა ოფიციალურად დაავალა 59-ე მთავრობის ჩამოყალიბება (*, 2005*).

„სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიას გააჩნდა ყველა სახელისუფლებო ბერკეტი და მოსახლეობაში აქტიური მხარდაჭერა იმისა, რომ 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წარმოედგინა - თავისი კანდიდატურა.

2007 წლის დასაწყისში თურქეთში არსებულმა შიდაპოლიტიკურმა მოვლენებმა მთავრობაზე დიდი გავლენა მოახდინა, რაც აგრეთვე დაკავშირებული იყო პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიასთან, რადგან ახალი პრეზიდენტის არჩევით თურქეთის პოლიტიკა შვიდი წლით წინასწარ იქნებოდა განსაზღვრული.

2007 წლის აპრილში თურქეთის პოლიტიკური ძალები მიმართული იყო საშინაო პოლიტიკის კურსზე. ერთ მხარეს იდგნენ – მოქმედი პრეზიდენტი (აჰმედ ნეჯდეთ სეზერი), ჯარი, პროფკავშირები, უნივერსიტეტის რექტორები, ოპოზიციური პარტიები, ხოლო მეორე მხრივ – მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია.

2007 წლის 18 მარტს მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიიდან აბდულა გულის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებამ ოპოზიციის, საერო და სამხედრო ელიტის გაღიზიანება გამოიწვია. თურქეთში შექმნილმა წინააღმდეგობამ და დამაბულობამ ქვეყანა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე მიიყვანა.

2007 წლის 22 ივლისს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 42.5 მილიონმა ამომრჩეველმა. 10%-იანი ბარიერი გადალახა სამმა – „სამართლიანობისა და განვითარების“, „სახალხო – რესპუბლიკურმა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ – პარტიამ.

პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანის „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიამ, 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ხმების რაოდენობა 34,1 პროცენტიდან 46,47 პროცენტამდე გაზარდა.

2007 წლის აგვისტოში საპრეზიდენტო მოღვაწეობის ვადა უსრულდებოდა მოქმედ პრეზიდენტს ა. ნ. სეზერს. წინასაპრეზიდენტო მართონი ქვეყანაში დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. 2007 წლის 28 აგვისტოს თურქეთის პარლამენტმა მესამე ტურში სახელმწიფოს ახალი მეთაური ხმათა უმრავლესობით აირჩია. უფლებამოსილება 56 წლის აბდულა გულმა ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტისაგან (ახმედ ნეჯდეთ სეზერი) ანკარაში, ჩანკაიშის რეზიდენციაში გადაიბარა (, 2007).

2007 წლის 21 ოქტომბერს თურქეთში მმართველი პარტიის ინიციატივით ჩატარდა რეფერენდუმი საკონსტიტუციო ცვლილებების (მათ შორის პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის) შესახებ. ცვლილებებს მხარი დაუჭირა მასში მონაწილეთა 68,95%-მა. მმართველმა პარტიამ აღნიშნული ცვლილებების შემდეგ განაგრძო ახალი რეფორმების გატარება.

„სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ამ ცალსახა წარმატებების მიუხედავად, ლაიცის-ტურად (ლაიციზმი > ლაიქლიქ, წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „laicite,“ რაც ნიშნავს საერო ხასიათს. იგი გულისხმობს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან) მიჩნეულ ძალებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. ერთ-ერთი ბოლო გაბრძოლება იყო 2008 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში მმართველი პარტიის დახურვის მოთხოვნით საქმის აღძვრა. აღნიშნული საქმე პარტიის სასარგებლოდ დასრულდა.

2009 წლის 29 მარტს თურქეთში, მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ფონზე, ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. მმართველმა „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიამ ამომრჩეველთა 38,17% მოიპოვა. 23,5% – ით მეორე ადგილზე გავიდა „სახალხო-რესპუბლიკური“ პარტია, 14,3% – ით მესამე ადგილი დაიკავა „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიამ (ლებანიძე, 2011).

მმართველმა პარტიამ შეინარჩუნა პოსტები თურქეთის დიდ ქალაქებში, როგორცაა: სტამბული და ანკარა, მაგრამ დათმო პოზიციები ანტალიაში, დიარბაქირსა და იზმირში.

„სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ინიციატივით 2010 წლის 12 სექტემბერს ჩატარდა რეფერენდუმი საკონსტიტუციო ცვლილებებზე. ამჯერად რეფორმების პაკეტი მოიცავდა 26 მუხლის ცვლილებას. რეფერენდუმში მონაწილეთა 57,88%-მა მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას.

რეფერენდუმის შედეგად ცვლილებები განხორციელდა საკონსტიტუციო და სამხედრო სასამართლოებში, მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლეს საბჭოებში, გაიზარდა ადამიანის უფლებები, შეიცვალა პარლამენტის უფლებამოსილების ვადა და ა. შ.

2011 წლის 12 ივლისს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50.2 მილიონმა ამომრჩეველმა. 10% - იანი ბარიერი გადალახა სამმა – „სამართლიანობისა და განვითარების“, „სახალხო-რესპუბლიკურმა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ – პარტიამ (შაკარაძე, 2012).

როგორც ვხედავთ, საპარლამენტო არჩევნებში „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიამ ტრიუმფალურად, დამაჯერებლად გაიმარჯვა ი საერთო ჯამში, მმართველმა პარტიამ შეძლო არა მარტო მიღებული ხმების რაოდენობის გაზრდა, არამედ თურქეთის 81 გუბერნიიდან 61-ში გამარჯვება (მათ შორის სტამბოლში, ანკარაში, ტრაპიზონში, ანტალიაში, ართვინში და ა. შ.).

თურქეთის რესპუბლიკის ისტორიის მანძილზე პოლიტიკა და ჯარი ერთმანეთისგან გამოიჯნული არ ყოფილა. წლების განმავლობაში სამხედროები ქემალისტური რესპუბლიკის პრინციპების სადარაჯოზე იდგნენ. ყოველთვის, როცა პროდასავლური, ანტიკომუნისტური ან სეკულარული პრინციპები საფრთხის ქვეშ დგებოდა, სახელმწიფო საქმეებში თურქული ჯარი ერეოდა.

სამხედროებსა და სამოქალაქო ძალებს შორის დაძაბულობა – ეს არის დაპირისპირება ლაიცის-სა და ისლამიზმის მომხრეებს შორის. ქვეყანაში საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, რომელთაც შეზღუდეს არმიის პოლიტიკური როლი, არმიის ვალდებულებები უცვლელი რჩება უკვე 70 წლის განმავლობაში. სახელმწიფოს შიგნით არმია არის სრულიად ავტონომიური ინსტიტუტი. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამოტანისას და როგორც „სახელმწიფო სუვერენიტეტის მცველი“, აკონტროლებს პოლიტიკურ ხელისუფლებას. ტერმინი – „სამხედრო პატრონაჟის სისტემა“ – საკმაოდ ზუსტად აღწერს პოლიტიკურ წყობას, რომელიც ფუნქციონირებს თურქეთში.

სამხედროებსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება დღესაც გრძელდება. ხელისუფლებასთან კონფლიქტის შემდეგ, რასაც შეიარაღებული ძალების ძველი ხელმძღვანელობის გადადგომა მოჰყვა, თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გულმა დაამტკიცა შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელობის ახალი შემადგენლობა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა 2011 წლის 8 ივლისს მეჯლისში წაიკითხა ახალი, რიგით 61-ე მთავრობის პროგრამა, რომელიც იქცევა მომავალი ოთხი წლის თურქეთის საშინაო პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად.

2011 წლის 12 ივლისის საპარლამენტო არჩევნებში რეჯეფ თაიფ ერდოღანის პარტიის გამარჯვებამ კიდევ ერთხელ აჩვენა ის კურსი, რასაც „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია ახორციელებს და რომელსაც მხარს უჭერს თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ

თურქეთში საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შემდეგ პრემიერი ერდოღანი სერიოზულად იფიქრებს 2014 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის დაყენებაზე.

ლიტერატურა:

1. ადვიშვილი კ., თურქეთის პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, აღმოსავლეთ-მცოდნეობა, თსუ შრომები, 341, თბილისი, 2002. გვ. 75.
2. ლებანიძე ტ., თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა, თბილისი, 2011. გვ. 43.
3. მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980 – 2011 წლებში, თბილისი, 2012. გვ. 56.
4. . . . , 2007. გვ. 123.
5. XXI . . . , . . . , 2005. გვ. 142.
6. Volkan S. Siyasal slam ve AKP, Ankara, 2002. გვ. 58.

THE INNER POLICY OF TURKISH REPUBLIC IN 2002-2011 **Emzar Makaradze, Batumi Shota Rustaveli State University, Professor** **SUMMARY**

An unstable situation was created in the inner policy of Turkish Republic at the beginning of 2002. As a result it caused parliamentary elections ahead of time.

On **November 3, 2002** there were held parliamentary elections ahead of time, in which more than 10% of votes belonged to the party of Justice and Development and the National Republican party.

Nevertheless, the party of Justice and Development received **363** from **500** deputy mandates, what meant the victory of this party and becoming the head of the government.

On **November 18, 2002**, after appointment of Prime Minister Abdula Guli, it became necessary to take in short period of time those constitutional changes, which would cause appointment of R.Erdoghan on the position of Prime Minister without any legitimate obstacles.

After the constitutional changes R.Erdoghan had an opportunity to take part in the parliamentary elections, which he brilliantly won.

On **March 14, 2003** Erdogan became the Prime Minister of Turkish Republic, whom Sezer, the President of the country, officially obliged to establish the 59-th Government.

On **August 28, 2007** the Turkish Parliament elected Abdula Guli on the position of the President of the country.

On **July 12, 2011** the victory of Redjeb Taif Ertoghan party in the Parliamentary elections again pointed out the course, which is led by the party of Justice and Development, whose supporters belong to the majority of the Turkish population.

„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ზოგიერთი ებრაული დასახლების შესახებ

ელდარ მამისთვალიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

1723 წელს ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს, ხოლო 1728 წელს მოსახლეობა აღწერეს და შეადგინეს ფისკალური დოკუმენტი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XVIII ს. პირველი მესამედის აღსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ლინგვისტური, ონომასტიკური, ისტორიული გეოგრაფიის და სხვა საკითხების შესასწავლად. მასში აღნიშნულია მრავალი ასეული დასახლებული პუნქტის მოსახლეობისა და მათი ვალდებულებების შესახებ¹.

„დავთარში“ მოცემულია რამდენიმე ებრაული დასახლების (ზოგიერთი მათგანის შესახებ ცნობები მხოლოდ დავთარში მოიპოვება) გადასახადების გადამხდელ მამაკაცთა სახელები და მამის სახელები², აღნიშნულია მათი საგადასახადო ვალდებულებები. ეს დასახლებები იყო **საციციანოში** – სოფელ ატენში, სოფელ ჩანაბეთში, **ბორჯომის ხეობაში** – სოფელ ახალდაბაში, **სამილახვროში** – გვერდისუბანში, სოფელ ძალინაში, სოფელ ცხინვალში, თამარაშენში, სოფელ ქვედა არაგვისპირში.

„დავთარში“, ზუსტად აღნიშნულისა და ჩემ მიერ ნავარაუდები ებრაელი მამაკაცების საერთო რაოდენობა არის 381. თუ გავითვალისწინებთ, რომ დავთარში დასახლებულია გადასახადების გადამხდელი კომლის მეთაური, მაშინ სულთა რაოდენობა, სულ მცირე 2 ათასი მაინც უნდა ვივარაუდოთ. საყურადღებოა, რომ ამ ოსმალურ წყაროში, განსხვავებით იმავე პერიოდის ქართული წერილობითი ძეგლებისაგან, აღმოსავლეთის ხალხების ჩვეულების მიხედვით, სიებში მამაკაცები დასახლებულნი არიან მხოლოდ საკუთარი სახელებითა და მამის სახელებით. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ შესაბამისი პერიოდის ქართული დოკუმენტებითა და აღწერის დავთრების მონაცემებთან შედარების შედეგად შესაძლებელი იქნებოდა მრავალი მათგანის იდენტიფიცირება.

ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეიქმნას, თითქოს დავთარში დასახლებული მამაკაცების განსახლების ადგილების გარდა, მოცემულ პერიოდში სხვა დასახლებულ პუნქტებში ებრაელები არ ცხოვრობდნენ³. დავთარში აისახა იმ ადამიანების სახელები და მათი საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც განეკუთვნებოდნენ ვაკუფს – მუსლიმანურ ეკლესიას და რელიგიურ დაწესებულებებს. ვაკუფი იყო საქველმოქმედო მიზნით შეწირული ქონება. იგი შედგებოდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, ან სულთნის, დიდი ფეოდალების, დიდვაჭრებისა და, საერთოდ, კერძო პირების მიერ შეწირული უძრავი და მოძრავი ქონებისაგან. ასეთი შეიძლება ყოფილიყო საბაჟოს, ქარვასლის, მდაროების, წისქვილის და სხვ. შემოსავალი, სახნავ-სათესი მიწები. ისინი ხმარდებოდა მეჩეთების, დერვიშთა სავანეების, მედრესეების, საქველმოქმედო დაწესებულებების (უფასო სასაბილოები, საავადმყოფოები) მშენებლობასა და შენახვას. ვაკუფების შემოსავლის დიდი ნაწილი მუსლიმურ სასულიერო წოდებას ხმარდებოდა. ვაკუფების ჩამორთმევა, მიტაცება, გაყიდვა აკრძალული იყო და მისი შემოსავალი არ იბეგრებოდა⁴. ამგვარად, ოსმალების მიერ დაპყრობილი მიწები მუსლიმური მეჩეთების მფლობელობაში იყო და მუსლიმი მოხელეები განაგებდნენ.

დავთარში ყველგან, მამაკაცების სიის შემდეგ მოცემულია საგადასახადო ნუსხა, რომელშიც ქართველებიც და ებრაელებიც მოხსენიებულნი არიან, როგორც „ისფენჯი კაცები“, ე.ი. არამუსლიმანები, რომლებიც იყვნენ ისფენჯის გადამხდელები. ისფენჯი დაკისრებული ჰქონდა არამუსლიმან მოსახლეობას და ამიტომაც შესული იყო ყველა სოფლის საგადასახადო ნუსხაში და ყოველთვის პირველ ადგილზე იყო მოხსენიებული. ებრაელები იმავე გადასახადებს იხდიდნენ, რასაც ქრისტიანი ქართველები⁵.

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, თბილისი, 2009.

² სტატისის მოცულობის შეზღუდულობის გამო ვერ ხერხდება დავთარში აღნიშნული მამაკაცების სახელებისა და მამის სახელების გადმოცემა.

³ იხ. მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1996, 80-135.

⁴ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ., II, გამოკვლევა, კომენტარები, თბილისი, 1973, 138.

⁵ შდრ. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958, 341.

მკვლევართა შორის ისფენჯის შესახებ აზრთა სხვაობაა. ვფიქრობ, „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ გამომდინარე, მისაღებია განმარტება, რომელიც დამყარებულია „გურჯისტანის დიდი დავთრის“ მასალებზე და, ამგვარად, ქართულ სინამდვილეს ასახავს.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ „ისფენჯი“ ყველა სოფლის საგადასახადო ნუსხაში პირველად დასახელებული და მოსდევს სოფელში მცხოვრები ქართული სახელებისა და გვარების მატარებელი მამაკაცების სია.

ნ. შენგელია, როგორც ჩანს, იზიარებს ვ. გაბაშვილის განმარტებას „ისფენჯის“ შესახებ და აღნიშნავს, რომ „ისფენჯის“ გადასახადი დაწესებული იყო მიწით სარგებლობისათვის და მას იხდიდა ქრისტიანი მოსახლეობა¹.

ვფიქრობ, დავთარი უფლებას გვაძლევს, დასახელებული მკვლევრების მიერ ნაგულისხმევი „ისფენჯი კაცების“ წრე გავაფართოოთ და მათ შორის შევიყვანოთ ყოველგვარი საკუთრების მფლობელი არამუსლიმანი მამაკაცები.

ებრაელთა დასახლებებზე იმ მიმდევრობით ვისაუბრებ, როგორც „დავთარში“ მოცემული.

დავთრის მიხედვით, ებრაელების დასახლება იყო ატენში, რომელიც საციციანოს განეკუთვნებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის დროს და მისივე გადმოცემით, XVIII ს. პირველ ნახევარში, „ატენი“² მცირე ქალაქი, მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი³. ატენელ ებრაელებს საკუთარი სალოცავი ჰქონდათ. ქართული წერილობითი წყაროებითაც მათი მთავარი საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო.

დავთრის მიხედვით, სოფელი ატენი შედგებოდა სამი დასახლებისაგან: სოფ. ატენი, „ებრაელთა დასახლება“ და „დასახლება“, ცალ-ცალკეა მათი კომლთა მეთაურების ნუსხები (შესაბამისად 100, 52 და 23). ატენის გადასახადთა გადამხდელი მამაკაცების საერთო ჯამი (100) განაწილებულია მიწის მფლობელთა კატეგორიებად: მიწის დღიური მფლობელი – 50, თავისუფალი მიწის დღიური მფლობელი – 20, სამეუფეო ვენახის დღიური მფლობელი – 10, სამეუფეო ველის დღიური მფლობელი – 20. როგორც ჩანს, ატენელთა სიაში შეყვანილი ყველა მამაკაცი სხვადასხვა კატეგორიის მიწის მფლობელი იყო.

რაც შეეხება „ებრაელთა დასახლებას“ და „დასახლებას“, იქაური მიწის მფლობელი 75 მამაკაცისა და 100 ატენელის გარდა, ცალკეა იმ 20 პიროვნების სია, რომლებიც ფლობენ ვენახების გარკვეულ ფართობს – 79 დღიურს. ამას გარდა, ცალკეა „სამეუფეო ვენახის დღიური მფლობელობა 10“ და „ვენახი გავერანებულია, დღიური მფლობელობით 2“⁴. რადგან ოც „ვენახების მფლობელთა“ შორის დასახელებული არიან კათალიკოსი (ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო ბესარიონი – ბარათაშვილ-ორბელიშვილი – 1724-1738) და ამილახორი (გივი ამილახვარი), სავარაუდოა, ვენახის სხვა მფლობელებიც შიდა ქართლის დიდებულები იყვნენ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ადგილობრივი თავადი კოსტანტინე ძე კურბისალისა და აზნაურები – გარსევან ძე ალექსასი, გიორგი ძე ზურაბისა, ქაიხოსრო ძე ნიკოლასი, ბერბიჭა ძე ამირიასი, ბაბუნა ძე ლობითასი, რომლებიც შეყვანილნი არიან ატენის ისფენჯი კაცების და არა ვენახების მფლობელთა სიაში, მეტყველებს იმაზე, რომ ატენში ვენახების მფლობელი დიდებულები თავიანთი მაღალი სოციალური სტატუსით განსხვავდებოდნენ ადგილობრივი თავად-აზნაურებისაგან.

ატენში იყო 3 წისქვილი, რომლებიც დიდებულებს ეკუთვნოდათ, მაგრამ კონკრეტულად ვის, მითითებული არ არის.

ამ დიდებულთა სიას რომ გადასახადების ჩამონათვალი მოსდევს, ის საერთო უნდა ყოფილიყო ყველა მიწათმფლობელისათვის, მაგრამ 20 ვენახის მფლობელი დიდებული არ შედის „ისფენჯი კაცებში“. სავარაუდოა, ზოგიერთი „ისფენჯი კაცები“ ფლობდნენ გარკვეული ფართობის ვენახებს, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს „უმრის გადასახადი ვენახზე, დონუმი 30, თითოეულს 40, ახჩა 1200“⁵.

ატენელი 175 მამაკაცი და, მათ შორის, 52 ებრაელი, როგორც ითქვა, შეადგენდნენ „ისფენჯი კაცს“. ისინი იხდიდნენ (მითითებულია საწყაოთა რაოდენობა და შიგთავსი მარცვლეულის ფულადი

¹ გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში. თბილისი, 1958, 341; შენგელია ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. თსუ შრომები, №91, თბილისი, 2000, გვ. 281.

² მონიშვნა ყველგან ჩემია.

³ ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, 380.343.

⁴ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, 172-173.

⁵ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, 173.

ღირებულება) ხორბალს, ქერს, ჭვავს, ფეტვს, უშრის გადასახადს ვენახზე, გადასახადს ერბოზე, სკაზე, ცხვარზე, არუსენაზე (საქორწინო გადასახადი, რომელსაც პირველი დამის უფლების გამოსყიდვის სახით იხდიდა ის, ვინც ქორწინდებოდა¹), ხილზე, წისქვილზე და სხვა.

ფრიად საყურადღებოა „დავთრის“ ინფორმაცია სოფელ *ჩანაბეთის* (მდებარეობდა ქარელსა და ხაშურს შორის, აგარის მახლობლად) შესახებ: „სოფელი ჩანაბეთიც ექვემდებარება საციციანოს. ხსენებულ სოფელს მიწა არ აქვს. იქ მცხოვრები რეაიაც (გლეხები – ე.მ.) ებრაელების მოდგმისანი არიან. ისინი მეურნეობას ეწევიან. ახალ დავთარში არიან რეგისტრირებულნი“. დასახელებულია „კაცი თავადი 28“. ამის შემდეგ ცალკე მოცემულია „კაცი ებრაელი რაოდენობა 112“, მათი სახელები და მამის სახელები, რომლებიც „ებრაელთა დასახლებას“ განეკუთვნებოდნენ².

ებრაელთა დასახლებაში იყო 15 დუქანი და 1 სამღებრო. მოსახლენი ისევე, როგორც ვაკუფის მფლობელობაში არსებულ სხვა დასახლებებში, იხდიდნენ ზემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს და სხვა გადასახადებს³.

ბორჯომის ხეობის „სოფელი *ახალდაბა*, ექვემდებარება პეტრეს“. ვახუშტის მიხედვით, ახალდაბის მოსახლეობას შეადგენდნენ მხოლოდ ქართველები და ებრაელები⁴. დავთარი გვაუწყებს, რომ ახალდაბის 103 ისფენჯი კაციდან 48 ებრაელი იყო და ისინიც დატვირთული იყვნენ იმავე გადასახადებით. ქართული დოკუმენტური წყაროებით, ახალდაბელი ქართველები და ებრაელები მისდევდნენ სოფლის მეურნეობასა და აღებ-მიცემობას. მოღწეულია ახალდაბელი ებრაელების მიერ მიწების ყიდვა-გაყიდვის, ზოგიერთი მათგანის ქრისტიანობაზე გადასვლის საბუთები. გადმოცემის მიხედვით, ამ სოფელში ოდესღაც 150 ებრაული ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ მტრების შემოსევების შედეგად სხვადასხვა ადგილებში გაიფანტნენ⁵. როგორც ითქვა, დავთრის მიხედვით, XVIII ს. პირველ მეოთხედში იქ 48 ოჯახი ცხოვრობდა, XIX ს. დასაწყისში კი დარჩენილი იყო მხოლოდ 8 კომლი, ხოლო იმავე საუკუნის შუა ხანებში აღარც ერთი ცხოვრობდა.

საამილახვროს სოფელი იყო *გვერდისუბანი*, სურამსა და სოფელ ბეკამს შორის, სადაც აღრიცხული იყო 46 ებრაელი მამაკაცი⁶. ებრაელთა ეს დასახლება, უეჭველია, სურამის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „სურამი, მცირე ქალაქი, მოსახლენი ქართველნი, სომეხნი და ურიანი“⁷. ცნობილია, რომ სურამში ებრაელები ცხოვრობდნენ უძველესი დროიდან და თავიანთი კვარტალი ჰქონდათ⁸.

საამილახვროში, სოფელ *მადინაში*, მდ. ფრონეს ხეობაში, მუხაურისა და ყორნისის მახლობლად, არსებობდა ებრაელთა დასახლება. ვახუშტი ებრაულ მოსახლეობაზე გადმოგვცემს მხოლოდ მუხაურში: „ამის (თიღვას ჯვრის მონასტრის – ე.მ.) ჩრდილოთ არს მადინა... აქავ, მდინარის კიდეს, არს მუხაური; მოსახლენი არიან ურიანი და სომეხნი ვაჭარნი“⁹. 1751 წლის ერთი საბუთით მუხაურის მამასახლისის შვილი მარდახა უჩიოდა სხვა ორ ებრაელსა და ორ ქართველს, რომლებიც ვალს არ უბრუნებდნენ¹⁰.

დავთარში მადინასა და ებრაულ დასახლებაში სულ აღრიცხულია 118 მამაკაცი (მადინაში – 33, ებრაელთა დასახლებაში – 85), მაგრამ დასახელებულთა სახელებითა და მამის სახელებით შთაბეჭდილება იქმნება, რომ, სავარაუდოდ, ებრაელი უნდა ყოფილიყო 45 კაცი, ხოლო დანარჩენი კი ქართველი და სომეხი¹¹.

საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ *ცხინვალში*, სადაც ცალკე აღნიშნული არ არის, მაგრამ მოსახლეობის საერთო მასიდან, სავარაუდოდ (სახელების მიხედვით), გამოიყავი 9 კაცი¹². ქართული დოკუმენტებით (მაგ. XVIII ს. მეორე ნახევრის ცხინვალის მოსახლეობის აღწერის დავთარში

¹ ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს მ. მახარაძემ და ნ. შენგელიამ, თბილისი, 2008, 147.

² 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 206-207.

³ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 204-207.

⁴ ქართლის ცხოვრება. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, 380.

⁵ მამისთვალისშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, 91-92.

⁶ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 264-265.

⁷ ქართლის ცხოვრება. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, 377.

⁸ მამისთვალისშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, 122.

⁹ ქართლის ცხოვრება. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, 376

¹⁰ საქართველოს ებრაელთა მუზეუმის შრომები, I, გვ. 179, №21; მამისთვალისშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, 117.

¹¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 315-316.

¹² 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 356, 358.

აღრიცხულია ებრაელთა 22 ოჯახი. ცნობილია, რომ შემდგომში ცხინვალში უფრო მეტი ებრაელი ცხოვრობდა¹.

იგივე ითქმის ცხინვალის სიახლოვეს არსებულ სოფელ თამარამენზეც, რომლის სამოცდაათკაციანი სიიდან გამოვარჩიე 20 ებრაელი².

სოფელ *ქვედა არაგვისპირში*, ჟინვანის მახლობლად, აღრიცხული იყო „კაცი ებრაელი 9“. ცხრაკაციან სიას ანოტაციის სახით წამმღვარებული აქვს შემდეგი: „ხსენებული რეაია (გლეხები – ე. მ.) აქენჯის (მომთაბარე – ე. მ.) ტომისანი არ არიან, რადგანაც ისინი ჯულფას მოდგმისანი არიან, გადასახადებს სოფლის მკვიდრთ აბარებენ, ასეა ეს რეგისტრირებული ახალ დავთარში“. დავთრიდან მოყვანილი ეს ამონარიდი ჩემთვის მთლად გასაგები არ არის. კერძოდ, გაუგებარია, რას აღნიშნავს „ჯულფას მოდგმისანი არიან“? ხოლო ის, რომ ქვედა არაგვისპირელი ებრაელები „გადასახადებს სოფლის მკვიდრთ აბარებენ“, უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ისინი არცთუ დიდი ხნის ჩასახლებულნი იყვნენ ქვედა არაგვისპირში.

საინტერესოა, რომ აღნიშნული დასახლების 9 ებრაელ კაცსა და მათს ოჯახებზე (ამ სოფელში სხვა მოსახლეობა არ არის აღწერილი) მოდიოდა 9 დუქანი და 6 სახლი. ჩანაბეთისა და არაგვისპირის დუქნების სიმრავლე (შესაბამისად 15 და 9) იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დუქნებით ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაც სარგებლობდა.

ჩემთვის გაუგებარია არაგვისპირელი 4 კაცის სახელსა და მამის სახელთან ერთად მოცემული შემდეგი სიტყვები: ხალიფა, ჩუბიკა, ჯულკა, ჯუბიკა³.

“TBILISI VILAYET GREAT BOOK OF 1728” ABOUT SOME JEWISH SETTLEMENTS

Eldar Mamistvalishvili, Gori State Teaching University, Professor

RESUME

The Book presents male taxpayers' names and father's names⁴ and their tax obligations in some Jewish settlements. These settlements were located in Satsitsiano – in the villages of Ateni and Chanabeti; in Borjomi Valley village of Akhaldaba; in Saamilakhvro – in the villages of Gverdisubani, Dzaghina, Tskhinvali, Tamarasheni and Lower Aragvispiri.

¹ მამისტვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, 131-133.

² 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 359-360.

³ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 427-428; მამისტვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, 88-89.

⁴ Due to the volume limit, it is impossible to present the taxpayers' names and father's names mentioned in the Book.

ონომასტიკური მასალები ლიახვის ხეობიდან თურქული აღწერის მიხედვით

ნიკოლოზ ოთინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

2012 წლის 30 მარტს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-თურქული ურთიერთობების“ შესახებ. მაშინ წარმოვადგინეთ მოხსენება სათაურით „ონომასტიკური ძიებანი ფრონეს ხეობიდან“.

მაშინაც და ახლაც ვეყრდნობით 1728 წლის თბილისის ვილაიეთის ვრცელ დავთარს, წიგნს, რომელიც ერთი საუკეთესო წყაროა საქართველოს ისტორიისა და სხვა მრავალი მომიჯნავე დარგისათვის. დავთარი შესაძლებლობას იძლევა, შესწავლილი იქნეს მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის, პირველ რიგში, ოსმალური გადასახადები, საგადასახადო სისტემა, სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ქართლის მთელ რიგ რეგიონებში არსებობდა.

ამჯერად ჩვენ შევეცდებით, ხსენებული დავთრის მიხედვით წარმოვადგინოთ ზემო ქართლის, კერძოდ, ლიახვის ხეობის მთელი რიგი სოფლები, რომლებიც დღეს ეთნიკურად შეცვლილია, მაგრამ იმ დროისათვის მთლიანად ქართული იყო. ასევე ნასოფლარები, რომლებიც დავთარშია წარმოდგენილი იმდროინდელი მოსახლეობის სახელისა და მამის სახელის მიხედვით, მაგრამ დღეს ნასოფლარია.

დავთრის პირველი ტომი შეიცავს 528 გვერდს, ყდის მარჯვენა ყუაზე გაკეთებულია მინაწერი, რომელიც ასე იკითხება: „ის (ალაჰი) შეეწიოს. წიგნი პირველი. ვრცელი საგანგებო დავთარი. თბილისის, გორის, საამილახვროს, ქსნის, არაგვის, ბაიდარის, მუხრანის, თრიალეთის, გომარეთისა და ყაიყულის შესახებ. წელი 1140. (19.6.1727. – 6.8.1728 წელი).

სანამ ძირითად საკითხზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ლიახვის ხეობის სოფლებისა და ნასოფლარების იმდროინდელი აღწერის მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მთელი რიგი საკითხები, მათ შორის, საკუთარ სახელთა წარმოება ქართული ენის მდგომარეობის ასახვაა.

ხეობის სოფლების: თიხრევის, ტბეთის, რუსთავის, მონასტრის, დამპალეთის, თამარაშენის, ცხინვალისა და სხვა დასახლებული პუნქტების 1728 წლის აღწერა ყურადღებას იპყრობს იმდროინდელ საკუთარ სახელთა სისტემით. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული აღწერები მთლიანად საკუთარ სახელზე გადის. თურქული სინამდვილიდან გამომდინარე, სტილი ასეთია: აღწერილია მხოლოდ მამაკაცები, რომლებსაც გადასახადის გადახდა ევალებოდათ.

დავთრის მიხედვით, სოფელი თიხრევი ექვემდებარება ამილახვარს (დავთარი, 2009). იმ დროს სოფელში ცხოვრობდა 7 ოჯახი, ევალებოდათ სამივე სახის - ნატურალური, შრომითი და ფულადი გადასახადი. ეს სისტემა ყველა სოფელზე ვრცელდებოდა.

სოფელი ტბეთი, რომელიც ერთ-ერთი ძველი დასახლებაა მხარეში, ტბელთა ძლიერ გვარს ეკუთვნოდა და ისინი დაწინაურებული იყვნენ საქართველოს გაერთიანების ხანაში. თურქული აღწერის დროისათვის სოფელი ეთნიკურად ქართულია. აქ 22 კომლი ცხოვრობდა, რომლებსაც მიწერილი ჰქონდა გადასახადები (დავთარი, 2009).

სოფელი რუსთავი ტბეთიდან ჩრდილოეთით ოთხი კილომეტრის დაცილებით მდებარეობს. იმ დროს თერთმეტი ოჯახი სახლობდა, ეთნიკურად ქართველები. შემდეგი სოფელი თამარაშენი, რომელიც ახლოსაა ღუსირეთთან, დღევანდელი კუსირეთი (ნასოფლარი), კომლთა რაოდენობა 70. 42 სახლია მოსახლეობისაგან ცარიელი. მიწის გადასახადი 20 ახჩა, საერთო ჯამია 20480 ახჩა.

სოფელ აჩაბეთის კომლთა რაოდენობაა 15, სოფელში რვა სახლია. მიწაზე გადასახადი არის 50 ახჩა, სულ 6530 ახჩა.

ქურთის კომლთა რაოდენობაა 18; სოფელში ათი სახლია. ოსმალური გადასახადია 8880 ახჩა. სოფელ სვერის კომლთა რაოდენობაა 19. სოფელში რვა სახლია. მიწაზე დაწესებულია გადასახადი 50 ახჩა. საერთო გადასახადი შეადგენს 7800 ახჩას.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ მონასტერში, წარბში (დღეს ნასოფლარია), ქურთაში, ქემერტში, ხეთში.

ადამიანთა საკუთარი სახელები წარმოშობით ისევე ძველია, როგორც საზოგადო სახელი. დროთა განმავლობაში იცვლებოდა სახელები, ჩნდებოდა ახალი, იცვლებოდა სახელების დარქმევის ხელოვნებაც, რაც საინტერესოა ეპოქების მიხედვით. საკუთარი სახელების შემსწავლელ მეცნიერებას ეწოდება ონომასტიკა. საკუთარი სახელი, უპირველეს ყოვლისა, არის სიტყვა, რომელიც ლექსიკური ერთეულია. ლექსიკა კი არის ლინგვისტიკის შემსწავლელი დარგი.

ონომასტიკა ლექსიკოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც სპეციალურ დარგად გვიან ჩამოყალიბდა. საკუთარ სახელებს ისტორიულად სხვადასხვა წარმოშობა აქვთ, რასაც სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა. საკუთარ სახელთა ისტორიას შორს მივყავართ. მათი დიდი რაოდენობა მეტსახელებისაგან მომდინარეობს. მეტსახელების დარქმევის ხელოვნება ახლაც ხშირია ნებისმიერ დასახლებაში, რასაც ასევე შესწავლა ესაჭიროება.

ადამიანს საკუთარი სახელი იმიტომ სჭირდება, რომ ის საზოგადოების სრულყოფილი წევრი იყოს, ჰქონდეს სოციალური სტატუსი. ზემოხსენებულ დავთარში სოფელ ტბეთში (გვ. 352), რუსთავში (გვ. 353), დამპალეთში (გვ. 354), გვხვდება საკუთარი სახელი ბერი და ბერის ძე. აქ ასახულია ორი საფეხური, პირველი, როდესაც ბერი საკუთარი სახელია და მეორე, როდესაც დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. მაგალითად, ტბეთში ზათუნა ძე ბერისა, ონია ძე ბერისა, იორდანე ძე ბერისა. რუსთავში: ლევან ძე ბერისა; დამპალეთში: ესტატე ძე ბერისა, ნონია ძე ბერისა და მრავალი სხვა. მომდევნო ან წინა წლების ქართული აღწერის დავთრებში ხშირად გვხვდება ბერის ძე, ბერუაშვილი, ბერის საყდარი, ბერუანთი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეს სიტყვა შუას, შუათანას ნიშნავს (ჯ. ლომაშვილი, 1984).

დავთარში საკუთარი სახელები, ძველი ქართულის მსგავსად, ფუძის სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად, სოფელ ცხინვალიდან: დათუნა, ესტატე, სეხნია, გარსევან, დიმიტრი, ფარსადან, შერმაზან, ლაზარე, დავით, ბაინდურ, სიმონ, როსტომ, იორამ, ბაბურ, იოსებ, სურბეთ... (გვ. 356, 357). ყველა სახელობით ბრუნვაში არის მოქცეული.

სტრუქტურული თვალსაზრისით საკუთარი სახელის ბოლოში გვაქვს ხმოვნები: -ა: თამაზა, გენება, ხოსიტა, ბედანა, ალხაზა, ოთარა, აბრამა, მახარა, ჩახუნა, ბაბუნა, ბიძინა, ლევანა, ბასილა, ზათუნა, ზოდია...

დაბოლოებული ე-ზე: იასე, იორდანე, პავლე, თევდორე, მახარე, თედორე, ესტატე...

დავთარში, ძირითადად, იმდროინდელი, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის ანთროპონიმებია წარმოდგენილი, რომელთა დიდი ნაწილი დღეს ხმარებიდან გამოსულია, ბევრიც ზედმეტ სახელებში გადავიდა, ნაწილი კი გაქრა.

ონომასტიკაში, ძველი ქართული ენის სისტემაში არსებული ანთროპონიმული ლექსიკა იწოდება, როგორც ინდიგენური ლექსიკა. ასეთმა ლექსიკამ შეიძინა თავისებური (ინდივიდუალური) ნიშან-თვისებები და იქცა ობიექტის სახელად - ონიმად.

ასეთი სახელები ენის უძველესი ფონდის კუთვნილი სახელებია, დაკარგული აქვთ ძველი სახე, ისინი მაინც პირველი ანთროპონიმებია, სადაც კარგად ჩანს სახელთა ჩამოყალიბების გზა და მეტყველება-აზროვნების გზაც.

დავთარში გვხვდება ინდიგენური სახელები, სადაც გამოიყოფა სემანტიკური ჯგუფები. მათგან აღსანიშნავია ზოოფირული ანთროპონიმები, ასეთებად მიჩნეულია ცხოველთა და ფრინველთა აღმნიშვნელი სახელებისაგან წარმოქმნილი სახელები: შოშია, ვეფხვია, დათუნა, ლომია, ლომისა, მგელიკა, გელიკა, ძაღლუა და სხვები. ზოგიერთი მათგანი ხშირად ათჯერ მეორდება.

დავთარში საკუთარი სახელები გვხვდება ია დაბოლოებით. აღნიშნული სუფიქსი დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოში გვარების დაბოლოებად გვხვდება და ის დაერთვის როგორც ხმოვნიან, ისე თანხმოვნიან სახელებს. მაგალითად: ეზუგბა-ია, შენგელ-ია...

აღნიშნულის შესახებ სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, რომ გვარში მარკირებული -ია მოდის -იან სუფიქსისგან, რაც თავის მხრივ კრებითობის, ადამიანთა ერთობის მიმანიშნებელია და ყველაზე კარგად სვანეთშია დაცული (ჯანაშია, 1959).

ზემოხსენებული აღწერის მასალებში ყურადღებას იქცევს -ის სუფიქსი, რომელიც ყველა საკუთარი სახელის, მამის აღმნიშვნელია: ბასილა ძე გორგისა, თამაზა ძე ბერისა, ხოსიტა ძე ბაბუნისა, თევდორე ძე ბერისა, ონია ძე გორგისა, ზადია ძე ფარემუზისა...

ამ სუფიქსს შ. აფრიდონიძე უწოდებს ნანათესაობითარი სახელობითის დაბოლოებას და აღნიშნავს, რომ მას სასიყვარულო, მოფერებითი მნიშვნელობა აქვს (აფრიდონიძე, 1995).

თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი არის ძვირფასი ძეგლი, რომლის მიხედვით მრავალი საკითხის გარკვევა შეიძლება, რაც XVIII საუკუნის საქართველოს სინამდვილესთან არის დაკავშირებული. ეს კი სამომავლო საქმეა.

ლიტერატურა:

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 351, 352, 354, 357, 358, 359, 361, 362).

ჯიბო ლომაშვილი, ეტიუდები, „მერანი“, თბ., 1984, გვ. 90.

ს. ჯანაშია, თუბალ, თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები III, 1959, თბ., გვ. 40-41.

შ. აფრიდონიძე, ანთროპონიმთა მიმართვის ფორმები ყაზბეგის პროზის მიხედვით. ონომასტიკური ძიებანი I, ახალციხე, 1995.
ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982.
ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, „ცოდნა“, თბ., 1964.

ONOMASTIC MATERIALS FROM LIAKHVI GORGE ACCORDING TO THE TURKISH RECORDS

Nikoloz Otinashvili, Gori state teaching University, Associate Professor
RESUME

Tbilisi Vilaieti big document of 1728. book 1, represents one of the best sources of the first half of the 18th century in order to understand the Georgian reality.

According to above mentioned document there are given data of the villages and the former villages of Didi Liakhvi where we can find the names of the inhabitants of that time of such villages of the gorge as Tikhrevi, Tbeti, Rustavi, Monasteri, Dampaleti, Tamarasheni, Tskhinvali, Achabeti, Kurta, Kemerti and so on. The system of the names should be paid attention because „records“ are mainly focused on proper names.

There are given for example the number of the houses being in a certain village, or how many people lived there, how much they paid in their land and the total amount of the payment.

The proper names in the document belonged to the men considered as the supporters of the families. For example from Tskhinvali: Datuna, Estate, Sekhnia, Garsevan, Dimitri, Parsadan etc.

In terms of the structure we can find vowels –a at the end of the proper names: Tamaza, Khosita, Alkhaza, Otara, Abrama, Makhara, Chakhuna, Babuna, Levana, Basila etc.

ending in –s – Iase, Iordane, Pavle, Tedore, Makhare. There are given anthroponyms of the first half of the 18th century the most part of which is out of use today.

The anthroponymic words of the language system of that time obtained individual features and turned into onibad, the name of the object.

We can find such indigenic names in the document where we can stress Semantic groups.

Above mentioned document represents a very farouvarable document and according to it we can solve many problems which is connected with the Georgian reality of the 18th century Georgia.

LEARNING TURKISH EXPERIENCE ON SME-SPECIFIC POLICIES

Tatiana Papiashvili, International Black Sea University, Georgia, Professor
Ilyas Ciloglu, International Black Sea University, Georgia, Associate Professor

Introduction

SMEs play an important role in the economies of almost all countries, because of their number and the large share of the workforce involved. The number of small, medium or large enterprises is determined by market competition. The growing specialization of modern industries often leads to a more diversified production process, with many semi-finished goods. This gives SMEs a good chance to grow by producing highly specialized and technologically advanced parts. As a result, both large firms and SMEs can survive.

Georgian and Turkish economies are not exceptions of this global trend. But government policies towards SME are completely different in our countries. Last decade Turkey has achieved great success in economic development measuring as GDP growth and poverty reduction. Among the numerous factors of success is SME-specific policies. Specifically, the Turkish government has recognized that a stronger SME sector is critical player to achieve several national strategic goals. SMEs are expected to (a) produce large numbers of far better-paying jobs, (b) create much more value added, (c) give a significant boost to Turkish exports, (d) be significant contributors to

government policy and programmes that foster development in the least developed regions (Nurrachmi, Khairunnisa, Foughali, 2012).

In contrast, the Georgian government announces that business environment is the best suitable attribute of Georgian economy and any business, no matter the size, has a good chance to grow. Apparently, there is no need to the special SME oriented policy (Georgia, 2011).

The aim of this article is to study Turkish government experience on SME-specific policy. The study would be valuable because Turkey (1) has much more experience in cooperation with EU; (2) is a candidate-country to join EU; (3) has more experience of implementing EU rules and standards. The study will help to work out the framework for recommendation to Georgian government authorities.

SMEs as a major part of Turkish economy

Looking at the retrospective of the role of SMEs in Turkish economy, the *first lesson* can be learnt -the role of SMEs has been changing along with the changes in general business and entrepreneur environment. In particular, generally unfavorable business environment in 1993-2003 marked by sharp fluctuations of GDP (ranged between +8.4% in 1993 and -7.5% in 2001), two recessions, high inflation rate (measured by the GDP deflator, exceeded 50% a year, with a peak of more than 100% in 1994), depreciation of the Turkish lira (by about 65% a year) led to an average GDP growth rate of only 2.1% per year. Additionally, large fluctuations in domestic demand and extremely high real interest rates, even on government debt, had a strong adverse effect on the possibilities for SMEs to survive. The financial and banking crises of late 2000 and early 2001 had direct and indirect effects on SMEs. During this period the volume of credit to the private sector shrank by nearly 15% in real terms and even more for SME (Turkey; 2013; OECD, 2012).

The adoption and implementation of the 8th Five-year Development Plan (2001-2005), has changed the country's industrial policy and negative trends. Economic policy was aimed on achieving more stable and higher growth, better environment and a healthy, competitive SME sector by restarting sound public finances, reducing high and fluctuating inflation rates, restructuring and strengthening the weak banking sector, harmonizing policy elements with EU rules (Small and medium-sized, 2004; p.31).

New industrial policy contents

The *second lesson* closely related to the first one, is that in Turkey SME policy is an integrated part of country's macroeconomic long-run strategy. Specifically, the Turkish authorities have recognized that SME-specific policies call for action in a wide range of policy domains including legislation and government regulations, banking sector policy, FDI policy, tax system, education system, R&D, competitive policies, labour market regulation, social policies, others. These actions address the need to create a healthier overall economic environment in which the business sector and SMEs, in particular, operate.

In light of the SME sector weaknesses, attention is focused especially on three areas: *financing, non-financial support, and technology* (Small and medium-sized, 2004; p.32). The actions undertaken in these three areas are focused on education and training, creation of new enterprises, enhancement of SMEs capacity to take advantage of technology and legislative and regulatory problems.

Education and training is the primary goal aimed on developing skills of all economic participants at all levels of economic activity and, first of all, to encourage the spirit of entrepreneurship and to develop vocational education along with training and advisory services. Moreover, information for SMEs is needed in the realm of technology, management and benchmark policies.

In order to ensure the development and long-term survival of technically and economically competitive businesses, entrepreneurs need access to information on business environment and markets. They need to know strategic development plans and to have the access to market research.

Creation process of new enterprises is crucial element in business environment. Over last decade this process was significantly simplified by reducing bureaucratic red tape, the development of information agencies and a strengthening of their co-operation with these start-ups.

Enhancement of SMEs capacity to take advantage of technology is a core aspect of the SME development strategy in Turkey. It includes technology dissemination, transfer and collaboration of the firms involved in research and application of technologies.

As in many other countries, Turkish SMEs need easier and more frequent access to training, consultation and support in the area of R&D in order to improve the quality of their products and bring them into line with legislation on technical standards and European regulations. The implementation of these strategies has required the creation of technological and industrial development areas, clusters of local and regional businesses, communications networks that include the use of Internet networks in the areas of technological data exchange, vocational training, dealings with government and online commerce.

Legislative framework creates a basis for forming business environment in the country and operating of enterprises. Since 2001 Turkey has made a commitment to fundamental regulatory reform, which has gathered pace with the adoption of the economic transition program. The ultimate goal of this reform is to bring Turkey's regulatory structure in line with international standards. Beyond the regulatory reform, special measures have been implemented to allow SMEs easier access to sources of financing and special aid systems (Doing Business, 2013).

European Charter for Small Enterprises

The third lesson is that all reforms in Turkey are in compliance with European rules, standards, and policies. In other words, SME policies are in line with the guidance for SME policies set out in the Bologna Charter and the European Charter for Small and Medium-sized Enterprises.

In June 2008, the European Commission launched the Small Business Act (SBA) for Europe – a wide-ranging set of pro-enterprise measures designed to alleviate administrative burdens, facilitate SMEs access to finance and support SMEs access to markets. The SBA reflects the political will to recognize the central role of SMEs in the EU economy and, for the first time, puts into place a comprehensive SME policy framework for the EU and its Member States (SBA Review: SBA, 2011).

SBA action plan consists of 10 principles (A "Small", 2008):

- Promoting entrepreneurship
- "Second chance"
- "Think Small First"
- Responsive administrations
- Access to public procurement
- Access to finance
- Single market
- Skills and innovation
- Turning environmental challenges into opportunities
- Support to internationalization

It has been recognized that to bring Europe back to growth and higher level of employment, Europe needs more entrepreneurs who will establish new companies, especially SMEs (Entrepreneurship 2020; 2013).

Turkey subscribed to the Charter at the April 2002 conference in Maribor. It extends to all ten areas covering almost the entirety of actions to be undertaken in connection with a medium-to-long-term SME country's development strategy (Enterprise in Turkey; 2005).

SME-specific policies directions

Besides the national strategies, SME-specific policies and programs were put in place that provides the sector with the support it needed to prosper. The main objective of SME policy is to improve the productivity of the SMEs, to increase their share within total value added, and to enhance their international competitiveness.

This is *the fourth lesson* that can be learnt from Turkish experience- an active role of government at all stages of SME policies: from the beginning or initiative/ developing one till realization of the programs, their monitoring and control.

The basic document that defines the policy of Turkey on SMEs is "*SME Strategy and Action Plan*" (KSEP). Turkey's first "*SME Strategy and Action Plan*" was prepared in 2003 (approved in 2003 and revised in 2007-2009) (SME Support; 2010). The third SME Strategy and Action Plan for the period of 2011 - 2013 was prepared in 2011. KSEP's general purpose in 2011 – 2013 is "sensitivity to the needs of small business in the business environment, accessibility and quality of service and support for SMEs in high-production, and increase the added value to the amount of investment to ensure growth".

There are 5 priority areas and 16 objectives in the plan:

- Improving and supporting entrepreneurship
- Improving the managerial skills and institutional proficiency of SMEs
- Taking into consideration the needs of SMEs while improving the business and investment climate
- Improving SMEs' R&D and innovation capacity
- Making access to finance easy for SMEs (Enhancing the competitiveness, 2012; p.12).

A large number of public bodies are involved in framing and implementing SME-specific policies: Ministry of Industry and Trade, Undersecretariat of State Planning Organisation (SPO), Undersecretariat of Treasury, Undersecretariat of Foreign Trade (DTM), State Institute of Statistics (SIS), Small and Medium Industry Development Organisation (KOSGEB), Turkish Union of Chambers of Commerce, Industry, Maritime Trade and Commodity Exchanges (TOBB), Confederation of Tradesmen and Artisans of Turkey (TESK), and other institutions provide SMEs with support and services in the areas of technology, scientific and technical research. (SME strategy, 2004).

KOSGEB, the organization affiliated to the Ministry of Science, Industry and Technology, is the main body for executing the policies regulating the SMEs. KOSGEB has a complicated structure. Within this framework, there are 35 Enterprise Development Centers, 20 Technology Development Centers, 8 Incubators Without Wall and 76 Synergy Focal Points (SMEs in Turkey; n/d).

KOSGEB supports are classified into two groups: 1. Supports under KOSGEB Support Regulation; 2. SME Credit Support Mechanism. KOSGEB provides support in different domains: training and consultancy, technology development and innovation, informatics, quality development, market research and export promotion, international cooperation, regional development, entrepreneurship development (Tezyet, 2007).

KOSGEB develops a lot of special programs, for example, SME Project Support Program, R&D Innovation and Industrial Implementation Support Program, Entrepreneurship Support Program, General Support Program, Cooperation-Collaboration Support Program, Thematic Project Support Program, Emerging Enterprise Market SME Support Program, Start-up Capital Support Program, others (Enhancing the competitiveness, 2012; p. 21-28).

There is no doubt that all of these programs are important for Turkish business community. Keeping in mind, that the main constraints for SMEs development both in Turkey and in Georgia are inadequate skills and access to finance (Republic of Turkey, 2004; Eker, Correa, 2010; Georgia Business; 2012), this paper is focusing on the first issue leaving the last (SME access to finance) as a theme for the future research.

Developing skills as a policy priority

And the last but not the least, *lesson* concerns policy priorities. As mentioned above, lack of qualified, market-oriented labor force is a common problem for both countries – Turkey and Georgia. Unlike Turkey, in Georgia majority of population has higher education. Despite of this, their skills are not aligned with market and industry needs. Thus, Turkey’s experience may be valuable for Georgia as well.

In Turkey education and training for entrepreneurs is realized through implementation of training and educational programs adding entrepreneurship into the high school and university curricula, encouraging provision of training for entrepreneurs in a variety of ways including the use of IT and distance learning. Universities are considered to have a major role to play in the development of an innovative enterprising economy. On another side, well-managed interaction between business and academia is beneficial to all parties - students, researchers, and managers, alike. In Turkey internship programs are provided at the national level, they offer an excellent means to introduce bright students to the challenges of industry and for industry to sample at first hand potential future employees (Enterprises in Turkey, 2005; A Framework, 2005)

Another example is *Entrepreneurship Support Program* provided by KOSGEB. The program aims on disseminating the entrepreneurship culture in the society and on raising the employment level. The “*Applied Entrepreneurship Training Program*” (Start-up) is a sub-program of the “*Entrepreneurship Support Program*”, and it explains to entrepreneurs how to set up their business. The local partners are ISKUR – the Employment Agency of Turkey, municipalities, chambers, NGOs, universities, etc. (Müftüo lu, 2009). The *Applied Entrepreneurship Training Support Program* is free of charge and is composed of the following:

- The duration - 60 hours.
- Entrepreneurial self-test, business idea development, creativity exercises – 9 hours.
- Business plan concept and its elements (market survey, marketing plan, production plan, management plan, financial plan) – 18 hours.
- Workshops (market survey, marketing plan, production plan, management plan, financial plan) – 24 hours.
- Writing and presenting a business plan – 9 hours.

These training programs received great public interest and number of participants increases from year to year (Table 1).

Table 1. Applied entrepreneurship training

	Number of programs	Number of classes	Number of participants
2010	309	453	11,534
2011	1,446	1,773	45,370
Total:	2,077	2,611	67,996

Source: Enhancing the competitiveness, 2012; p.37

Additionally, when it is a “KOSGEB-approved” business plan, the graduates become eligible for the start-up capital support given by KOSGEB through the “*Support for New Entrepreneurs*” program, another sub-program. As a result of these trainings, 1,162 entrepreneurs (534 females, 611 males, 4 disabled and 13 not specified) have established their own businesses by 2011 (Enhancing the competitiveness, 2012; p.37).

Conclusion.

A dynamic SME sector is crucial to economic growth in all countries. This is particularly relevant to Georgia, whose government faces a challenge to find sources of long-run economic growth through private sector development (Fostering, 2013). Under these circumstances, learning other countries experience is always a beneficial way to find the solution.

Undertaken short investigation of Turkey's SME-specific policies may be summarized in the following lessons to be learnt:

1. Business environment is crucial for SMEs development. That is, stable business and health overall economic environment builds the ground for stable and competitive SMEs.
2. SME-oriented policy is an integrated part of country's macroeconomic long-run strategy that covers legislation and government regulations, banking sector policy, FDI policy, tax system, education system, R&D, competitive policies, labour market regulation, social policies, etc.
3. All reforms are in compliance with European rules, standards, and policies.
4. Government plays the leading role at all stages of SME policies: from the beginning or initiative/ developing one till realization of the programs, their monitoring and control.
5. Developing skills through education and training for entrepreneurship is recognized by government as a one of SME policies priority.

REFERENCES

- A Framework for the Development and Financing of Dynamic Small and Medium Sized Enterprises in Turkey. (2005). OECD, Center for private sector development, Istanbul.
- A "Small Business Act" for Europe. (2008). Retrieved August 23, 2011 from <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0394:FIN:en:PDF>
- Doing Business 2013: Smarter Regulations for small and medium-size enterprises. (2013). 10th ed. International Bank for Reconstruction and Development / The World Bank
- Enhancing the competitiveness of SMEs in Turkey (2012). *Country report*.
- Small and Medium Enterprises Development Organization. Retrieved August 3, 2013 from http://www.comcec.org/UserFiles/File/%C3%BCIkeraporlar%C4%B1/28_isedak_%C3%BCIke_rap/T%C3%BCrkiye.pdf
- Entrepreneurship 2020 Action Plan: Reigniting the entrepreneurial spirit in Europe. (2013). Communication from the commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the regions. Retrieved September 2, 2013 from <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2012:0795:FIN:en:PDF>
- Enterprise and Industry (2012). OCDE. Retrieved September 5, 2013 from http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/documents/index_en.htm
- Enterprises in Turkey. (2005). OECD, Center for private sector development, Istanbul.
- Fostering Entrepreneurship in Georgia. (2013). IBRD/ WB
- Georgia Business Perception Survey 2012: Georgia Tax Simplification Project. IFC
- Georgia: Country Strategy, 2011-2014. (2011). BSTDB. Retrieved August 22, 2011 from http://www.bstdb.org/about-us/key-documents/Country_Strategy_2011-2014_Georgia.pdf
- Müftüo lu, T. (2009). SME support policies in Turkey after 1990: (review, evaluation and suggestions). Retrieved September 1, 2013 from <http://www.afd.fr/webdav/shared/PORTAILS/PAYS/TURQUIE/Nos%20publications/SME%20Support%20Policies%20in%20Turkey%20after%201990-Tamer%20Muftuoglu.pdf>
- Nurrachmi N.R., Khairunnisa Abd S. K., Foughali, I. (2012). The Development of SMEs in Turkey (2012). MPRA Paper No. 46817. Retrieved August 20, 2013 from <http://mpra.ub.uni-muenchen.de/46817/>
- OECD Economic Surveys: Turkey (2012). Retrieved September 4, 2013 from <http://www.oecd.org/eco/surveys/OVERVIEW%20ENGLISH%20FINAL.pdf>
- SBA Review: SBA successfully supports entrepreneurship and small enterprises (2011). Retrieved September 12, 2011 from <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=MEMO/11/110>
- eker, M., Correa, P. (2010). Obstacles to Growth for Small and Medium Enterprises in Turkey. Retrieved September 1, 2013 from Policy Research Working Paper 5323. WB
- Small and medium-sized enterprises in Turkey: Issues and policies (2004). OECD. Retrieved September 7, 2013 from <http://www.oecd.org/cfe/smes/31932173.pdf>
- SMEs in Turkey & SME: Support mechanism of KOSGEB. (n/d). Retrieved September 4, 2013 from <http://www.yoikk.gov.tr/dosya/up/eng/SMEs%20IN%20TURKEY%20%20SME%20SUPPORT%20MECHANISM%20OF%20KOSGEB.doc>
- SME strategy and action plan (2004). Republic of Turkey, Prime Ministry State Planning Organization. Retrieved September 7, 2013 from <http://www.asean.org/archive/SME/SPOA-SME.pdf>
- SME Support Structures and the EU Turkish Business Centres (ABIGEM) (2010). Retrieved September 10, 2013 from [http://www.ecocci.com/DC/PDF/19.04.201017_49IDB%20%20SME%20support%20and%20ABIGEM%20\(WG\)f%C4%B1nal.pdf](http://www.ecocci.com/DC/PDF/19.04.201017_49IDB%20%20SME%20support%20and%20ABIGEM%20(WG)f%C4%B1nal.pdf)

Tezyet , S. (2007). SME's in TURKEY. Vision and supports of KOSGEB. Retrieved September 11, 2013 from http://www.dps.tesoro.it/cd_cooperazione_bilaterale/docs/4.Study_Visits/2.Study_visit_II_november_2007/3.materials/8.KOSGEB.pdf
Turkey in Statistics 2012. (2013). Turkish Statistical Institute. Retrieved September 14, 2013 from <http://www.turkstat.gov.tr>

ABSTRACT

Last decade Turkey achieved great success in economic development ;among the factors of success is SME-specific policies. Summarizing Turkey's experience on SME-specific policies some lessons should be learnt: business environment is crucial for SMEs development; SME-oriented policy is an integrated part of country's macroeconomic long-run strategy; European rules, standards, and best policies should be taken into account; government plays an active and leading role at all stages of SME policies; education and training for entrepreneurship is still one of the policy priority.

ზეპირი კომუნიკაციის ასპექტები ქართულსა და თურქულში

**რუსუდან სალინაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
ჰარუნ ჩიჩქე, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი**

ენა არის კულტურის, ცივილიზაციის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი პირობა იმდენად, რამდენადაც ენა დაკავშირებულია საზოგადოების აზროვნებასთან, აზროვნება კი არის შემქმნელი კულტურისა და შექმნილი იმავე კულტურის მიერ. ენისა და აზროვნების საყოველთაოდ აღიარებული კავშირი იმავდროულად გულისხმობს ენისა და საზოგადოების კავშირს. ენაში არის ასახული საზოგადოებრივი განვითარების დონე. როგორც მეტყველებს საზოგადოება, ისეთივეა მისი კულტურა. ამერიკელი ენათმეცნიერების განმარტებით, „ენა არის საზოგადოების მოქცევის ფორმა“ (ბ. ჯორბენაძე, 1997).

შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ეთიკური ნორმები განსხვავებულია დროსა და სივრცეში. თუ გადავხედავთ კაცობრიობის განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად გამოიხატება ურთიერთობა საზოგადოების წევრთა შორის. თვით ერთი საზოგადოების ფარგლებში ინდივიდთა განსხვავებულ დამოკიდებულებებს განაპირობებს ნაირგვარი ფაქტორები: სოციალური, რელიგიური... გავრცელებული შეხედულების მიხედვით, თავაზიანი გამოთქმების (მაგალითად, **ბატონო, ქალბატონო, ბრძანეთ, მობრძანდით...**) გაჩენა ენებში სოციალურ საფუძველზე იხსნება და ასახავს იერარქიულ დამოკიდებულებას. დროთა განმავლობაში მსგავსი გამოთქმები დაიცალა იერარქიულობის გაგებისაგან და განზოგადდა, თუმცა გარკვეულწილად შეინარჩუნა განსხვავებულობის ნიუანსები: ასაკობრივი, თანამდებობრივი... (რ. სალინაძე, 2010).

მიუხედავად სხვაობისა, არის დამოკიდებულებები, რომელთა აღქმა აბსოლუტურად იდენტურია სრულიად განსხვავებული წყობის, რელიგიისა და ტრადიციების მქონე ერთა შორისაც კი. ამის ნათელსაყოფად საინტერესოა ქართულსა და თურქულში არსებულ თავაზიანობის გამომხატველ ფორმებზე დაკვირვება.

ქართული ენაში უხსოვარი დროიდან გაჩნდა თავაზიანობის გამომხატველი ფორმები. უძველეს წერილობით ძეგლებსა და დიალექტებში დაცულია საზოგადოების ეთიკის ამსახველი საკმაოდ მდიდარი მასალა. საკმარისია გავიხსენოთ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია, როგორ დალოცა გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატი: „არა მოაკლდეს მთავრობად შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროდს კლდეთა მყართა და მათათა საუკუნეთა...“

ენობრივი ეთიკით შეპირობებული ფორმებით მდიდარია თანამედროვე თურქული ენაც.

ქართული და თურქული ენების მონაცემთა საფუძველზე გამოყოფთ ზეპირი კომუნიკაციის რამდენიმე ასპექტს, რაც ასახულია მისალმების, დამშვიდობების, სტუმარმასპინძლობის, მისამძიმების, მილოცვის, კეთილი სურვილების... გამომხატველ ენობრივ ფორმებში.

მისალმება: თურქულში მისალმების ფორმულებს შორის არის:

İyi sabahlar (სიტყვასიტყვით – კარგი დიღები)! = დილა მშვიდობისა!

iyi günler (კარგი დღეები)! = დღე მშვიდობისა!

iyi akşamlar (კარგი საღამოები)! = საღამო მშვიდობისა!

iyi geceler (კარგი ღამეები)! = ღამე მშვიდობისა!

თურქულ მისალმების ფორმულებს ეკვივალენტები მოემბნება როგორც ქართულში, ასევე სხვა მრავალ ენაში. ქართულისთვის ამ ფორმულათა შორის არაბუნებრივია **დღე მშვიდობისა!** (ამ ბოლო ხანებში გაჩნდა აგრეთვე **შუადღე მშვიდობისა!**). თურქულში ამ ფორმათა გამოყენებისას ქართულისაგან განსხვავებით შეიმჩნევა თავისებურებები. კერძოდ: თურქულში მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც შეხვედრისას, ასევე დამშვიდობების დროსაც. მაგალითად, მე ჩემს ერთ-ერთ მეგობარს საღამო ხანს შევხვდი და მისალმებისას ვუთხარი **iyi akşamlar!** = **საღამო მშვიდობისა!** გარკვეული დროის განმავლობაში ერთად დავსხედით და ვისაუბრეთ, შემდეგ წასვლის ჟამს ერთმანეთს ისევ ვუუბნებთ **iyi akşamlar!** = **საღამო მშვიდობისა!** ასეთი რამ ქართულისთვის არ არის დამახასიათებელი, თუმცა განსაკუთრებული შეზღუდვა არ არსებობს თურქულში, შეიძლება მეტყველმა ინდივიდმა დამშვიდობების სხვა ფორმულებსაც მიმართოს.

ქართულსა და თურქულში არის ასეთი განსხვავებაც: ქართველი ხშირ შემთხვევაში ერთი დღის განმავლობაში ერთხელ გამოიყენებს რომელიმე მისალმების ფორმულას, ხოლო თურქი რამდენჯერადაც შეხვდება ადამიანს, იმდენჯერ მიესალმება. ეს ქართველისთვის უჩვეულოა და ზოგჯერ გაუგებარც კი.

აღსანიშნავია თურქული ენისთვის დამახასიათებელი ერთი თავისებურება: სიტყვა **iyi** (კარგი) თურქულში საერთოდ კეთილი სურვილების გამოხატვის წამომწყები სიტყვაა. ასეთი მაგალითი უამრავია, ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმეთი: **İyi sabahlar!** = დილა მშვიდობისა! **iyi günler!** = დღე მშვიდობისა! **iyi akşamlar!** = საღამო მშვიდობისა! **iyi geceler!** = ღამე მშვიდობისა! **iyi çalışmalar!** = კარგ სამუშაოს გისურვებ(თ)! **iyi dersler!** = წარმატებულ გაკვეთილებს გისურვებ(თ)! **iyi yolculuklar** = კეთილი მგზავრობა! **iyi tatiller!** = კარგ დასვენებას გისურვებ(თ)! **iyi eğlenceler!** = კარგ გართობას გისურვებ(თ)! **iyi şanslar!** = კარგ იღბალს გისურვებ(თ)! **iyi uykular!** = ძილი ნებისა!.. სიტყვა **კარგი** არც ქართული ენისთვის არ არის უცხო (მდრ.: კარგ დღე(ებ)ს/კვირას/წელს გისურვებ(თ)! კარგ დასვენებას გისურვებ(თ)! კარგ ბედ-იღბალს გისურვებ(თ)!..).

დამშვიდობება: საინტერესოა დამშვიდობების ფორმულებიც: **Hoşça kalın!** ითარგმნება „კარგად იყავით (ბრძანდებოდეთ)!“, **güle güle** კი – „ნახვამდის!“ ქართულში ამათგან ერთ-ერთის გამოყენება ორივე მხარეს შეუძლია. მაგალითად, ვინც მიდის, იმასაც შეუძლია თქვას: „კარგად იყავი!“, ასევე, ვინც რჩება, იმასაც. ასეთივეა „ნახვამდის!“ თურქულში კი განსაზღვრულია, რომელი სად უნდა ითქვას. **Hoşça kalın!** – კარგად იყავით (ბრძანდებოდეთ)! მხოლოდ წამსვლელს შეუძლია თქვას, **güle güle!** – ნახვამდის! კი მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც რჩება. თურქულის ნათქვამების გაშიფვრა ასეთ სურათს გვამღვეს: **Hoşça kalın!** ზუსტად ნიშნავს: კარგად დარჩით, კარგად მეყოლიეთ! **güle güle** კი – სიცილ-სიცილით იარეთ! ამ ფორმების შინაარსიდან გამომდინარე, ერთის მეორის მაგივრად გამოყენება შეუძლებელია, რადგან გამოყენების ადგილები განსაზღვრულია...

გარდაცვალებასთან დაკავშირებული: ადამიანები ამ ქვეყნიდან წასულების გახსენებისას ანდა ცოცხალი პიროვნების გარდაცვლილთან შედარების დროს ცოცხლებს უსურვებენ ხოლმე დიდხანს სიცოცხლეს. თურქულში აღნიშნული ფორმების გამოსახატავად გამოიყენება გამოთქმები:

Yaşı benzemesin! – ასაკით მას არ მიემსავასო! ამას მაშინ ამბობენ, როდესაც ვიღაც ახალგაზრდა ამქვეყნად აღარ არის. ამ გამოთქმით გამოიხატება სურვილი იმისა, რომ ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ის ახალგაზრდები, ვინც ცოცხალია; ქართულში არის მსგავსი შინაარსის გამოთქმა: **მისი ხანი შეგეწიოს!**

Allah gecinden versin! – ამ გამონათქვამს თურქულში მაშინ მიმართავენ ხოლმე, როცა გარდაცვლილს ახსენებენ. გამოთქვამენ სურვილს, რომ ღმერთმა დარჩენილები დიდხანს აცოცხლოს, რაც შეიძლება გვიან წაიყვანოს ამ ქვეყნიდან;

Allah ömürler versin! – ღმერთმა დიდი ხანი გაცოცხლოს! ასე ამბობენ ქართულშიც, მაგრამ აღნიშნული გამონათქვამი თურქულში, პირდაპირი გაგების გარდა, მადლობის აღსანიშნავადაც გამოიყენება. მაგალითად, როცა ხანშიშესულს ეხმარება ვიღაც ახალგაზრდა რაღაც საქმის კეთებაში, მადლიერების აღსანიშნავად ეტყვის: **Allah ömürler versin!** – ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს!

Kolay gelsin! – სიტყვასიტყვით ნიშნავს: ადვილად გამოგივიდეს! ამ გამონათქვამს მაშინ იყენებენ, როცა ვინმე რაღაც საქმით არის დაკავებული. მას უსურვებენ, რომ საქმეს თავი წარმატებით გაართვას, არა აქვს მნიშვნელობა, რა საქმით არის დაკავებული: შეიძლება მეცადინეობდეს, საჭმელს ამზადებდეს, ხეს ჭრიდეს, ოთახს ალაგებდეს... ამ გამონათქვამს მოჰყვება ხუმრობის შემცველი შეპასუხება: **Kolaysa başına gelsin!** – თუ ადვილია, შენც გქონოდეს! მთქმელის ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიხედვით, ამ გამონათქვამით შეიძლება გამოიხატოს როგორც გაბრაზება, ისე სიხარულიც.

ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შიშია სიკვდილი. ამ თვალსაზრისით შიშის ფაქტორი ევფემიზმის გაჩენის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა. პიროვნებებს ემინიათ, რომ ზოგი სიტყვის წარმოთქმა ანდა გაფიქრებაც კი გამოიწვევს ცუდ რაღაცებს. ამიტომ მიმართავენ შელამაზებულ სიტყვებს (ევფემიზმებს). როგორც სხვა ენებში, ასევე თურქულშიც სიკვდილის აღსანიშნავად უამრავი გამონათქვამი არსებობს: **ahret yolcusu oldu** – საიქიოს მგზავრი გახდა, **ecel şerbetini içti** – მარადისობის შარბათი დალია, **günü dolmak** – დღე ამოწურა, **ömrü vefa etmedi** – სიცოცხლე აღარ ეყო, **ömür defteri kapandı** – სიცოცხლის რვეული დაეხურა, **vadesi doldu** – დრო ამოწურა, **adres değiştirdi** – მისამართი შეცვალა, **ahrete intikal etti** – საიქოში გადაადგილდა, **dünyasını değiştirdi** – სამყარო შეცვალა, **dar-ı bekaya irtihal etti** – მარადიულ ადგილსამყოფელში გადაადგილდა, **dünyaya veda etti** – წუთისოფელს დაემშვიდობა, **ebediyete göçtü** – მარადიულში გადავიდა, **can borcunu ödedi** – სულის ვალი მოიხადა, **ruhunu teslim etti** – სული ჩააბარა, **dünyaya gözlerini kapadı** – დედამიწას თვალები დაუხუჭა, **toprak oldu** – მიწად იქცა, **Hakka yürüdü** – ღმერთს მიაშურა, **sonsuzluğa intikal etti** – მარადიულს მიაღწია, **ruhunu teslim eyledi** – სული ჩააბარა, **son nefesini verdi** – უკანასკნელად ამოისუნთქა, **vefat etti** – გარდაიცვალა, **yaşamını yitirdi** – სიცოცხლე დაკარგა...

მისამძიმრება: მისამძიმრების დროს როგორც ქართველი, ისე თურქი ცდილობს, რომ გარდაცვლილის ახლობლებთან სიკვდილის შესახებ არ ილაპარაკოს. გარდაცვლილის შესახებ საუბრის დროს იყენებენ ევფემისტურ სიტყვა „ცხონებულს“. მისამძიმრების დროს გამოსაყენებელი გამოთქმები იდენტურია ორივე ენაში:

Sizlere ömür! – თქვენ სიცოცხლე: ის აღარ არის, თქვენ დიდხანს სიცოცხლე!

Başın / başınız sağ olsun! – შენ/თქვენ იყავი(თ) კარგად: ძალიან ვწუხვარ, ღმერთმა მოთმინების ძალა მოგცეს(თ)!

Allah acısını unutturmasın! – ღმერთმა მისი არყოფნა არ დაგავიწყოს(თ)! ღმერთმა ამაზე დიდი საწყენი არ მოგცეს(თ), ეს უკანასკნელი იყოს თქვენთვის!

Allah ecir ve sabır versin! – ღმერთმა დიდხანს სიცოცხლე და მოთმინების ძალა მოგცეს: ეს იყოს თქვენთვის უკანასკნელი საწყენი, მეტი აღარ გენახოს!

Allah rahmet eylesin! – ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

Allah taksiratını affetsin! – ღმერთმა მისი ცოდვები აპატიოს!..

მილოცვა, კეთილი სურვილები: ადამიანისთვის დამახასიათებელია ბევრი რამის მიმართ შიში, მათ შორის: ჯანმრთელობის დაკარგვა, რაიმე ავარიულ მდგომარეობაში მოხვედრა, უხილავი არსებები (ემშაკი, ჯინი...), ძვირადღირებული ნივთების დაკარგვა, ავი ადამიანებისაგან ზარალის მიყენება... როცა იძულებულნი არიან, რომ ასეთ რაღაცებზე ისაუბრონ, მაშინ ევფემიზმს მიმართავენ ხოლმე. ხშირ შემთხვევაში გამონათქვამები დაკავშირებულია ღმერთთან:

Allah korusun! – ღმერთმა დაგიფაროს(თ)!

Allah göstermesin! – ღმერთმა ასეთი აღარ გაჩვენოს(თ)!

Allah dirlik ve düzen versin! – ღმერთმა ჯანმრთელობა და წესრიგი მოგცეს(თ)!

Allah bağışlasın! – ღმერთმა გაპატიოს(თ)!

Allah selamet versin! – ღმერთმა სიხარული და ბედნიერება მოგცეს(თ)!

Allaha emanet ol! – ღმერთი იყოს შენთან/თქვენთან!

სხვა გამოთქმები:

Allah nazardan saklasın! – თვალი არ ეცეს! (ამავე მნიშვნელობისაა გამოთქმა: **kırk bir kere maşallah!**

მისი პირდაპირი თარგმანია: ორმოცდაერთხელ თვალი არ ეცეს! გამოთქმა აძლიერებს სურვილის შინაარსს და რელიგიური დატვირთვა აქვს);

evlere şenlik! – სახლში სიხარული!

geçmiş olsun! – გამოჯანმრთელებას გისურვებ(თ)!

sağlık olsun! – მთავარია ჯანმრთელობა!

sağlıcakla kal! – ჯანმრთელად იყავი!.. (Türkmen, 2009).

Sihatler olsun! – გამოს(ს)თ! ასე ეუბნებიან აბანოდან გამოსულს, თმაშეკრეჭილსა და წვერგაპარსულ ადამიანს. გამოთქმა ნიშნავს: ჯანმრთელობა გქონოდეს(თ)!

Afiyet olsun! – შეეც/არგო(ს)თ! პირდაპირი თარგმანია: გემრიელი იყოს!

მილოცვა: ბევრია საერთო ქართულსა და თურქულს შორის მილოცვის ფორმულებში. მაგალითად:

Hayırlı olsun! = მშვიდობაში! გილოცავ! თურქული გამოთქმა ნიშნავს: რაც გაქვს ახალი, ის სიკეთეში მოგეხმაროს(თ)! გამოიყენება შემდეგნაირად: როცა ვინმე ახალ რაიმეს შეიძენს, ეუბნებიან: **მშვიდობაში!** და, როცა ვინმე ახალ სტატუსს შეიძენს, მაშინ ეუბნებიან: **გილოცავ!** მაგალითად, როცა აბიტურიენტი აბარებს უნივერსიტეტში, მას ეუბნებიან **Hayırlı olsun!** – გილოცავ! ამავე დროს ქართულში არის სიტყვა „ხეირი“ და პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, იქნება: ხეირიანი იყოს, ღმერთმა ხეირი განახოს!..

Gözün aydın! – ქართულად არის **გილოცავ!** ისე სიტყვასიტყვით ნიშნავს: „შენს თვალებს სინათლე / ნათელი. ეს გამონათქვამი სასიხარულო ამბის შემდეგ ითქმება, არა აქვს მნიშვნელობა, რით არის ადამიანი გახარებული. მაგალითად, თუ ახლობელი ცხოვრობს სხვა ქალაქში და დიდი ხანია არ გვინახავს, მას ველით მოუთმენლად და ის ერთ დღეს ჩამოდის. მეგობრები გვეუბნებიან მოსალოცად: **Gözün aydın!** ეს ნიშნავს: სანამ ის ჩამოვიდოდა, თქვენს თვალებში სიბნელე იყო (მოწყენილი იყავით) და მისი ჩამოსვლის შემდეგ სინათლეა (გიხარიათ). ამ გამონათქვამში იგულისხმება სურვილი: სულ ასეთი გახარებული იყავი!

Bir yastıkta kocayın! – სიტყვასიტყვით: ერთ ბალიშზე დაბერდით! ასე ულოცავენ ახალდაქორწინებულ წყვილს, რაშიც იგულისხმება ცოლ-ქმრის სიცოცხლის ბოლომდე ერთად და ბედნიერად ყოფნის სურვილი.

სტუმარმასპინძლობა: ორი ენის შედარებისას საინტერესოა ფორმულები: **Hoş geldin (Hoş geldiniz)! = კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!** და **Hoş bulduk!** = **კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში!** საქართველოში აღნიშნული ფორმები მაშინ გამოიყენება, როდესაც ნაცნობი პირი პირველად არის მეორე პირის კუთვნილ სახლში, მანქანაში, ეზოში და ა. შ., თურქულში კი აღნიშნული ფორმულები ასე შეზღუდულად არ გამოიყენება, თუნდაც ჩვენი ნაცნობი სამჯერ მოდიოდეს ჩვენთან სტუმრად, ადათ-წესებიდან გამომდინარე, სამჯერ უნდა ვუთხრათ **Hoş geldin (Hoş geldiniz)! = კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!** და იმანაც უნდა თქვას: **Hoş bulduk!** = კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში!

აღნიშნული გამოთქმების გამოყენება მეტყველ ინდივიდს შეუძლია არა მარტო სახლში, არამედ ყველგან: სკოლაში, მაღაზიაში, ეზოში, სამსახურში... მაღაზიაში შესულს გამყიდველი პატივისცემის ნიშნად აუცილებლად ეტყვის: **Hoş geldin (Hoş geldiniz)! – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!**..

ასეთია ზეპირი კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავაზიანი გამოთქმა ქართულსა და თურქულში. მათი გაანალიზება იძლევა არა მარტო ზოგადადამიანური ეთიკური ნორმების, არამედ საერთოენობრივი მოვლენებისა და პროცესების გააზრების შესაძლებლობას.

ლიტერატურა:

1. ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, გამომც. „ქართული ენა“, თბ., 1997, გვ.17.
2. საღინაძე რ., ენობრივი ეთიკეტი და ქართული სინამდვილე: საერთ. სამეცნ. კონფ. „ენა და კულტურა“, შრომები, ქუთაისი, 2010, გვ. 353-356.
3. Aksoy, Ö. A. (1984). Atasözü ve Deyimler Sözlüğü I-III, Ankara: Türk Dili Yayınları.
4. Türkmen, S. (2009): Türkçede Örtmece Sözcükler, *Karadeniz Araştırmaları, Cilt 6, Sayı 23*, 136.
5. Yurtbaşı, M. (1996). Örnekleriyle Deyimler Sözlüğü, İstanbul: Özdemir Yayıncılık.

ASPECTS OF ORAL COMMUNICATION IN GEORGIAN AND TURKISH LANGUAGES

Rusudan Saghinadze, Associate Professor of Akaki Tsereteli State University

Harun Chimke, Assistant Professor of Recep Tayyip Erdogan University

RESUME

Language reflects the level of society's development. The general culture of a particular society is the reflection of the language it speaks. According to the definition of an American Linguistics, "Language is the form of behavior of a particular society".

It can be stated that ethical norms of a society differ in space and time. If we examine the history of humankind, the relations were expressed in various ways within different societies and within its different layers. The attitudes between individuals of a particular society may differ as it is determined by the social, religious and other factors. According to the widespread notion the existence of expressions of politeness (Sir, Miss, please...) reflects the social structure of hierarchical subordination. Over time expressions of this type have lost their hierarchical meaning and become of a general use while maintaining the nuances of age, position differences.

There are some attitudes which are absolutely identical in nations of completely different structure, religion and traditions. An example of Georgian and Turkish politeness expressions demonstrates the above mentioned. Polite forms are the characteristics of a highly developed societies. In this article we have given some aspects of oral communication of Georgian and Turkish Languages like: greetings (**yi sabahlar** – = Geo. დილა მშვიდობისა! – Good Morning), farewell (**Ho ça kalın!** = Geo. კარგად იყავით // კარგად ბრძანდებოდეთ! - Goodbye), hosting (**Ho bulduk!** = Geo. კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში! - We found a nice), condolence (**Ba m / ba mız sa olsun!** – Geo. თქვენ იყავით კარგად: ძალიან ვწუხვარ, ღმერთმა მოთმინების ძალა მოგცეს! - May your life be spared),

congratulation, greeting (**Gözün aydın** = Geo. ქართ. გილოცავ! - Congratulations! **Bir yastıkta kocayın!** – ერთ ბალიშზე შეაბერდით ერთმანეთს! (expression for newly married couples)).

In the conclusion part of an article it is stated that expressions of politeness gives an insight not only regarding the common human ethical norms but for the better understanding of general linguistic phenomena and processes.

ახალგორი „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით

გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

საუკუნეების მანძილზე ახალგორი ისტორიული ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. უძველეს ქართულ ქალაქში, რომელიც დღეს რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, მოსახლეობა ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდიდან ცხოვრობდა [6; 158]. ახალგორის და, ზოგადად, ქსნის საერისთავოს შესახებ ისტორიული ცნობები არაერთ დოკუმენტურ თუ ნარატიულ ძეგლშია დაცული. ქართული წყაროების გარდა, ახალგორის შესახებ უცხოური მასალებიც მოიპოვება, რომელთა შორის ძალზე საინტერესო ცნობებს შეიცავს „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, სადაც წარმოდგენილია საყურადღებო ინფორმაცია ახალგორის მოსახლეობის, მისი სამეურნეო საქმიანობის, ოსმალეთის ხელისუფლების მიერ მოსახლეობაზე დაკისრებული სხვადასხვა სახის გადასახადის შესახებ. როგორც დავთრიდან ჩანს, ახალგორი ამ დროს ქსნის ერისთავს – შანშეს ექვემდებარებოდა. ეს ის შანშე ერისთავი იყო, რომელსაც XVIII საუკუნის I ნახევარში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართლში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ შანშე ერისთავი, ისევე როგორც ბევრი სხვა ქართველი ფეოდალი (მაგ. გივი ამილიხვარი 12; 187), ერთი პერიოდი ოსმალებთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა. თუმცა, მალე შანშე ერისთავი ოსმალთა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის გზას დაადგა და ამ ბრძოლის ერთ-ერთ მედროშედ იქცა. შანშე ერისთავი რუსეთში გადახვეწილ ქართლის მეფე ვახტანგ VI თავისი ვაჟის – ბაქარის დაბრუნებას სთხოვდა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებისკენ მოუწოდებდა [8; 319]. მოგვიანებით ოსმალთა ბატონობა ქართლში „ყიზილბაშობამ“ შეცვალა და ამის შემდეგ შანშე ერისთავი ყიზილბაშთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებს ჩაუდგა სათავეში [16; 31]. როგორც აღვნიშნეთ, „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ძალზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს ახალგორის შესახებ. დავთარში ვკითხულობთ:

„სოფელი ახალგორი ექვემდებარება შანშას
ბაბალა ძე შერმაზანისა ავთანდილ ძე გიკუასი
გიორგი ძე ზადასი ლაბითა ძმა მისი
ბერო ძე ჯამოხანისა შაშურ ძე შერმაზანისა
გიორგი ძე მუბადასი გოგიჩა ძე მისი
ბაბულა ძე არუთინასი ბეჟანა ძე შერმაზანისა
გიორგი ძმა მისი ზურაბ ძე შაკუნისა
ოხანა ძე ბირლასი ბაბალა ძე ბაჰადურისა
გიორგი ძე ასთუმლასი გიორგი ძმა მისი
გიორგი ძე ბადასი დათუნა ძე ბერასი
გიორგი ძე ღუსუნისა გოლია ძე მუკუნისა
ივანე ძმა მისი დავითა ძე შამილასი
ოჰან ძე ბაბუნისა ზამუკა ძე მამუკასი
ბაბუნ ძე ხადადანასი თანდილა ძე მიჰრაბესი
ბაბუნ ძე მისი ზურაბ ძე ოზმაკასი
პაპუნა ძე დავითასი ალბირან ძე ფეჰლივანისა
ერეკლეს ძე ზუბასი გასპარა ძე დათუნასი
მეჰრაბა ძმა მისი ურმაკა ძე ზუჰრანასი
ფირან ძე ავაზასი ოსიპ ძე ჰარნაკასი

სახო ძე ამრანასი	კანდო ძე მირღადისა
გიორგი ძე ზურაბასი	კანდო ძე მისი
არდენიე ძე მისი	ამირკულა ძე მურანიესი
გირალუჯა ძე ბიძინასი	არუთინ ძმა მისი
ბერი ძე მისი	რულავერ ძე ოჰანასი
ბაბალა ძმა მისი	ესტატე ძე ოთარასი
შიო ძე სირუნასი	ბასო ძე გირღურასი
ესტატე ძე ფირუნისა	ფირუნ ძე კარაპეტისა
ესტატე ძე მისი	ბაინდურ ძმა მისი
გელუნ ძე არუთინასი	ღონია ძე ფირუნისა
ავთანდილ ძე ზოჰრაბასი	ბაბუნ ძე ათამუნისა
გოგია ძე როსტომასი	ოთარა ძე მისი
ალუნა ძე ბერისა	მახარა ძე ბაინდურისა
გუჯულა ძე მურად ბეგისა	

კაცი 67

სახლი 50

დუქნების რაოდენობა 23

ჯამი მარცვლეულისა

ისფენჯი კაცი 67, თითოეულს 12 ახჩა 8040

უმრის გადასახადი ვენახზე, დონუმი 50, თითოეულს 40 ახჩა 4000 გადასახადი ერბოზე 200 არუსანეს გადასახადი 180 გადასახადი ცხვარზე 490 დემთიბანი, მიწაზე თავუს გადასახადი 3502 გადასახადი ღორზე 390 წისქვილი თვალი 4, სრული წლით, გადასახადი 600 უმრის გადასახადი ხილზე 120 გადასახადი თივაზე 250 ბადიჰავა, ჯერუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ბეითალმანი ამე ვე ხასე, მალი გაიფ მალი მეფკუდ 4800
ჯამი 22570

ხსენებული სოფელი ქვიანი ადგილია, იქ დასამუშავებელი ადგილები არაა, რადგანაც იქ თიმარის მფლობელები არიან ისფენჯეები, ვენახები სათიბები და ბეითალმანები რეგისტრირებულია“ [23; 423-424]. როგორც ოსმალური წყაროდან ჩანს, ამ დროისათვის ახალგორი სოფელი იყო. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ახალგორს მცირე ქალაქად იხსენიებს: „ოძის ზევით არს მონასტერი ხოფა უგუმბათო დიდშენი კეთილად და აწ ცარიელი. მის ჩრდილოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი, მსახლობელნი არიან სომეხნი, და სასახლე ქსნის ერისთავისა“ [2; 359]. ახალგორს რომ ქალაქის სტატუსი ჰქონდა, შედარებით გვიანდელი პერიოდის წყაროებითაც დასტურდება. 1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში საქართველოში გამოგზავნილი რუსული სამხედრო კორპუსის სარდლის – გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტი, ეროვნებით ფრანგი კაპიტანი კარლო დე გრაი დე ფუა თავის ჩანაწერებში ახალგორს ქალაქად მოიხსენიებს [14; 217]. ახალგორს მცირე ქალაქად მოიხსენიებს აგრეთვე XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი [14; 224]. მათგან განსხვავებით, XVIII საუკუნის II ნახევრის გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ახალგორს სოფელს უწოდებს [14; 226]. ოსმალურ წყაროზე დაყრდნობით მალზე ძნელია განისაზღვროს ახალგორის ეთნიკური სახე. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ დავთარში ჩამოთვლილი ახალგორის მკვიდრთა სახელები დამახინჯებულია. თუმცა ადვილი გასარჩევია, რომ ქართული სახელების გვერდით გვხვდება სომხური სახელებიც, როგორც არის: არუთინა, კარაპეტა, გასპარა და სხვ. სომხური მოსახლეობის არსებობა აქ შემთხვევითი არ არის. ახალგორში სომხები ძველი დროიდან ცხოვრობდნენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვახუშტი ბატონიშვილი ახალგორში მხოლოდ სომხური მოსახლეობის შესახებ მიუთითებს. დ. ახლოური თვლის, რომ სომხები ახალგორში XV საუკუნეში გადასახლდნენ ქალაქ გორიდან და ახალგორიც შესაძლებელია, სწორედ ამიტომ დაარქვეს [1; 41]. ჩვენი აზრით, ახალგორში სომხური დასახლება XV საუკუნეზე ადრე უნდა გაჩენილიყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ XV საუკუნეში სომხებმა ახალგორში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია განაახლეს, რასაც მოწმობს ეკლესიის დასავლეთ კედელზე არსებული სომხური წარწერა. იგი 1462 წლით თარიღდება და მოხსენიებულია ტაძრის განმარტებული ვინმე ხაჩატური [1; 42]. ჩვენი აზრით, ახალგორში ახლად ჩამოსახლებულ სომხებს, როგორი მატერიალური შესაძლებლობაც არ უნდა ჰქონოდათ, არავენ მისცემდა იმის საშუალებას, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის კედელზე სომხური წარწერა ამოეკვეთათ და თავიანთი თავი ტაძრის განმარტებლად მოეხსენებინათ. როგორც ჩანს, სომხები აქ კარგა ხნის ჩამოსულები იყვნენ. მათ ახალგორში საკუთარი ეკლესიაც ჰქონდათ და წარწერაში მოხსენიებულ ხაჩატურს სწორედ სომხური ეკლესია

განუახლებია. ტაძრის კედელზე კიდევ ერთი სომხური წარწერაა, რომელიც 1693 წლით თარიღდება. წარწერაში აღნიშნულია: „ღმერთო შეიწყალე, ტერ-პეტროს ბევრი შრომა მოვიწიე ბაღდასარის მამის არუთინის გვარის მეშვეობით, ვაშენეთ ეკლესია 1693 წელს, ღმერთმა შეიწყალოს ბაღდასარი“ [1; 42]. ეს ეკლესია ს. მაკალათიას სომხურ ეკლესიად მიაჩნდა [18; 60], რასაც დ. ახლოური არ ეთანხმება და თვლის, რომ ს. მაკალათიას ადგილობრივმა სომხებმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. მისი მტკიცებით, ეკლესია ქართულია და არა სომხური. ჩვენი აზრით, დ. ახლოურის მსჯელობა ამ შემთხვევაში არასწორია, რადგან ქართული მართლმადიდებლური ტაძრის კედელზე ასეთი სახის წარწერის ამოკვეთას და ტაძრის ამშენებლად თუ განმანახლებლად სომეხი გრიგორიანული რწმენის ადამიანთა გამოცხადებას ქსნის ერისთავები (ან ადგილობრივი მრევლი) არ დაუშვებდნენ. ეჭვსგარეშეა, რომ საქმე გვაქვს სომხურ ტაძართან, რომელიც ადგილობრივ სომხებს 1693 წელს განუახლებიათ. აქ საყურადღებოა ერთი გარემოება: წარწერაში აღნიშნულია, რომ ეკლესია ბაღდასარის მამის არუთინის გვარის მეშვეობით აუშენებიათ. როგორც ჩანს, ახალგორში სომეხთა საკმაოდ დიდი დასახლება არსებობდა. ახალგორელ სომხებს იმ დროისათვის თავიანთი ტაძარი აღუდგენიათ. ვახუშტი ბატონიშვილის გარდა ახალგორის ტერიტორიაზე სომხურ მოსახლეობას ადასტურებს გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი, რომელიც 1778-1781 წლებში ერეკლე II კარზე იმყოფებოდა. მოგზაურის თქმით, ახალგორის მოსახლეობის დიდ ნაწილს სომხები შეადგენდნენ: „გორის ჩრდილოეთით და შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიის მთისწინები გადადიან გრძელ, ნაკლებ განიერ, მაგრამ ნაყოფიერ ველში, სადაც მრავალრიცხოვან ნაკადულებზე ძვეს ახალგორი (ახალი გორი), პატარა ქალაქი; მისი მოსახლეობის მეტ წილს ასევე ქრისტიანი სომხები შეადგენენ, რომლებიც თითქმის ყველანი ბამბის, ან ტილოს მქსოველები არიან. ისინი უმთავრესად ამზადებენ სხვადასხვანაირ ბამბის ქსოვილებს და ხელსახოცებს, რომლებსაც ორივე მხარეს მოკლე კვანძიანი ფოჩები აქვს და ბანაობის შემდეგ ტანის გასამშრალეზად იხმარება“ [14; 224]. ახალგორის მახლობლად, მუხრანის ტერიტორიაზე სომხებს ასახელებს მეორე გერმანელი მოგზაური, ედუარდ აიხვალდი, რომელიც კავკასიაში 1825-1826 წლებში იმყოფებოდა. მოგზაური წერს, რომ სომხები, ქართველებთან ერთად, მეეტლედ (ფოსტის მსახურად) მუშაობდნენ [14; 226]. ოსმალურ წყაროში ახალგორში სულ მოხსენიებულია 67 კაცი და 50 სახლი. ცნობილია, რომ XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერებში გამოიყენებოდა ტერმინი „თავი“, რომელსაც აკად. ი. ჯავახიშვილი კომლში ოჯახის უფროსად მიიჩნევდა. მისი აზრით, კომლში შესაძლებელია რამდენიმე ოჯახიც ყოფილიყო და თითოეული ოჯახის სათავეში „თავი“ იდგა [27; 10-11]. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრებში, ხშირად ერთ კომლში ორი, სამი, ან უფრო მეტი თავი შედიოდა [26; 212-213]. თუ დავუშვებთ იმ გარემოებას, რომ დავთარში მოხსენიებული ტერმინი „სახლი“, იგივე კომლია, ხოლო წყაროში მოხსენიებული „კაცი“ XVIII საუკუნის აღწერებში გავრცელებული ტერმინის – „თავის“ იდენტურია, მაშინ დავთრის შედგენის დროს ახალგორში 50 კომლს უცხოვრია, სადაც გაერთიანებული ყოფილა 67 ოჯახი. თუ საშუალოდ თითოეულ ოჯახზე 7 სულს ვიანგარიშებთ (აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში კომლზე საშუალოდ 8. 32 მოსახლე, ხოლო მთიან რაიონებში 7. 54 მოსახლე იანგარიშებოდა 25; 46), გამოდის რომ ახალგორში 1728 წლისათვის 455 მოსახლე ყოფილა. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით ახალგორში, რომელსაც ქალაქის სტატუსი ჰქონდა 140, ოჯახი ცხოვრობდა [5; 144-145]. თუმცა, როგორც ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს: „ვ. გამრეკელმა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხაში მოტანილი კომლთა რაოდენობა 10 %-ით გაზარდა იმ კონტინგენტების ხარჯზე, ვინც პრივილეგიურ ფენებს ეკუთვნოდა, ან გამოტოვებულთა რაოდენობა არ იქნებოდა 11-12%-ზე ნაკლები, რადგან ბატონყმური ურთიერთობის პირობებში ყველა, ვისაც ყმები ჰყავდა, ცდილობდა, რაც შეიძლება შემცირებულად ეჩვენებინა მათი რაოდენობა. ასეთი ვითარების გამო ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნუსხაში ნაჩვენები კომლთა რაოდენობა, იმ კორექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ უკვე შევიტანეთ, უნდა გადიდდეს 15%-ით მაინც, რაც ეკვივალენტი იქნება პრივილეგიური და გამოტოვებული კონტინგენტებისა“ [25; 34]. თუ ვ. ჯაოშვილის ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, ახალგორის მოსახლეობა 1770 წლისათვის 200 კომლამდე ყოფილა, ხოლო მოსახლეობა კი დაახლოებით 1400. თუმცა, ახალგორის მოსახლეობის შესახებ ოდნავ განსხვავებული მონაცემებია დაცული 1774 და 1781 წლების მოსახლეობის აღწერებში. ამ მასალებიდან ჩანს, რომ 1774 წელს ახალგორში 123 კომლი და 186 ოჯახი ცხოვრობდა (აღწერაში ცალკეა დასახელებული კომლი, ხოლო ცალკეა თავი, როგორც ჩანს, ერთ კომლში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა და აღწერაში ამ ოჯახების უფროსები, ანუ ოჯახის თავები იხსენიება), ხოლო 1781 წელს კი 95 კომლი და 136 ოჯახი [26; 243-245]. ოსმალური დავთრის შედგენის დროს ახალგორი საკმაოდ დიდი და განვითარებული სოფელი ყოფილა, რადგან ფისკალური დოკუმენტის მონაცემებით, ქსნის საერისთავოს ცენტრში 455 ადამიანს უცხოვრია. ახალგორში იმ დროისათვის 23 დუქანი ყოფილა და

ვფიქრობთ, ეს რიცხვი გაზვიადებული არ არის, რადგან ახალგორი ქსნის საერისთავოს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, სავაჭროდ მისული მთის და ბარის მოსახლეობა თავს სწორედ აქ იყრიდა. როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს: „ქსნის საერისთავოში ორი სავაჭრო-საბაზრო ცენტრი იყო – ახალგორი და მეჯვრისხევი. ამ ცენტრებში ხდებოდა ადგილობრივი და შემოტანილი საქონლით ვაჭრობა... ორივე ზემოთ დასახელებული სოფლები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ცენტრებს. ეს ცენტრები მთასა და ბარს შორის მიმოსვლის რამდენიმე გზას უყრიდნენ თავს“ [8; 158]. ახალგორში ვაჭრობის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი აღნიშნულ ტერიტორიაზე სომხური ნაკადის შემოსვლამ [1; 134]. ახალგორის მოსახლეობის გადასახადი, როგორც ოსმალურ დოკუმენტშია მითითებული, ჯამში 8040 ახჩას შეადგენდა. ცნობილია, რომ ახჩა თურქული ვერცხლის ფულის ერთეულს – თეთრს აღნიშნავდა. ფულის ეს სახეობა, როგორც გ. ფუთურიძე აღნიშნავს: „პირველად ორხან-ბეგის სახელზე მოიჭრა 1328 წელს, 1. 54 გ. იწონდა და უმაღლესი ხარისხისა იყო. ევროპელები ასპერს უწოდებდნენ. XVII საუკუნეში წონა ერთი-ხუთად შემცირდა და ისე გაფუჭდა, რომ სპილენძისაგან ვეღარ არჩევდნენ. ეკონომიკისა და ფინანსების კრიზისული მდგომარეობის პირობებში ახჩის ღირებულების დაცემა ვაჭრების, ხელოსნებისა და ღარიბების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და ხშირი არეულობის მიზეზი ხდებოდა. 1687 წლიდან ახჩა ყურუშმა შეცვალა, რომელსაც ევროპაში პიასტრს უწოდებდნენ“ [10; 132-132]. თუ როგორი სახის ფულის ერთეულს წარმოადგენდა ახჩა ქართლში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ქ. გორის მაგალითზე. ერთ-ერთი თურქული დოკუმენტის თანახმად, 1726 წელს გორში ერთი თოფი 240 ახჩად ფასობდა [13; 112]. 1728 წლისთვის საქართველოში 1 თურქული ყურუშში 120 ახჩას შეადგენდა [13; 113]. ოსმალურ დავთარში წარმოდგენილი გადასახადებიდან, ოსმალური ტერმინოლოგიიდან გამომდინარე, ბევრი რამ გაურკვეველია, თუმცა დოკუმენტში მოხსენიებული ზოგიერთი გადასახადი მაშინდელი საგადასახადო სისტემის ნაწილობრივ აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. ოსმალებმა დაბეგრეს ახალგორში არსებული სოფლის მეურნეობის ყველა დარგი [9; 415]. ოსმალეთის ხელისუფლებას ახალგორიდან გადასახადების სახით 22570 ახჩა ჰქონდა შემოსავალი. გადასახადების იგივე ჯამია დაფიქსირებული ახალგორში, პროფ. ნ. შენგელიას მიერ სტამბოლის არქივში მიკვლეულ მეორე თურქულ დოკუმენტში – „თბილისის ლივის სამეფო ხასები“, რომელიც 1730-1732 წლებით თარიღდება. აქ ცალკეა წარმოდგენილი „ამილახვრის ნაჰიე გორის კაზაში“. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ამ დროისათვის ახალგორი ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ქართლის არაერთ სოფელთან ერთად გივი ამილახვარს ჰქონდა გადაცემული. თუ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დავთრის შედგენის დროს ახალგორი „შავი არაგვისა და შანშეს ნაჰიეში“ შედიოდა და ქსნის ერისთავის დაქვემდებარებაში იყო, რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც ჩვენ მიერ ნახსენები მეორე ოსმალური დოკუმენტი ცხადყოფს, ის უკვე „ამილახვრის ნაჰიეში“ შედიოდა და გივი ამილახვარს ექვემდებარებოდა. დოკუმენტში ახალგორის შესახებ აღნიშნულია: „სოფელი ახალგორი, ექვემდებარება ხსენებულს (იგულისხმება გივი ამილახვარი – გ.ს.), 22570“ [20; 410]. როგორც ჩანს, მეორე დოკუმენტის შედგენის დროს გადასახადების ჯამური ოდენობა ახალგორში უცვლელი იყო. „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დავთარში“ მოხსენიებულია გადასახადი ვენახზე. ახალგორში ვენახების არსებობა ოსმალური დავთრის თანამედროვე ქართული დოკუმენტური წყაროებითაც დასტურდება [1; 131]. მევენახეობა ახალგორსა და, საერთოდ, ქსნის ხეობაში ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. ეს დასტურდება უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტური მასალითაც. 1804 წლის რუსული აღწერის მიხედვით ირკვევა, რომ ახალგორში ვენახი თითქმის ყოველ ოჯახს ჰქონდა [15; 48]. დავთრის მიხედვით, ახალგორის მოსახლეობა იხდიდა გადასახადს ერბოზე, რაც ახალგორში მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს. როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს: „ქსნის საერისთავოს გეოგრაფიულ თავისებურებათა გამო მესაქონლეობას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. საერისთავოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მართალია მემინდვრეობისათვის ხელსაყრელი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ, საქონლის საძოვრებისათვის საუკეთესო ადგილები იყო ქარჩოხის, ჭურთის, ჟამურის და მადრან-დვალეთის სანახები. ზამთარში კი საერთავოს ბარის ზოლში (იკოთი, ოძისი, ლამისყანა, თეზი, მეჯვრისხევი) უხვად იყო საზამთრო საძოვრები“ [8; 157]. ქსნის საერისთავოში რომ მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეკავა, დასტურდება აგრეთვე 1713 წლის ერთი დოკუმენტით, რომელიც დავით ქსნის ერისთავის ასულ ანასტასიას მზითვში გატანებულ ქონებას ასახავს. ანასტასია ქსნის ერისთავის ასული ცოლად გაჰყვა ქაიხოსრო ავალიშვილს და მას მზითვად გაატანეს: „ცხენის ჯოგი ცხრა მისის მეჯოგით, სამეხრეო გამართულის მისის გუთნის დედი, სადიასახლისო ფური ცხრა მის დიასახლისით. ცხვარი ასი მისის მეცხვართა, ღორი ოცდა ათი მისის მელორით“ [19; 501]. აღნიშნულ დოკუმენტში არსებულ ცნობებს ახალგორში განვითარებული მესაქონლეობის შესახებ კიდევ უფრო ამყარებს ოსმალურ დავთარში დაცული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც

ახალგორელები ოსმალეთის ხელისუფლების სასარგებლოდ იხდიდნენ გადასახადს ცხვარსა და ღორზე [23; 424]. დავთარში ასევე ნახსენებია გადასახადი ხილზე, რაც ქსნის საერისთავოს ცენტრში მებაღეობის განვითარებაზე უნდა მიუთითებდეს. ქსნის ხეობის ქვემო წელზე რომ ნაყოფიერი მიწა არსებობდა, ამას ვახუშტი ბატონიშვილიც მიუთითებს [2; 359]. დავთრის მიხედვით, ოსმალთა მოხელეების მიერ ახალგორის ადწერის დროს 4 წისქვილი ყოფილა. წისქვილების არსებობა ახალგორში სხვა წყაროებითაც დასტურდება. 1726 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნის მიხედვით, შანშე ქსნის ერისთავს ზაზა რატიშვილმა (რატიშვილები ქსნის ხეობაში მცხოვრები აზნაურები იყვნენ. 7; 82; რატიშვილები მოხსენიებულნი არიან თედო ჟორდანიას მიერ მიკვლეულ 1539-1530 წწ. მცხეთის სიგელში, რომელიც კათალიკოს ბასილის მიერ არის დაწერილი და მცხეთის დაკარგულ მამულებს ეხება, რატიშვილები ამ დროს ფლობდნენ წირს. 22; 373; რატიშვილების საგვარეულო სამვალედ კაზენის მონასტერი ითვლებოდა, მათ ეკუთვნოდათ ასევე ყანჩაეთი. რატიშვილები ქსნის ერისთავების განაყოფები იყვნენ) ახალგორში მცხოვრები უმარილოშვილი ნასყიდა, ბაინდურა, სარქისა და მანუჩარა მთელი თავიანთი ქონებით მიჰყიდა. უმარილოშვილების ქონების ჩამონათვალში მითითებულია წისქვილი [3; 222, №317]. წისქვილების არსებობა ახალგორში უფრო გვიანდელი პერიოდის წყაროებითაც დასტურდება. გერმანელ მეცნიერ გიულდენშტედტს, რომელმაც საქართველოში XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა, ახალგორში რამდენიმე წისქვილი უნახავს. მისი გადმოცემით, ახალგორელი მეწისქვილეები წისქვილის დოლაბებს სარკინეთის ქვასატეხში ყიდულობდნენ [14; 228]. დავთარში მოიხსენიება ახალგორში არსებული ოსმალური ხელისუფლების მიერ რეგისტრირებული სათიბები. დ. გვრიტიშვილის გამოკვლევით, ახალგორში სულ 24 დღიური სახნავად გამოსადეგი მიწა იყო. რაც შეეხება სათიბებს, ახალგორში სათიბი ადგილები არ ჰქონიათ [8; 148], თუმცა ოსმალური დოკუმენტი განსხვავებულ სურათს გვამძლევს. დავთარში მოხსენიებულია ახალგორელთა გადასახადი თივაზე. წყაროში გვხვდება ახალგორში არსებული „უშრის გადასახადი“. როგორც ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, უშრის მიწა საკუთრებას წარმოადგენდა და ამ გადასახადს მხოლოდ მუსლიმანი იხდიდა [4; 162, 322, 341]. ქსნის საერისთავოს ცენტრის ადწერის შემდეგ დავთარში აღნიშნულია, რომ „სოფელი ქვიანი ადგილია, იქ დასამუშავებელი ადგილები არაა“ [23; 424]. ახალგორში „თიმარები“ არსებობდა, რომლის მფლობელები იყვნენ „ისფენჯეები“. გ. ფუთურიძის განმარტებით: „პირველ ხანებში თიმარი ეწოდებოდა ყოველგვარ საკარგავს, რომელიც სამხედრო-ფეოდალურ არისტოკრატის ემლეოდა და უმეტეს შემთხვევაში – სამხედრო სამსახურისთვის. შემდეგ ასე უწოდებდნენ იმ მიწებს, რომელთა წლიური შემოსავალი 1000 ახჩიდან 20 ათას ახჩას აღწევდა და სამხედრო სამსახურის პირობით ეძლეოდათ ფეოდალებს. თიმარის მფლობელებს ეწოდებოდათ „საჰიბი თიმარ“, თიმარლი სიფაჰილერ“ [10; 141]. როგორც ვ. გაბაშვილი განმარტავს: „თიმარის“ მემკვიდრეობით გადაცემა არ შეიძლებოდა. „თიმარის პატრონის („საჰიბ-ი თიმარ“) მფლობელობის უფლების („ჰაკკ-ი თასარუფ“) პირობა სამხედრო სამსახური იყო“ [4; 186]. რაც შეეხება დავთარში მოხსენიებულ „ისფენჯეებს“, ვფიქრობთ, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს ეს ტერმინი, ვინ იყვნენ ისფენჯეები? ვ. გაბაშვილის განმარტებით: „ისფენჯი“ სამცხე-საათაბაგოში, ისევე როგორც ოსმალეთის ვილაიეთების ევროპულ ნაწილში, ქრისტიანულ მოსახლეობას ჰქონდა დაკისრებული. მასვე მართებდა „ჯიზიას“ გადახდა. ისფენჯი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, როგორც წესი, ყველა სოფლის საგადასახადო ნუსხაშია მოხსენიებული. ამასთან, პირველად ყოველთვის ისფენჯია დასახელებული. საგადასახადო ნუსხა კი მოსდევს სოფლის მცხოვრებლების (მამაკაცების) სიას, რომლებშიც ქართული სახელების და გვარების მატარებელი გლეხები არიან ჩამოთვლილი“ [4; 341]. პროფ. ნ. შენგელიას განმარტებით, ისფენჯი იყო ქრისტიანი მოსახლეობისათვის განკუთვნილი მიწაზე დაწესებული გადასახადი, რომლის გადახდა ევალებოდა ოსმალთა ხელისუფლებზე დაქვემდებარებულ რეგისტრირებულ ქრისტიანულ მოსახლეობას, რომელიც დასამუშავებელ მიწას ფლობდა [24; 281]. უცხოელ ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ისფენჯის გადასახადის შესახებ, ზოგიერთი, მაგ. ჰამერი თვლის, რომ ისფენჯი იყო გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ სამხედრო ტყვეები სიცოცხლის გამოსასყიდად. ამ მოსაზრებას იზიარებს თურქი ისტორიკოსი აბდურაჰმან ვეფიკი [9; 423]. ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მოსაზრებით (დერჟავინი), ისფენჯის გადასახადი იგივე დევშირმეს გადასახადი (ქრისტიანთა ბავშვების ხარჯზე იანიჩართა კორპუსის დასაკომპლექტებლად დაწესებული გადასახადი) იყო [9; 421]. გ. ტივამის განმარტებით, ისფენჯის გადასახადი – ეს იგივე ხარაჯა იყო, რომელსაც ქრისტიანი მოსახლეობა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ იხდიდა [21; 138]. ჩვენს ყურადღებას იპყრობს დავთარში არსებული ჩანაწერი – „თიმარის მფლობელი ისფენჯეები.“ თუკი თიმარი სამხედრო-ფეოდალურ ერთეულს – საკარგავს წარმოადგენდა და მისი მფლობელობის პირობა სამხედრო სამსახური იყო, ბუნებრივია, ასეთი მიწის ერთეულები ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ქრისტიანული აღმსარებლობის ადამიანებს არ გადაეცემოდათ.

ამიტომ სავარაუდოა, რომ დავთარში მოხსენიებულ ახალგორის თიმარებს ფლობდნენ ან ოსმალთა სამხედრო პირები, ან გამუსლიმანებული ქართველები, რომლებიც ოსმალეთის ხელისუფლების სამსახურში იდგნენ და თიმარის მიღების სანაცვლოდ ადგილობრივი მამაკაცების სამხედრო სამსახურში გამოყვანა ევალბოდათ. მათ დავთარი „თიმარის მფლობელ ისფენჯეებად“ მოიხსენიებს. ჩვენი აზრით, ახალგორის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისფენჯი სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული ტერმინია. თუ ისფენჯი ქრისტიანული მოსახლეობისათვის განკუთვნილი მიწის გადასახადი იყო, როგორც ზოგიერთი მკვლევარი თვლის, მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია დავთარში არსებული ჩანაწერი „თიმარის მფლობელი ისფენჯეები“. დოკუმენტში გარკვევით არის აღნიშნული: „ხსენებული სოფელი ქვიანი ადგილია, იქ დასამუშავებელი ადგილები არაა, რადგანაც იქ თიმარის მფლობელები არიან **ისფენჯეები**.“ ე. მამისთვალიშვილის შეხედულებით, „ისფენჯი კაცებში“ ყოველგვარი საკუთრების მქონე ქრისტიანი მამაკაცები შედიოდნენ [11; 45]. ჩვენი აზრით, „ისფენჯი კაცებში“ თიმარებიდან სამხედრო სამსახურში გამოსაყვანი ადგილობრივი მამაკაცები იგულისხმებოდნენ. ახალგორში, როგორც ჩანს, ასეთი მამაკაცი სულ 67 იყო. სწორედ ისინი იყვნენ ოჯახის უფროსები და მათ ჰქონდათ დაკისრებული სამხედრო ვალდებულება. მათ გადასახადს შეადგენდა 8040 ახჩა. რაკი „ისფენჯი კაცებს“ ოსმალთა ხელისუფლებისაგან გადასახადი ჰქონდათ დაკისრებული, ისინი პრივილეგირებული თიმარის მფლობელები ვერ იქნებოდნენ, ამიტომ დავთარში მოხსენიებული „ისფენჯი კაცები“ და „თიმარის მფლობელი ისფენჯეები“ სრულიად განსხვავებული ტერმინებია. ახალგორელები სამხედრო ხარაჯასთან ერთად იხდიდნენ მიწის გადასახადს, ე.წ. „თაფუს“ – მიწის გადასახადს [9; 424]. ასევე დემთიბანს, იგი ველზე დაწესებულ გადასახადს წარმოადგენდა [9; 425]. ახალგორელთა გადასახადების სიაში შედიოდა აგრეთვე ბადიჰავას გადასახადი. ამ გადასახადში, ისტორიკოსთა ერთი ნაწილის შეხედულებით, შედიოდა სხვადასხვა სახის ჯარიმა: საქორწინო გადასახადი, მიწის თაფუ და სხვ. ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ბადიჰავას გადასახადი დამნაშავეების ფულად ჯარიმას წარმოადგენდა [9; 426]. ნ. გორგოძე აღნიშნავს: „ბადიჰავა უნდა იყოს გადასახადების ერთი ჯგუფის საერთო სახელწოდება. ამის საფუძველს იძლევა კანუნ-ნამები. წყაროებში ჯარიმები, „იავა, „კაჩკუნ“, „მალი გაიფ“ და სხვა ერთადაა დასახელებული. ამრიგად, წყაროებიდან ჩანს, რომ ბადიჰავაში გაერთიანებული იყო რამდენიმე სახის გადასახადი, რომლის გადახდა მწარმოებელი საზოგადოების უშუალო ვალდებულებას წარმოადგენდა“ [9; 426]. დავთარში ახალგორელებზე დაკისრებული გაურკვეველი ოსმალური ტერმინებით აღნიშნული გადასახადები: „ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ“ და სხვ. შესაძლებელია, წარმოადგენდა სხვადასხვა სახის წვრილმან გადასახადს, რომელიც შედიოდა ე.წ. „ბადიჰავას“ გადასახადების ჯგუფში.

ამრიგად, „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის, ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის--ახალგორის შესახებ. დავთარში არსებული ინფორმაცია გვეხმარება ახალგორის მოსახლეობის რაოდენობის, სოციალური ფენების, ახალგორში განვითარებული სოფლის მეურნეობის, მოსახლეობაზე დაკისრებული სხვადასხვა გადასახადების დადგენის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბ., 2006.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973
3. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. I თბ., 1940.
4. გაბაშვილი ვ., ფეოდალური წყობილება საქართველოში, თბ., 1958.
5. გამრეკელი ვ., ცქიტიშვილი ზ., 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, 1973, №1.
6. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, თბ., 1983.
7. გვასალია ჯ., ქართლის ხეობათა შედარებითი შესწავლისათვის („ქსნური ფენომენი“), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №4, თბ., 1988.
8. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

9. გორგომე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის (1728 წ.) მიხედვით, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 12. თბ., 2005.
10. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. II გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973.
11. მამისთვალიშვილი ე., გორის მოსახლეობა „ოსმალის“ პერიოდში (ოსმალური წყაროების მიხედვით), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენცია, „ქართულ-თურქული ურთიერთობები“ შრომათა კრებული, გორი, 2012.
12. მამისთვალიშვილი ე., გორის გარეგნული სახე ოსმალის პერიოდის ოსმალურ წყაროებში (XVIII ს. 20-30-იანი წლები), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №4, გორი, 2013.
13. ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII-XVIII სს.), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ფაქსიმილებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს ასპარუჟ ველკოვმა და ნოდარ შენგელიამ, წიგნი II, თბ., 1989.
14. სოსიაშვილი გ., ცხინვალი და ახალგორი ევროპელ მოგზაურთა ცნობების მიხედვით (XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში), წიგნში: შიდა ქართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2013.
15. სოსიაშვილი გ., ახალგორის მოსახლეობა XIX საუკუნის დასაწყისში, წიგნში: ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011.
16. სოსიაშვილი გ., ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011.
17. სოსიაშვილი გ., ცხინვალი „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენცია - „ქართულ-თურქული ურთიერთობები“ შრომათა კრებული, გორი, 2012.
18. მაკალათია ს., ქსნის ხეობა, თბ., 1968.
19. საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. III თბ., 1910.
20. სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ თბ., 2008.
21. ტივაძე გ., სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. ჟურნ. „მნათობი“, №8, თბ., 1948.
22. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შვედებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფ., 1897.
23. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009.
24. შენგელია ნ., გადასახადები და საგადასახადო სისტემა XV საუკუნის ოსმალეთში. საქ. სს.რ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტიტუტის შრომები, VI, ნაკვ. 2, თბ., 1962.
25. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1984.
26. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, თბ., 1967.
27. ჯავახიშვილი ივ., ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში, ჟურნ. „მომბე“, IV, 1901.

AKHALGORI ACCORDING TO “THE GREAT BOOK OF TBILISI VILAYET, 1728”

Giorgi Sosiashvili, Gori State Teaching University, Professor

RESUME

Akhalgori was the political, trade-economical and cultural center of the historical Ksani Principle through centuries. The ancient Georgian city, which is occupied by Russia today, has been populated since the Neolithic period. Historical notes about Akhalgori, and generally about Ksani Principle are protected in many documental and narrative monuments.

Except Georgian sources, there are foreign notes about Akhalgori as well, among them is “The Great Book of Tbilisi Vilayet, 1728”.

During the period of writing the Ottoman Book Akhlagori was pretty large and developed village, because according to the fiscal document 455 people lived in the center of Ksani Principle. There were 23 stores in that period and we think that this number is not exaggerated, as Akhlagori was the trade center of Ksani Principle, where people from mountains and valleys used to come to trade. Many details are vague from the ottoman terminology about their taxes written in the Ottoman Book, though some taxes mentioned in the document give opportunity to restore the system of taxation of that period. The ottomans charged by the duty all the fields of agriculture in Akhlagori. For example, in “The Great Book of Tbilisi Vilayet, 1728” is mentioned the tax on vineyard. The existence of vineyards in Akhlagori is proved from the documental sources written in the Modern Georgian language in the Ottoman Book. According to the Book the Akhlagori population used to pay for butter, which indicates that cattle-breeding was developed there. In the Book also is mentioned the tax for fruit, which indicates that horticulture was developed in the center of Ksani Principle as well. There is mentioned the tax for hay and son on.

So, the information given in the Book helps us to know the number of Akhlagori population, social groups, developed agriculture, different payment and taxes of the population.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ქართული ტერიტორიების საკითხი

ვაჟა ჩოჩია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ამ ომში ორივე მხარეს დამპყრობლური მიზნები ჰქონდა. თურქეთი ცდილობდა, დაპყრობილი ბალკანელი ხალხების გამათავისუფლებელი მოძრაობა ჩაეხშო და აღედგინა ადრინდელი გაბატონებული პოზიციები ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიაში. რუსეთი, თავის მხრივ, ესწრაფოდა ბალკანეთის ქვეყნებსა და სამხრეთ კავკასიაში თავისი ბატონობის განმტკიცებას და ახალი ტერიტორიების დაპყრობას. ქართველი ხალხი ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მის მხარეს იბრძოდა, რადგან ამ ომით იმედი ჰქონდა, რომ დაიბრუნებდა წლების მანძილზე თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს სამხრეთ საქართველოში. აჭარის იძულებით გამაჰმადიანებული მოსახლეობა ამ ომში ხსნას ხედავდა და ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ პროვინციებში, ხშირი იყო ანტითურქული აჯანყებები.

ამ ომს წინ უძლოდა 1875 წლის ზაფხულში თურქეთის იმპერიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ჰერცეგოვინაში, შემდეგ კი ბოსნიაში დაწყებული ქრისტიანული მოსახლეობის აჯანყება თურქეთის ფეოდალური და ეროვნულ-რელიგიური ჩაგვრის წინააღმდეგ. სლავი ხალხების მხარდაჭერით, რუსეთი მოკავშირეებს იძენდა ავსტრია-უნგრეთთან ან თურქეთთან შესაძლო ომის შემთხვევაში.

გერმანიის კანცლერი ბისმარკი „ავადმყოფ ადამიანად“ მოიხსენიებდა თურქეთს (8: 61) და ცდილობდა რუსეთის ჩაბმას ბალკანეთის პრობლემებში, რომ ამ გზით გამოეწვია მისი ომი თურქეთთან და გაემწვაებინა რუსეთის ურთიერთობები ავსტრია-უნგრეთსა და ინგლისთან (20: 209). ბისმარკი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, სახელმწიფოების ერთმანეთთან დაპირისპირების დიდოსტატი (10: 127), კარგად ხედავდა, რომ აღმოსავლეთში წარმოშობილ წინააღმდეგობათა კვანძის გამოყენებით შეიძლებოდა დიდი სახელმწიფოების კონფლიქტში ჩათრევა და რუსეთ-თურქეთის ომის პროვოცირება.

1875 წლის 30 დეკემბერს ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრასიმ დიდ სახელმწიფოებს გადასცა ნოტა, რომლითაც სთავაზობდა მათ, ერთობლივად ემოქმედათ იმ მიზნით, რომ მიეღწიათ თანხმობისათვის როგორც თურქეთის, ისე აჯანყებულთა მხრიდან (9: 89), მაგრამ ამ ნოტამ შედეგი ვერ მოიტანა აჯანყებულთა უარის გამო, რომლებიც არ ენდობოდნენ სულთნის დაპირებებს და ევროპის დიდი სახელმწიფოების მხრიდან გარანტიებს მოითხოვდნენ (3: 207). ინგლისს, თავისი ტრადიციული პოლიტიკის თანახმად, არ სურდა რაიმე ვალდებულების აღება ევროპის კონტინენტზე, რაც ნიშნავდა, რომ აღმოსავლეთის კრიზისმა დააყენა საკითხი ბისმარკის დამოკიდებულების შესახებ ვენასა და პეტერბურგს შორის. 1877 წლის 9 აპრილს თურქეთმა უარყო 1877 წლის 19 მარტის ექვსი დიდი ქვეყნის წარმომადგენელთა ლონდონის ოქმი (3: 231), რამაც უზიძგა რუსეთს, თურქეთთან ომისათვის სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო. 23 აპრილს რუსეთმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა

თურქეთთან და 1877 წლის 24 აპრილს კომინიოვში იმპერატორმა ალექსანდრე II ხელი მოაწერა მანიფესტს თურქეთთან ომის გამოცხადების შესახებ.

განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერა იმ ეტაპზე წარმოადგენდა რუსეთის საგარეო-პოლიტიკური პროგრამის საფუძველს (15: 40; 6: 132-133). ეს იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის პროგრესული მიმართულების ერთი ნაწილი, მაგრამ არსებობდა მეორე მხარეც - ამ პოლიტიკის სუბიექტური, რეაქციული მიზნები, რაც განპირობებული იყო ცარიზმის ბუნებით. თურქეთთან ომს რომ იწყებდნენ, რუსეთის მმართველი წრეები მიზნად ისახავდნენ - განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები ბალკანეთზე, გაემლიერებინათ იქ კონსერვატიული, იდეოლოგიური და პოლიტიკური გავლენა.

რაც შეეხებოდა სრუტეებს და კონსტანტინოპოლს, რუსეთის კანცლერი - გორჩაკოვი ატყობინებდა რუსეთის ელჩს ლონდონში - შუვალოვს, რომ იმ მომენტში ეს საკითხი რუსეთისათვის არ იდგა. ინგლისის მთავრობას გადაეცა დაპირება, რომ რუსეთი არ აპირებდა კონსტანტინოპოლში შესვლას და შავი ზღვის სრუტეების პრობლემა, მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე, საერთო თანხმობით უნდა გადაწყვეტილიყო სამართლიან და გარანტირებულ საწყისებზე (9: 118). ამრიგად, საერთოევროპულ პრობლემას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რუსეთის მთავრობა წინასწარ აძლევდა გადასაწყვეტად დიდ სახელმწიფოებს.

ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო მოხალისეთა რაზმების შექმნა. რუსეთის ჯარმა ქართველთა რაზმებთან ერთად გადალახა თურქეთის საზღვარი და ბრძოლები მის ტერიტორიაზე გაჩაღდა. 1877 წლის 30 აპრილს მათ დაიკავეს ქ. ბაიაზეთი, შემდეგ კი - ქ. არტაანი. ამ ბრძოლებში თავი ისახელეს ქართულმა სამხედრო ნაწილებმა. ამ გამარჯვების შემდეგ, არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა ბათუმისკენ იხსნებოდა, მაგრამ კავკასიის არმიის სარდლობამ სტრატეგიული თვალსაზრისით გამართლებული ყარსის ციხესიმაგრის აღება გადაწყვიტა. მიუხედავად ამისა, ბათუმზე შეტევა ოზურგეთის მხრიდან მიმდინარეობდა, მაგრამ ივნისში ციხისძირთან, დიდ ბრძოლაში თურქებმა გაიმარჯვეს. ამავე პერიოდში თურქებმა შავი ზღვით დესანტი გადასხეს გუდაუთაში და სოხუმს შეუტიეს. ოქუმის მიდამოებში, გადამწყვეტ ბრძოლაში, გენერალმა ალხაზიშვილმა რუს-ქართველთა ჯარით დაამარცხა თურქები და მალე აფხაზეთის მთელი ტერიტორია მტრისგან მთლიანად გაწმინდეს.

1877 წლის 17-18 ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარებმა აიღეს ყარსის ციხესიმაგრე. ეს იყო დიდი გამარჯვება, რომელიც არსებითად წყვეტდა ამ ფრონტის ბედს, მით უმეტეს, რომ შეტევა წარმოებდა ერზერუმის მიმართულებითაც. ბათუმისათვის სამხედრო ოპერაციები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. დეკემბერში კავკასიის არმიის ნაწილები შავშეთში შეიჭრნენ და 16 დეკემბერს დაიკავეს არტანუჯი.

მდინარე დუნაის გადალახვის შემდეგ გენერალ გურკოს მეთაურობით მოწინავე რაზმმა, რომელშიც შედიოდნენ ბულგარულ მოლაშქრეთა რაზმები, 1877 წლის 7 ივლისს გაათავისუფლა ქ. ტირნოვო, შემდეგ კი ხელში ჩაიგდო შიპკის მნიშვნელოვანი უღელტეხილი, მაგრამ პლევნასთან, სადაც თურქებს სარდლობდა ნიჭიერი სარდალი ოსმან-ფაშა, რუსებმა სერიოზული მარცხი განიცადეს, რამაც შეაფერხა მათი სვლა კონსტანტინოპოლისაკენ. წარუმატებლობის მიუხედავად, პლევნის ალყა გრძელდებოდა და 10 დეკემბერს თურქები დანებდნენ, რამაც რუსეთის არმიას გზა გაუხსნა სამხრეთ ბულგარეთისაკენ. ამ დიდმა წარმატებამ ბიკონსფილდის მთავრობა შეაშფოთა, რომ საფრთხე არ დამუქრებოდა შავი ზღვის სრუტეებს, ამიტომ ლონდონში მიიღეს გადაწყვეტილება, ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შავი ზღვის სრუტეებთან გადაეყვანათ, მისი დაცვის მიზნით (1: 115; 5: 147).

ომის საბოლოო ბედი ბალკანეთის ფრონტმა გადაწყვიტა. პლევნის ციხესიმაგრის აღების შემდეგ რუსეთის ჯარებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და საომარი ოპერაციები ბულგარეთის ტერიტორიაზე გადაიტანეს. თურქეთის არმიებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. რუსეთის არმია კონსტანტინოპოლს მიუახლოვდა (13: 357). ჯერ კიდევ ზავის დადებამდე, როცა ომის შედეგი უკვე ცნობილი იყო, ავსტრია-უნგრეთმა მოითხოვა რუსეთ-თურქეთის მომავალი ზავის პირობების გადაცემა საერთაშორისო კონფერენციის განსახილველად (16: 397). დასაწყისში ლონდონი მერყეობდა, მაგრამ მალე ინგლისის მთავრობა შეუერთდა ვენის მოთხოვნას საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თაობაზე (17: 246).

1877 წლის 3 მარტს მეომარ მხარეებს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება დაბა სან-სტეფანოში, რომელიც მთლიანად ცვლიდა ბალკანეთის პოლიტიკურ სახეს (7: 451; 13: 359). თურქეთს ევროპულ ნაწილში მხოლოდ კონსტანტინოპოლი დარჩა. სრუტეების საკითხი სან-სტეფანოში რუსეთს არ დაუყენებია (იხ. 14: 159-165).

1878 წლის 4 ივნისს კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს საიდუმლო კონვენციას ინგლისსა და თურქეთს შორის, რომლის თანახმად ინგლისი იღებდა კუნძულ კვიპროსის ოკუპაციის და მართვის უფლებას იმის სანაცვლოდ, რომ რუსეთის ხელყოფისაგან დაცული იქნებოდა ბათუმი, არდაგანი და ყარსი (11: 39-40). 6 ივნისს კი ლონდონმა და ვენამ ხელი მოაწერეს საიდუმლო კონვენციას ბერლინის

კონგრესზე რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. ახლოვდებოდა საერთაშორისო კონგრესის დაწყების თარიღი.

1878 წლის 13 ივნისს ბერლინში, კანცლერ ბისმარკის თავმჯდომარეობით ოფიციალურად გაიხსნა კონგრესი. ექვსი დიდი ქვეყნის და თურქეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კონგრესის მუშაობაში. ბალკანეთის ქვეყნების წარმომადგენლები ასევე ჩავიდნენ ბერლინში, მაგრამ ისინი არ მონაწილეობდნენ კონგრესის მუშაობაში (9: 129). კონგრესზე უნდა განეხილათ რუსეთ-თურქეთის ომით გამოწვეული ცვლილებები, რომლებიც დააფიქსირა სან-სტეფანოს ზავმა. მრავალ მწვავე პრობლემას შორის იყო ბათუმის საკითხიც. ინგლისმა ეს გარემოება კარგად გამოიყენა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთთან დიპლომატიური ბრძოლის დროს. თურქეთი ცდილობდა ბათუმის დაბრუნებას ინგლისის დახმარებით. სხვა დიდი სახელმწიფოები ბათუმის საკითხით დაინტერესებას არ იჩენდნენ და ამდენად, რუსეთს მარტოს მოუწევდა ბრძოლა ბათუმის შენარჩუნებისათვის. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ბიკონსფილდი და საგარეო საქმეთა მინისტრი სოლსბერი ბათუმის საკითხზე ყურადღების გამახვილებით ცდილობდნენ მიეღოთ შავი ზღვის სრუტეებში-ბოსფორსა და დარდანელში თავისუფლად გასვლის უფლება. სოლსბერის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ინგლისი ყველაზე მძლავრი საზღვაო სახელმწიფო იყო, ამიტომ მას შავ ზღვაში უნდა ჰქონოდა უპირატესობა. ეს არ იყო საკმარისი არგუმენტი და დიდ სახელმწიფოებსაც აღიზიანებდა. ისინი არ დაუშვებდნენ, რომ სრუტეებში თავისუფლად გასვლის უფლება მხოლოდ ინგლისს ჰქონოდა. ბიკონსფილდი მიხვდა, რომ შედეგს ვერ მიაღწევდა და უარი თქვა ამაზე. სამაგიეროდ, მან წამოაყენა წინადადება, რომ ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოცხადებინათ (4: 67). ეს არ ნიშნავდა, რომ ლონდონი უარს ამბობდა მცდელობაზე, ბათუმი თურქეთის შემადგენლობაში დარჩენილიყო. უბრალოდ, ლონდონი დიპლომატიური ლავირების პოლიტიკას ატარებდა და ცდილობდა სიტუაციის გამოყენებას. ბათუმის და მცირე აზიის სხვა ტერიტორიების საბოლოო გადაწყვეტის საქმე ჯერ კიდევ წინ იყო და კონგრესზე ის ბოლოს გადაწყდა, რაც გამოწვეული იყო რუსეთის მიმართ ინგლისის თანმიმდევრული მტრული პოზიციით (4: 76).

1878 წლის 6 ივლისს კონგრესზე სიტყვით გამოვიდა სოლსბერი და განაცხადა, რომ რუსეთის ხელში ყარსისა და არდაგანის გადასვლა ასუსტებდა თურქეთს, რაც ხელს შეუშლიდა მას, სიმშვიდე დაემყარებინა თავის აზიურ სამფლობელოებში. მისი სიტყვებით, ასეთ სიტუაციაში ინგლისი თავის ინტერესებს აღნიშნულ რეგიონზე ყველა საშუალებით დაიცავდა. ამ განცხადებას ზომიერი პასუხი გასცა გორჩაკოვმა. მისი განცხადებით, რუსეთი თმობდა არზრუმს, ბაიაზეთს და ალაშკერტის ხეობას. მისი აზრით, ეს ინგლისის სავაჭრო ინტერესებს პასუხობდა, რადგან ამ ტერიტორიებზე გადიოდა მთავარი სავაჭრო გზა სპარსეთისკენ. გორჩაკოვის აზრით, ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადება, რუსეთის სუვერენული უფლებების შენარჩუნებით, ყველა მოვაჭრე ქვეყნის ინტერესებს პასუხობდა, პირველ რიგში, ინგლისის ინტერესებს, რომელსაც ყველაზე დიდი სავაჭრო ფლოტი გააჩნდა (3: 91). ასეთი პოზიციის დაკავებით რუსეთი ესწრაფოდა, რომ ზედმეტად არ გაემწვაებინა ურთიერთობა ინგლისთან, თუმცა კარგად ხედავდა, რომ სერიოზულ დათმობებზე მიდიოდა. ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადების იდეას ბისმარკი მისალმებია და აღუნიშნავს, რომ მას მნიშვნელოვანი ცვლილებები შეჰქონდა სან-სტეფანოს ზავის პირობებში. თუ კონგრესი ამას მიიღებდა, მისი სიტყვებით, მაშინ მხოლოდ დეტალების განხილვა დარჩებოდა. ბისმარკი ცდილობდა, „პატიოსანი მაკლერის“ როლი შეესრულებინა და მიუკერძოებელი ყოფილიყო, რამდენადაც ამის საშუალებას მოვლენები აძლევდა. იგი მხარს უჭერდა როგორც რუსების პრეტენზიებს შავი ზღვის ევროპულ და აზიურ სანაპიროებზე, ისე ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – ანდრაშის პოლიტიკას – ჰყოლოდა სამხედრო კონტინგენტი ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში (13: 363).

1878 წლის 8 ივლისს ცნობილი გახდა, რომ 4 ივნისს ინგლისსა და თურქეთს ხელი მოუწერიათ საიდუმლო სამხედრო კონვენციაზე. ამ ცნობას უკმაყოფილება გამოუწვევია კონგრესზე (19: 164), რადგან ბათუმსა და მცირე აზიაში საზღვრების დაწესების საკითხების გამო ინგლისსა და რუსეთს შორის ბრძოლა გრძელდებოდა. თურქეთს იმედი ჰქონდა, რომ ლონდონი დაეხმარებოდა ბალკანეთზე საზღვრების დაწესების, ბათუმისა და ალაშკერტის ხეობის დაბრუნების და სხვა საკითხების გადაწყვეტაში. ლონდონში ელოდნენ თურქეთის სულთნის მიერ კონვენციის რატიფიცირებას და აზიის საკითხები ამ დროისათვის შემონახული ჰქონდათ განსახილველად. იმავე დროს, სულთანს ემუქრებოდნენ, რომ მხარს დაუჭირდნენ თურქეთის დაყოფის გეგმას, თუ დროზე არ მოხდებოდა კონვენციის დამტკიცება. ბიკონსფილდი ჯერ კიდევ 1877 წელს ფიქრობდა შეექმნა სამხედრო-საზღვაო ბაზა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. კვიპროსის ხელი ჩაგდება კი წარმოადგენდა აზიაში ინგლისის ექსპანსიის არსებით ელემენტს, რომელიც შეადგენდა ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მთავარ ამოცანას (9: 129). 6 ივლისს თურქეთმა მოახდინა კონვენციის სანქციონირება და ინგლისის დელეგაციამ 9 ივლისს ბათუმის საკითხის საბოლოო გადაწყვეტაზე თანხმობა განაცხადა.

თურქეთში რუსეთის ელჩი ლობანოვი 15 ივლისს იტყობინებოდა, რომ ვიდრე ბათუმის საკითხი დაისმებოდა კონგრესზე, ლონდონს სურდა გარანტიების მიღება, რომ კვიპროსს დაეუფლებოდა. ამიტომ იყო, რომ 6 ივლისს ინგლისის ელჩმა კონსტანტინოპოლში ლეიარდმა თურქეთის მთავრობას გადასცა სოლსბერის დეპეშა, რომელშიც ლონდონი მოითხოვდა, 24 საათის განმავლობაში სულთანს მიეღო კვიპროსის გადაცემის ფირმანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქეთის ინტერესების დაცვაზე უარით იმუქრებოდა. 7 ივლისს თურქეთის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა კვიპროსის გადაცემის ფირმანის საკითხი, რის შესახებაც აცნობეს სოლსბერის. ამის მიუხედავად, თურქეთის დიდმა საბჭომ კვიპროსის დათმობის შესახებ ფირმანის გამოცემა გადადო კონგრესის დამთავრებამდე იმის შიშით, რომ რუსეთს უარი არ ეთქვა მცირე აზიაში ბაიაზეთისა და ალაშკერტის ხეობის დათმობაზე. ბიკონსფილდი და სოლსბერი არწმუნებდნენ ინგლისის პარლამენტს, რომ ისინი აგრძელებდნენ ბრძოლას ბათუმისა და დასავლეთ სომხეთის გარშემო (18: 102). ცხადი იყო, რომ ბათუმისა და დასავლეთ სომხეთის საკითხებზე ლონდონის დიპლომატიურ ბრძოლას უშუალო კავშირი ჰქონდა კვიპროსის ხელში ჩაგდების საკითხთან.

1878 წლის 8 ივლისს ინგლისმა თანხმობა განაცხადა რუსეთისათვის ყარსის, არდაგანის და ბათუმის გადაცემაზე. ამის მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ იმავე დღეს ბიკონსფილდმა გამოაცხადა ინგლისის მიერ კვიპროსის დაკავების შესახებ, თუმცა კვიპროსი ფორმალურად და იურიდიულად თურქეთის იმპერიის ნაწილად 1914 წლამდე რჩებოდა. ამის შემდეგ გორჩაკოვს აღარ გაუძნელდა ბიკონსფილდის თანხმობის მიღება რომ ბათუმი „ძირითადად კომერციულ“ ნავსადგურად გამოეცხადებინათ. რუკაზე საზღვრების ზუსტი მიმართულებების განსაზღვრის მიმართ სირთულეების გამო, დაწესებულ იქნა უბრალო სწორხაზობრივი საზღვარი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის და ადგილის რელიეფის თავისებურების მხედველობაში მიუღებლად. ამის მიუხედავად, კონგრესის XIX სხდომაზე დაამტკიცეს ეს საზღვარი და ბერლინის კონგრესის მუშაობაც დასასრულს მიუახლოვდა. ბერლინის ტრაქტატის 58-ე მუხლით ბათუმი, აჭარა, შავშეთი, არტაანი, ძველი სამცხე-საათაბაგოს სხვა ნაწილები, აგრეთვე ყარსი და დასავლეთ სომხეთის ნაწილი რუსეთს უერთდებოდა. 59-ე მუხლში მოცემული იყო ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსი (12: 229). მიუხედავად ლონდონის დიპლომატიური ძალისხმევისა, ისტორიული ქართული ტერიტორიების დიდი ნაწილი დაბრუნდა და რუსეთს გადაეცა. თუმცა, ლონდონმა შეძლო, ამ დათმობების საფასურად კვიპროსი ჩაეგდო ხელში და ბათუმის საკითხში რუსეთი აიძულა დაეთმო. ამით რუსეთმა, რა თქმა უნდა, ბრძოლით და სისხლით მიღწეულ სან-სტეფანოს მონაპოვარზე ნაწილობრივ უარი თქვა.

აჭარის გათავისუფლებას თურქეთის ბატონობისაგან მხურვალედ მიესალმა ქართული საზოგადოებრიობა. გაზეთ „დროების“ ფურცლებზე იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა, ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გამარჯვების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა (ციტ. 2: 83). ამრიგად, თურქეთის ბატონობისგან საბოლოოდ გათავისუფლდა აჭარა-ქობულეთის ტერიტორია, თუმცა საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი ძველ მდგომარეობაში დარჩა.

ლიტერატურა:

1. დონაძე ვ., ზოსფორი და დარდანელი, თბ., 1983.
2. სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991.
3. ჩოჩია ვ., ბისმარკი და გერმანიის პრობლემა, 1862- 1882, თბ., 2011.
4. ჩხეიძე ა., ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში (1875-1878 წწ.), ბათუმი, 1974.
5. Бриггс Э., Клэвин П., Европа нового и новейшего времени, М., 2006.
6. Виноградов В. И., Русско-турецкая война 1877-1878 гг. и освобождение Болгарии, М., 1978.
7. Дебидур А., Дипломатическая история Европы. 1814-1878, т. II, Пер. с фран. Ростов-на-Дону, 1995.
8. Задохин А. Г., Низовский А. Ю., Пороховой погреб Европы, М., 2000.
9. История дипломатии, т. II. М., 1963.
10. Киссинджер Г., Дипломатия, М., 1997.
11. Королев А. Г., Фрейфелд О. Н., Международные отношения, 1870-1918, Сборник документов, М., 1940.
12. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. I, М., 1925.
13. Палмер А., Бисмарк, Пер. с англ. Смоленск, 1998.
14. Сборник договоров России с другими государствами, 1856-1917, М., 1952.
15. Чернов С. Л., Россия на завершающем этапе Восточного Кризиса 1875-1878 гг., М., 1984.
16. Чубинский В., Бисмарк-Биография, Санкт-Петербург, 1997.
17. Engelberg E., Bismarck, Das Reich in der Mitte Europas, Berlin, 1990.

18. Medlikott W.N., The Congress of Berlin and after. - A Diplomatic History of the Eastern Settlement. 1878-1880, London, 1938.
19. Summer B. H., Russia and Balkans, Oxford, 1937.
20. Wolter H., Bismarcks Außenpolitik. 1871-1881, Berlin, 1983.

RUSSIAN-TURKISH WAR OF 1877-1878 YEARS AND THE ISSUE OF GEORGIAN TERRITORIES

Vazha Chochia, Gori State Teaching University, Professor
SUMMARY

East crisis that started in 1875 has enabled more and more deepened, which allowed the great powers each other to confrontated. He tried to have caused Russian-Turkish war and thus carry out its strategic goals. Turkey has acted provocatively which the protests led to the great powers. It ends With the fact that, Russia declared war on Turkey on April 24, 1877. Russia supported the struggle for the independence of oppressed Slavs in Turkish Empire. Such support was needed in order for Russia to strengthen its position in the Balkans.

Chancellor Gorchakov feared that the international relations would be more difficult and the Great powers to join in the conflict. This will be a difficult situation for Russia to achieve its objectives. After successfully crossing the Danube River strategic advantage in the hands of the Russians moved. In July 1877, the Russians and the Bulgarians took Shipka Pass and then besieged fortress Plevna, which took on December 10. The outcome of this scared the British Government departure naval fleet to the Black Sea Straits.

Chancellor Gorchakov in international relations favored moderate Policy, but Russia's ruling circles was more pro-active action. Russia showed no activity towards the straits and agreed to the closure of the foreign military vessels and offering great powers develop a common approach towards the straits. Germany's position was fixed he supported Austria-Hungary. The position of Berlin, Vienna and London encouraged actively to take actions and irreconcilable position, which very complicated international relations.

Among the many critical problems on Berlin Congress there was also Batumi question. With the help of England, Turkey tried to return back Batumi wich was lost by san-stephano truce. By means of diplomatic fight related to the Batumi and West Armenia issues London triedto seize Cypress. Hence the situation of congress Beaconsfield understood that Batumi issue wouldn't settle cypress problem and refused it. Return he raised the issue to declare Batumi As an independent town. Russia agreed to this proposal since July 8, 1878 England declared that Karsi Ardagan and Batumi transferred to Russia. By that reason, Beaconsfield declared Cypress capture by England, wich was a result of diplomatic pressure on Turkey. Russia managed to preserve Batumi, but lost many gains of san-stephano.

თურქეთი და სტამბოლი ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მკვლევართა ნაშრომებში

მარინე ცერცვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

თურქეთი - ეს ძლიერი სახელმწიფო, 1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ რომ აღმოცენდა და ბოლო მოუღო ბიზანტიის იმპერიას, წლების განმავლობაში გავლენას ახდენდა საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ კურსზე. ჩვენი შრომის მიზანია გავარკვიოთ, რა კონტექსტში მოიხსენიებენ თურქეთს ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მკვლევრები.

იმის შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა, საქართველოში ტრაგიკული ამბები დატრიალდა, შეიქმნა „სამანი“. ქართველობა გაიფანტა სხვადასხვა ქვეყნებში და მათ ქართველი ემიგრანტები დაერქვათ; ამ ქვეყნებში მიმავალი ქართველთა გზა თურქეთზე გადიოდა. XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ანტანტის სახელმწიფოებმა თურქეთს (სულთნის მთავრობას) თავს მოახვიეს

კაბალური სევრის საზავო ხელშეკრულება (1920 წ.). ამ დროს თურქი ხალხი, მუსტაფა ქემალის მეთაურობით, იბრძვის არა მარტო ინგლის-საბერძნეთის ინტერვენტების წინააღმდეგ, ასევე უცხოური კაპიტალის ბატონობისა და სულთნის ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ.

1920 წელს ანკარაში შეიკრიბა პარლამენტი - დიდი ეროვნული კრება, რომელმაც თავი გამოაცხადა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად ქვეყანაში.

ამ მთავრობის პირველი საგარეო აქცია იყო ათათურქის მიმართვა საბჭოთა მთავრობისადმი ოსმალეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო.

საბჭოთა მთავრობამ 1920 წლის 2 ივნისს პირველმა ცნო მუსტაფა-ქემალის მთავრობა, დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

1921 წლის 16 მარტს დაიდო რსფსრ - ოსმალეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ.

რაც შეეხება საქართველოს და თურქეთის ურთიერთობას: რუსუდან ნიშნიანიძე წიგნში - „საქართველო-სამანს აქეთ... და სამანს იქით...“, ყურადღებას ამახვილებს საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობების უდიდეს მნიშვნელობაზე, ეყრდნობა რა დოკუმენტური პროზის ნიმუშებს, ოფიციალურ განცხადებებს თუ მხატვრულ მასალას.

წიგნში მოცემულია ინგლისის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ლორდ კერზონის, სიტყვები, ირაკლი წერეთლისთვის რომ უთქვამს ლონდონში შეხვედრისას: „შეგიძლიათ თქვენ უზრუნველყოთ თქვენი დამოუკიდებლობა იმ უშველებელი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელიც თქვენი მეზობელია და რომელსაც ჰქვია რუსეთი? [1. გვ. 68].“ რუსუდან ნიშნიანიძე აღნიშნავს, რომ ამ სიტყვებს იქვე მოჰყვება შემდეგი კომენტარი: „აი, სწორედ აქ არის ქართული პრობლემის სიძნელე, ქართველი ხალხის დრამა“ [1 გვ. 69.]

აღნიშნავს რა მომავალი ტრაგედიის წინათგარმობას, მკვლევარმა კარგად იცის, რომ „ქვეყნის დამოუკიდებლობის დამცემს მეზობელ სახელმწიფოთა კეთილი ნება უდავოდ სჭირდება“ [1 გვ. 69].

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ იქნა იურიდიულად აღიარებული და ცნობილი არა მარტო დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, თვით დაკარგვის შედეგადაც. რუსუდან ნიშნიანიძე ჩამოთვლის ქვეყნებს და თარიღებს, რომელმა ქვეყანამ როდის აღიარა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და ამ ჩამონათვალში პირველი თურქეთია - 1918 წლის 3 ივნისს.

ჩვენ ვიხილავთ ცნობებს თურქეთის შესახებ, მოცემულს რუსუდან ნიშნიანიძის წიგნში, ამიტომ მივეყვით თანმიმდევრულად. შემდეგი ცნობა, სადაც თურქეთზეა საუბარი, ეხება დიმიტრი შალიკაშვილის დღიურს, რომელიც დაწერილი იყო რუსულად და ფრანგულად. ამ რვეულში გადმოცემული ამბები 1921 წლის მოვლენებს ეხება. ეს დღიური ვიკტორ ნოზაძეს „ფრიად ანგარიშგასწვრივ მასალად მიუჩნევია, უთარგმნია და დაუბეჭდავს, თუმცა ამ ჩანაწერებზე შენიშვნებსაც გამოთქვამს, რომ ამ ჩანაწერებში გაურკვეველია „ბათუმის ოკუპაციის საკითხი“ და არც არაფერია ნათქვამი იმ მოლაპარაკებების შესახებ, რასაც თურქეთი მოსკოვში აწარმოებდა. ეს მასალები „არც რვეულებში და არც ქაღალდებში არა ჩანს“, ამიტომ გამოურკვეველია, თუმცა მოგონების სათაურია „ანგორა 1921 წელს. საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში“ [1. გვ. 75].

რუსუდან ნიშნიანიძე, გვაცნობს რა პოლიტიკურ კალენდარს ამ ტრაგიკული ამბებისას, ქრონოლოგიურად მიჰყვება თებერვლის დღეებს. 13 თებერვლის ჩანაწერები ურთიერთგამომრიცხავია. ვალიკო ჩუბინიძის მოგონებებში დაფიქსირებულია, რომ წითელ არმიას თუმცა მოუვიდა დამხმარე ძალები 13 თებერვალს, მაგრამ ქართველთა ძალებსაც დაემატა ქართული პოლკის ორი გუნდი. „ჩვენ მტერს ვამარცხებთ“ [1. გვ. 88], - წერს ვ. აბესაძე.

დიმიტრი შალიკაშვილი მოგონებებში „საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში“, საწინააღმდეგოს წერს: „კონსტანტინოპოლიდან მოვიდა ფრანგული გაზეთები... არის ჭორები საქართველოს შესახებ. მაგ. წერენ, თითქოს რუსი საბჭოთა ჯარები სწმენდენ მათ მიერ დაკავებულ ოლქებს საქართველოში“ [1. გვ. 88]. ეს არცთუ მთლად ჭორია, რადგან გენერალი გიორგი მაზნიაშვილი თავის მემუარებში - „მოგონებანი 1917-1925“, აფიქსირებს, რომ საქართველოს არმიის „უფროსმა მხედრებმა“ გამოიჩინეს უყურადღებობა და მისცეს მტერს საშუალება, უვნებლად მიეღწია ტფილისის მიდამოებამდე. ყველაფერი ეს მოხდა რამდენიმე დღის განმავლობაში.

რაც შეეხება სტამბოლს: ეს ქალაქი რუსუდან ნიშნიანიძეს რამდენჯერმე აქვს მინიშნებული. პირველი ცნობა - ეს არის სტამბოლში 1923 წ. სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ქართველ მხედართა კავშირის გამოცემა, სადაც დაფიქსირებულია ის ფაქტი, როცა ილიას დისწულთან, კოტე აფხაზთან მისულან 25 თებერვლის ღამეს ამხანაგები და ქალაქიდან გასვლა უთხოვიათ. სწორედ მაშინ განაცხადა კოტე აფხაზმა: „ვინც ტფილისს ტოვებს, ის ტოვებს საქართველოს“ [1. გვ. 90].

შემდეგი ცნობა სტამბოლზე ასეთია: 11-12 თებერვალს მტერმა მოსპო ჩვენი ჯარი და რადგანაც შეცდომა წმინდა სამხედრო ხასიათისა იყო, შემდგომში უკვე სტამბოლში მყოფმა გენერალმა ოდიშელიძემ ბრალდებების საპასუხოდ განაცხადა: „თუ ასეთი გლახა ვიყავი, რა ადგილით ფიქრობდით თქვენ, როდესაც მე დამნიშნეთ მთავარსარდლადო“ [1. გვ. 100].

მოხსენიება სტამბოლისა ყოველთვის კავშირშია ემიგრაციის პირველ დღეებთან, როცა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები და სხვა ქართველი ემიგრანტები ჯერ ისევ სტამბოლში იმყოფებიან, იქ აკეთებენ სხვადასხვა სახის განცხადებებს - იქნება ეს პასუხი ბ-ნ გენერალ ჩხეიძეს, აკაკი კვიციანილის დაწერილი, თუ ნოე ჟორდანიას განცხადება: „17-ს დილით... ყოველ საათში იყო მოსალოდნელი ჩვენი დატყვევება,... იმავე დღეს დაიძრა ჩვენი იტალიანური გემი და გამოვსწიეთ სტამბოლისაკენ“ [1. გვ. 143].

13 ოქტომბრის ქრონიკაშია მოცემული ცნობა იმის შესახებ, რომ ანგორის გაზეთში „ხაკიმითი მილიე“ მოთავსებულ წერილში სათაურით - „თურქეთ-საქართველოს მეგობრობა“ - საუბარია იმ ფაქტზე, რომ თურქეთმა აღიარა დე-იურედ საქართველოს სახელმწიფო. დიმიტრი შალიკაშვილი მიიჩნევს, „ჩვენ ვფიქრობთ, ქართველები... მნიშვნელოვან ამბათ ჩათვლიან თურქეთ-საქართველოს მეგობრობასო“ [1. გვ. 114].

შემდეგი ცნობა, დაცული რუსუდან ნიშნინიძის წიგნში, არის თურქეთის ულტიმატუმი, რომელიც ანგორის მთავრობამ წარუდგინა საქართველოს მთავრობას. ამ ულტიმატუმით თურქეთი მოითხოვდა არდაგანის და ართვინის ევაკუაციას. „საქართველოსთვის შეუძლებელი იყო თურქებისთვის, ე.ი. ახალ ფრონტზე, წინააღმდეგობის გაწევა და საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქმნა, თავისი ჯარები გაეყვანა ამ ქალაქებიდან, თუმცა მან ამავე დროს ნათლად განაცხადა, რომ ამით არ წყდებოდა ეს საკითხი და რომ პრობლემის საბოლოო მოგვარება შეთანხმებასა ან არბიტრაჟს საჭიროებდა“ [1. გვ. 159], - ნათქვამია საქართველოს მთავრობის განცხადებაში საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოში შეჭრისა და დაპყრობის შესახებ.

ტრაგიკულია 24 თებერვალი, 25 თებერვლის წინაღვე. გიორგი მაზნიაშვილის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „3 საათზე ჩემმა ჯარებმა მიატოვეს პოზიციები და სრული წესრიგის დაცვით გაემართა ნავთლულის სადგურის და ღრმაღელის მიმართულებით“ [1. გვ. 179]. 24 თებერვლის ბიულეტენში აღწერილია თურქთა ჯარების შესვლა არდაგანის ოლქში, სადაც ქალაქის მცხოვრებნი ქალაქგარეთვე შეეგებნენ თურქთა ჯარს. ამავე დროს ბოლშევიკებიც წარმატებებს აღწევენ, „მალიან გამაგრებულ პოზიციებზე“. დიმიტრი შალიკაშვილის მოგონებებში „საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წ. თურქეთში“, გამოთქმულია ეჭვი, რომ ბოლშევიკები თურქეთთან შეთანხმებით მოქმედებენ საქართველოს გასანაწილებლად.

შემდეგი ჩანაწერები თურქების ცნობილ გამონათქვამს გვახსენებს: ჭკუა ფრანგისა, სილამაზე ქართველი ქალისა და სიდიადე ოტომანებისა (თურქთა). დიმიტრი შალიკაშვილი იმავე მოგონებებში წერს, რომ ს. მდივანსა და იზეტ-ფაშას შორის შედგა საუბარი, სადაც ს. მდივანს სურს, რომ „ქემალ-ფაშამ გაუგზავნოს ნ. ჟორდანიას დეპეშა, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს“ [1. გვ. 179], მაგრამ თურქებს ასეთი დეპეშის გაგზავნა არ შეუძლიათ, რადგან ისინი მხარს უჭერენ ბოლშევიკებს.

შემდეგი ცნობები გადმოგვცემს ბათუმში კიაზიმ ბეის მცდელობას -დაეჭირა მთავრობა და გადაეცა რუსებისათვის.

1921 წ. 19 მარტს „საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნება-სურვილით მიიღო, იძულებული გახდა, თავისი ქვეყანა დაეტოვებინა. საქართველო დატოვა და თურქეთისკენ გაემართა 19 მარტს მხედრებით და გადარჩენილი იუნკერებით დატვირთულმა რამდენიმე გემმა“ [1. გვ. 180].

შედარებით უფრო ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი თურქეთი და სტამბოლიც რუსუდან დაუშვილის წიგნში „ქართული ემიგრაცია 1921-39 წლებში“.

თურქეთი და სტამბოლი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშობლოდან ლტოლვილ დროებით მთავრობასთან, იუნკერებთან, რიგით ქართველებთან ემიგრაციის პირველ წლებში. ბოლშევიკური გადატრიალების გამო 1918 წელს რუსეთის ტერიტორია 3 მილიონმა ადამიანმა დატოვა. ერთა ლიგის წინაშე მწვავედ დადგა ლტოლვილთა საკითხი, მაგრამ ჩვენ ქართველთა ბედი გვაინტერესებს. მათ შორის უმუშევრობა მთავარ პრობლემად რჩებოდა (წერს რ. დაუშვილი), რადგან ეს საქმე, რომ დახმარებოდნენ სტამბოლში მყოფ 400 ქართველს, „ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკელმა კომიტეტმა“ და „შრომის საერთაშორისო ბიურომ“ ითავეს და 1921 წელს აღმოდებული სტამბოლიდან, რომელიც სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, მოხდა ლტოლვილების ევროპაში გაყვანა. თუმცა სტამბოლშიც და თურქეთის სხვა ქალაქებშიც ლტოლვილები მრავლად დარჩნენ. რუსუდან დაუშვილი გვიამბობს, რომ სტამბოლში ჩასული 69 იუნკერიდან 14 სამშობლოში დაბრუნდა. 5 იუნკერი საფრანგეთის სან მიქსენის, 20 საბერძნეთის, 30 პოლონეთის სამხედრო სკოლებში გაიგზავნა.

საოკუპაციო რეჟიმის დამყარების გამო საქართველოში ვერ ბრუნდებოდნენ დიპლომატები და საელჩოების თანამშრომლები, მეცნიერები და სხვა მრავალი ადამიანი. სტამბოლში გადავიდნენ 1924 წლის აჯანყებისას დამარცხებული ქართველები, შევიცულთა ჯგუფიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

ქართველები სტამბოლში ჩასვლის შემდეგ იღებდნენ ვიზებს, შემდეგ კი იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამ ხალხს ევროპაში აგზავნიდა.

ესე იგი, პირველი თავშესაფარი სამშობლოდატოვებული ქართველებისთვის სტამბოლი და თურქეთი იყო.

შემდგომ ფურცლებზე რუსუდან დაუშვილი განაგრძობს სტამბოლიდან გასული ლტოლვილების ბედზე საუბარს. გვიყვება, რომ მათი ერთი ნაწილი საბერძნეთში შეიფარა. ადრეც ვწერდით, რომ 20 იუნკერი ათენის სამხედრო სკოლამ მიიღო, ხოლო თურქეთში დარჩენილ ქართველთა ნაწილი თურქეთის მთავრობამ სსრკ-ს ზეწოლით, 1936 წლის რუსულ ემიგრაციასთან ერთად საბერძნეთის კუნძულ სირაზე გადაასახლა. რუსუდან დაუშვილი დაწვრილებით განიხილავს საქართველოს საელჩოებს, რომლებიც გაიხსნა სხვადასხვა ქვეყნებში 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. საელჩოები გაიხსნა: საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, რუსეთში, არგენტინაში, მანჯურიაში და, რაც მთავარია, თურქეთში. სტამბოლში მთავრობის რწმუნებული იყო კონსტანტინე გვარჯალაძე, ელჩი – სიმონ მდივანი, კონსული – იოსებ გოგოლაშვილი.

ხშირად იხსენიებს თურქეთს და სტამბოლს გურამ შარაძე თავის ნაშრომებში. თითოეული ქართველის ემიგრანტული ცხოვრების ერთი ეპიზოდი მაინც მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ქვეყანასთან თუ ამ ქალაქთან, სანამ ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დასახლდებიან, სადაც მათ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ჩამოყალიბებული ქართული წარმომადგენლობები და საკონსულოები დახვდათ, რომლებმაც ლტოლვილთა მიღებასა და ელემენტარული პირობების შექმნაზე იზრუნეს.

რუსუდან დაუშვილი წერს იმ უმძიმეს სიტუაციაზე, რომელიც შეექმნა სტამბოლში საქართველოს რწმუნებულ კონსტანტინე გვარჯალაძეს, როდესაც სტამბოლში დიპლომატიური კორპუსი საერთოდ არ არსებობდა. გამარჯვებული ქვეყნების მიერ ოკუპირებულ სტამბოლში კი, ყველა საქმეებს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის უმაღლესი კომისრები განაგებდნენ. ამ პირობებში კ. გვარჯალაძეს „მუდმივი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა კომისრებთან, რათა მათი საშუალებით ხმა იმ ქვეყნებისთვის მთავრობებისთვის მიეწვინა“ [2. გვ. 39]. ამავე დროს მას თვალყური საქართველოში მიმდინარე ამბებისთვისაც უნდა მიედევნებინა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ოკუპაციის შემდეგ ყველაზე მეტი ლტოლვილი თურქეთს და სტამბოლს მიაწყდა. აქედან ისინი, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო, გადავიდნენ პარიზსა და სხვა ქვეყნებში, თუმცა საკონსულო სტამბოლში, იოსებ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით, კიდევ დიდხანს მოქმედებდაო, – წერს რუსუდან დაუშვილი.

დებულება, რომ ისტორიულად ქართველი ერი მიჩნეული იყო ერად, რომელსაც არ უყვარს სხვათა ქვეყანაში გადასახლება, ანუ მიგრირება, მართებულია საბჭოთა პერიოდისათვის, როდესაც არა მხოლოდ ქართველ, არამედ სხვა ერებსაც უჭირდათ ფარდის მიღმა გასვლა. ემიგრანტმა ქართველებმა კარგად იცოდნენ ნოსტალგიით შეპყრობილ, სამშობლოში დაბრუნებულ ქართველთა ბედი - დახვრეტა ან ციხეებსა და ბანაკებში მოხვედრა, სადაც ტანჯვა-წამებაში დალიეს სული.

ლიტერატურა:

1. ნიშნიანიძე რ., საქართველო - სამანს აქეთ... და სამანს იქით..., წიგნი 1, თბ., 2005.
2. დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.
3. შარაძე გ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3, თბ., 2003.
4. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბ., 1991.

TURKEY AND ISTANBUL IN THE RESEARCHERS' WORKS ON THE GEORGIAN EMIGRANT LITERATURE

Marine Tsertsvadze, Gori State Teaching University, Professor
RESUME

Turkey – this strong state, which arose after declining Constantinople in 1453, and finally terminated the Byzantium Empire, used to influence on the politics and economics of Georgia through years. After Russia occupied Georgia, many tragic accidents happened, “Samani” was created. The Georgians went to different countries and they were named as Georgian emigrants; the road to those countries was via Turkey. After the occupation the most part of the refugees went to Turkey and Istanbul. From here they moved to Paris and other countries due to the political situation, though, the Consulate in Istanbul led by Ioseb Gogolashvili used to work for a long time.

საქართველო-თურქეთის თანამედროვე ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი ასპექტი

ოთარ ჯანელიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველომ კიდევ ერთხელ მოიპოვა თავისუფლება და სუვერენობა აღიდგინა. თურქეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან და ცნო მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

1992 წლის ივლისში სუვერენულ საქართველოს პირველად ესტუმრა თურქეთის ოფიციალური სამთავრობო დელეგაცია პრემიერ-მინისტრის (შემდეგში პრეზიდენტის), სულეიმან დემირელის ხელმძღვანელობით. გაფორმდა სრულმასშტაბიანი ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ. ხელი მოეწერა შეთანხმებათა მთელი პაკეტი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურის, ინფორმაციის, ტურიზმისა და სხვა დარგებში. განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები. წარმოების აღორძინებისა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით თურქეთის მთავრობამ საქართველოს გრძელვადიანი კრედიტი გამოუყო.

აქედან მოყოლებული, თურქეთი საქართველოს აღიქვამს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს და მისი დემოკრატიული განვითარება კავკასიის „მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის რეგიონად“ გადაქცევის წინაპირობად მიაჩნია. თურქეთ-საქართველოს დაწყებული თანამშრომლობა კიდევ უფრო განამტკიცა ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენის მშენებლობამ, ტრასეკას პროექტში, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასა (BSEC) და სხვ. ორივე სახელმწიფოს მონაწილეობამ.

„თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა სრულიად ახალ საფუძველზე აიგო. „სულ რამდენიმე წელიწადში გავიარეთ გზა, რომელსაც ხშირად ათეული წელი სჭირდება“, - განაცხადა ე. შევარდნაძემ, რომელმაც თურქეთს „საქართველოს მეგობარი ქვეყანა“ უწოდა, ხოლო ს. დემირელმა აღნიშნა, რომ „ქართველები თურქების ძმები არიან“.

საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფო მეთაურები, მთავრობის წევრები პერიოდულად ცვლიდნენ და ცვლიან ოფიციალურ და საქმიან ვიზიტებს.

საქართველოს პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემდგომაც ორი ქვეყნის ურთიერთობა პროგრესულად ვითარდებოდა. სააკაშვილის ვიზიტისას თურქეთის რესპუბლიკაში დასახა მეგობარ ქვეყნებს შორის თანასწორუფლებიანი საქმიანი კონტაქტების ახალი გზები, განსაკუთრებით, სამხედრო მომზადების, უმაღლესი განათლების, ბიზნესისა და სხვა სფეროებში.

მნიშვნელოვანი იყო ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის ჯერ გამარტივება, ხოლო 2006 წლის თებერვლიდან საერთოდ გაუქმება. 2011 წელს მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, საზღვარი მხოლოდ პირადობის მოწმობების საშუალებით გადაკვეთონ. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გააადვილა მიმოსვლა და გაზარდა ტურისტთა რიცხვი როგორც ერთ, ისე მეორე სახელმწიფოში. საექსპერტო მონაცემებით, საქართველოდან თურქეთში ერთი მილიონ 170 ათასი კაცი გავიდა, ხოლო თურქეთიდან საქართველოს ერთი მილიონ 160

ათასი ადამიანი ესტუმრა (1). ამ მხრივ ახალ პერსპექტივას ქმნის ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი, რომელიც მოკლე დროში დასრულდება. იგი მგზავრების გადაყვანის გარდა ტვირთების გადაზიდვასაც მოემსახურება.

თანმიმდევრულად და აღმავლობით ვითარდება საქართველო-თურქეთის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები. 2008 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა წინა წელს ორ ქვეყანას შორის დადებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, თურქეთი საქართველოსთვის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი გახდა. იზრდება თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა, რომელთა შორის ძირითადია სამშენებლო მასალები, შემდეგ მოდის ქაღალდის ნაწარმი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა.

საქართველოში აქტიურ ინვესტიციებს ახორციელებენ აქ მოქმედი თურქული ფირმები და კომპანიები, რომელთა რიცხვი ოთხასს აღემატება. მათ შორის განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევა ფიჭური კავშირგაბმულობის უმსხვილესი კომპანია „ჯეოსელი“. იგი საქართველოში 1996 წლიდან ფუნქციონირებს და მომხმარებელს მსოფლიო კლასის მომსახურებას სთავაზობს. „ჯეოსელის“ დაფარვის ზონა ქვეყნის დასახლებული ტერიტორიის 98%-ს მოიცავს, ხოლო კომპანია ორ მილიონამდე აბონენტს ემსახურება. საკმაოდ მაღალია „ჯეოსელის“ მემკვიდრით მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა ოდენობაც (33%). 2011 წლის მონაცემებით, „ჯეოსელის“ წილი ბაზარზე სამომხმარებლო სეგმენტში 44,3%-ს, კორპორაციულ სეგმენტში კი 52,5%-ს შეადგენდა (2). გაზეთ „ჯორჯიან თაიმსმა“ და საერთაშორისო კვლევითმა ორგანიზაციამ „გორბიმ“ „ჯეოსელი“ სამჯერ დაასახელეს წლის საუკეთესო ბიზნეს-კომპანიად საქართველოში. კომპანიას დიდი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა გენერალური მენეჯერი, თურქეთის მოქალაქე ოსმან თურანი, რომელიც ასევე არაერთხელ გახდა წლის საუკეთესო ბიზნესმენის ტიტულის მფლობელი.

თავისი ძირითადი საქმიანობის - სატელეფონო ქსელისა და სატელეკომუნიკაციო სერვისის უზრუნველყოფის - პარალელურად, „ჯეოსელი“ ფართო მეცენატობასაც ეწევა, აწყობს საქველმოქმედო აქციებს, ხელს უწყობს ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციას და სხვ. (3).

„ჯეოსელის“ მოღვაწეობის მასშტაბურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კომპანიამ დაარსებიდან დღემდე საქართველოს ეკონომიკაში 420 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა და შექმნა რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილი.

„საქსტატის“ ინფორმაციით, თურქეთი ინვესტიციების თვალსაზრისით, სადღეისოდ მეექვსე უმსხვილესი პარტნიორია ჩვენი ქვეყნისათვის (მას უსწრებენ დანია, აზერბაიჯანი, ნიდერლანდები და სხვ.), რომელმაც 40 მილიონამდე აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. სავაჭრო ბრუნვამ ჩვენს ქვეყნებს შორის 2012 წელს 1.5 მილიარდზე მეტი შეადგინა. ამას თურქეთთან ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სიახლოვის გარდა განაპირობებს საქართველოში არსებული მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, ეკონომიკის ლიბერალური რეჟიმი, ბიზნესის დაწყების სიმარტივე და სხვ.

ინვესტიციების მხრივ პირველ ადგილზე დგას ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, შემდეგ კი ენერჯეტიკის სექტორი. მაგალითად, 2004 წელს გაიხსნა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალი, რომელიც თურქული კომპანია TAV-Urban-ის ინვესტიციით აშენდა. თურქული „ტავ აეროპორტების ჰოლდინგის“ ინვესტიციებით აიგო და 2007 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიც. ამავე ჰოლდინგმა, აეროპორტის სამგზავრო ტერმინალის გარდა, ააშენა ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი და აეროდრომიც. დღეისათვის „ტავ აეროპორტების ჰოლდინგი“ ახორციელებს როგორც თბილისის, ისე ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერირებას. საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის გაფორმებულია შეთანხმება ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს თურქული ინვესტიციების დიდი ნაწილი ხმარდება უძრავი ქონების შეძენას, განსაკუთრებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

კავკასიის რეგიონი თურქეთის ერთ-ერთ მთავარ საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტადაა მიჩნეული. ცნობილია თურქეთის რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ინიციატივები კავკასიაში ვითარების დარეგულირების, სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. მათგან აღსანიშნავია: 1. 2000 წელს პრეზიდენტ სულეიმან დემირელის მიერ გახმოვანებული „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“ და 2. 2008 წელს პრემიერ ერდოღანის მხრიდან წამოყენებული „კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის კლატფორმა“.

საგულისხმოა, რომ 2002 წლის იანვარში ანკარაში გაფორმდა სამხრეთი შეთანხმება აზერბაიჯანს, თურქეთსა და საქართველოს შორის რეგიონული უსაფრთხოების შესახებ. უსაფრთხოების ზემოაღნიშნული მოდელები ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთი რეგიონულ აქტორად გვევლინება და აქტიურად ცდილობს საკუთარი გავლენის დემონსტრირებას სამხრეთ კავკასიაში.

ამის მიუხედავად, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი თუ ექსპერტი ძლიერ და ეკონომიკურად განვითარებულ თურქეთის რესპუბლიკას სამხრეთ კავკასიის მდგრადი, ყოვლისმომცველი განვითარების, უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტიად განიხილავს (17). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც აღნიშნულია, რომ თურქეთი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა და რეგიონის ერთ-ერთი ლიდერი, არის საქართველოს წამყვანი რეგიონული, ყველაზე დიდი სავაჭრო-ეკონომიკური და მნიშვნელოვანი სამხედრო პარტნიორი (4).

თურქეთისა და კავკასიის საკითხების ექსპერტ მაიკლ რეინოლდის სიტყვით, კავკასია თურქეთისათვის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ბუფერის როლს ასრულებს რუსეთის წინააღმდეგ (5).

თურქეთის კავკასიურ სტრატეგიაში სოლიდური ადგილი საქართველოს აქვს მიკუთვნებული. საქართველო თურქეთისათვის საიმედო პარტნიორს წარმოადგენს. საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ თურქეთის პრემიერის რეჯებ ტაიპ ერდოღანის განცხადება, რომელიც მან 2013 წლის 15 თებერვალს თავის ქართველ კოლეგა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ ანკარაში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა: ერდოღანის თქმით, „ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ ურთიერთობა, რომელიც არსებობს საქართველოსა და თურქეთს შორის, იყოს სამაგალითო სხვა მეზობელი ქვეყნებისთვის“ (6).

ასეთივე იყო საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის აზრიც. მისი სიტყვით: „ბევრ ლიდერთან მქონია ძალიან კარგი ურთიერთობა, საქართველო ბევრ ქვეყანასთან თანამშრომლობს, მაგრამ მთელი ევროპისა და რეგიონისთვის მაგალითია თურქეთისა და საქართველოს თანამშრომლობა. ...არასდროს მსმენია, კონკრეტული საკითხები ამდენად სწრაფად გადაეწყვიტოს ვინმეს და ამდენად ეფექტიანად თანამშრომლობდეს ორი ქვეყნის მთავრობები, როგორც ეს თურქეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის ხდება“ (7). „საქართველო-თურქეთს შორის არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობა სამაგალითოა“, – ადასტურებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძეც (8).

საქართველოსა და თურქეთს შორის მუდმივად წარმოებს პოლიტიკური დიალოგი, რაც მეტად ფასეულია რეგიონული მშვიდობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ სტაბილურობამ პოლიტიკურ ურთიერთობაში ასახვა ჰპოვა საქართველოსა და თურქეთს შორის სამხედრო-სტრატეგიულ თანამშრომლობაზეც. სამხედრო სფერო ამ სახელმწიფოთა ორმხრივი თანამშრომლობის ერთ-ერთი მკაფიოდ გამოკვეთილი და დინამიურად განვითარებადი სფეროა.

1999 წლის 4 მარტს თურქეთსა და საქართველოს შორის სამხედრო დახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. დოკუმენტი საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის 5 წლის განმავლობაში ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, ასევე ქართველი ოფიცრების თურქეთში მომზადებას ითვალისწინებდა. რამდენიმე თვის შემდეგ ხელი მოეწერა შეთანხმებას ერთობლივი სამხედრო წვრთნების შესახებაც. 2000 წლის მარტში საქართველოში ვიზიტით მყოფმა თურქეთის თავდაცვის მინისტრმა საბაჰატინ ჩაქმაქოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთი საქართველოს დაეხმარება, თავისი ჯარი ნატოს სტანდარტების შესაბამისად მოაწიყოს.

თურქეთის მთავრობამ დანაპირები შეასრულა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2001 წლის ოქტომბერში აშშ-სა და თურქეთისაგან საჩუქრის სახით მიიღო რვა ვერტმფრენი, რომლებიც მოხილური სახმელეთო ჯარების ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება.

მართალია, აშშ-სთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის გაღრმავებისა და საქართველოში ამერიკელი სამხედრო ექსპერტების გამოჩენის შემდეგ საქართველო-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობა რამდენადმე შესუსტდა, მაგრამ გაიზარდა დახმარების მოცულობა. თურქეთის სამხედრო სასწავლებლებში სხვადასხვა კურსი 1500-მდე ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა. თურქეთმა თავისი წვლილი შეიტანა ასევე ეროვნული თავდაცვის აკადემიის მოდერნიზაციასა და საწვრთნელი შესაძლებლობების განვითარებაშიც.

თურქეთ-საქართველოს სამხედრო ურთიერთობა ამჟამად თანამშრომლობის ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ, სამხედრო განათლებას, ლოგისტიკურ, სამხედრო-ტექნიკურსა და სხვა სფეროებს.

არცთუ დიდი ხნის წინ, კერძოდ, 2013 წლის ზაფხულში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია სტამბოლში, მე-11 საერთაშორისო თავდაცვის მრეწველობის გამოფენის ფარგლებში, შეხვდა თავის თურქ კოლეგას ისმეთ ილმაზს. ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა თურქეთსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს. გარდა ამისა, შეხვედრაზე საუბარი საერთაშორისო მისიებში მონაწილეობას და საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხებს შეეხო. მხარეებმა საქართველოსა და თურქეთის სამხედრო-საგანმანათლებლო სასწავლებლების განათლების სისტემის შესახებაც ისაუბრეს და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს (9).

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში თურქეთსა და საქართველოში რამდენჯერმე შეიცვალა ხელისუფლება და მმართველი პოლიტიკური ძალა. თურქეთში სულიემან დემირელის (1991-

1993) შემდგომ პრემიერ-მინისტრები იყვნენ: თანსუ ჩილერი (1993-1996), მესუტ ილმაზი (1996), ნეჯმეტინ ერბაკანი (1996-1997), მესუტ ილმაზი (1997-1999), მუსტაფა ბიულენტ ეჯევითი (1999-2002), აბდულა გიული (2002-2003) და რეჯებ ტაიპ ერდოღანი (2003 წლიდან - დღემდე). პრეზიდენტის პოსტი ეკავათ: თურქეთ ოზალს (1989-1993), სულიმან დემირელს (1993-2000), ახმეტ ნეჯეტ სეზერს (2000-2007) და აბდულა გიულის (2007 წლიდან - დღემდე).

საქართველოში „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1992 წელს ედუარდ შევარდნაძემ და „მოქალაქეთა კავშირმა“, 2003 წელს მიხეილ სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ხოლო 2012 წლის ოქტომბრიდან პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალეს. ამ ცვლილებებს საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობაში რაიმე რყევები არ გამოუწვევია. ხელისუფალთა ცვლილების მიუხედავად, ორი ქვეყნის ურთიერთობა მყარად ვითარდება, ღრმავდება და ფართოვდება. დიდად საგულისხმოა თურქეთის რესპუბლიკის შეუქცევადი თანადგომა საქართველოსათვის მის საგარეო-პოლიტიკურ არჩევანში.

მას შემდეგ, რაც საქართველომ განვითარების დასავლური კურსი აირჩია და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილი გამოხატა, თურქეთი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, ნატოში საქართველოს მიღების აქტიურ მომხრედ ითვლება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ქართველი ექსპერტი იმ აზრისაა, რომ თურქეთი არ დაუჭერს მხარს საქართველოს შესვლას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (10).

ოფიციალურმა ანკარამ თავისი პოზიცია კიდევ ერთხელ 2013 წლის 19 აგვისტოს გამოხატა, როდესაც საქართველოს ახლად დანიშნულმა ელჩმა თურქეთის რესპუბლიკაში ირაკლი კოპლატაძემ რწმუნებათა სიგელი გადასცა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს აბდულა გიულის. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას და წარმატებები უსურვავს ახალ ელჩს მომავალ საქმიანობაში (11).

წარმატებით მიმდინარეობს თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სფეროში საქართველოსა და თურქეთის უნივერსიტეტებს შორის. საქართველოში ხორციელდება თურქული საგანმანათლებლო პროგრამები. მაგალითად, შპს „ჩაღლარის“ თაოსნობით გახსნილია თურქული სასწავლო დაწესებულებები: თბილისში დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; ქალაქ ბათუმში რ. შაჰინის სახელობის საერთო მეგობრობის ლიცეუმი და დემირელის სახელობის დაწესებულებები სკოლა, ქალაქ ქუთაისში კი ენის შემსწავლელი ცენტრი.

თურქეთში მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორაა, რაც, როგორც საქართველოში, ისე თურქეთში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის საიმედო ხიდად აღიქმება. ბოლო დროს თურქეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საჯარო სკოლებში მათთვის სასურველი ენის შესწავლის საშუალებას მისცემს. დიდად საგულისხმოა, რომ ამჟამად განხილვის პროცესშია თურქეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღების საკითხი.

როგორც დავინახეთ, თანამედროვე ეტაპზე საქართველოსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური და მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ამ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებაში პრობლემები აღარც არსებობს. ამ თვალსაზრისის დამკვიდრებას ემსახურება თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ამჟამინდელი მინისტრის აჰმეთ დავით ოღლუს წიგნი „სტრატეგიული სიღრმე - თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა“.

დავით ოღლუს თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის „ინტელექტუალურ არქიტექტორად“ არის მიჩნეული (12). ამასთან, ცნობილია ისიც, რომ თურქეთის ხელისუფლების სათავეში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) მოსვლის შემდეგ (2002 წ.), ანკარის ოფიციალურ პოლიტიკაში პრიორიტეტების გადაფასება და რეისლამიზაცია შეიმჩნევა. ამიტომ დავით ოღლუს იდეურ ნააზრევს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

წიგნის ავტორის სიტყვით, „თეორიულად მაინც არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისთვის, რომ თურქეთს მეზობელ ქვეყნებთან ჰქონდეს რაიმე გადაუწყვეტი პრობლემები“. მაგრამ ერთია თეორია და მეორეა პრაქტიკა ანუ ცოცხალი რეალობა, რომელიც აღსავსეა წინააღმდეგობებით, რისკებით, საფრთხეებითა თუ სხვა გამოწვევებით.

მაგალითად, იმავე დავით ოღლუს წიგნში ჩამოყალიბებული ნეოსმანიზმის მსოფლმხედველობა, რომელიც თანამედროვე თურქეთის იდეოლოგიურ დოქტრინადაა აღიარებული, აცხადებს, რომ თურქეთის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში განპირობებულია მისი მდიდარი ისტორიითა და ხელსაყრელი მდგომარეობით და, რომ „თურქეთმა უნდა აღიდგინოს გავლენა ყოფილ ოსმალურ სამყაროზე“. ამ განცხადებას საფუძვლად უდევს პრინციპი: „ყველაფერი, რაც ხდება თუნდაც ათასი კილომეტრის მოშორებით, გვაღელვებს ჩვენ“.

კარგადაა ცნობილი, რომ თურქეთი ესწრაფვის გახდეს არა მხოლოდ ძირითადი რეგიონული, არამედ გლობალური აქტორი. დავით ოღლუს აზრით, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ოსმალეთის იმპერიის წარსულს. ისტორიულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით თურქეთს შეუძლია წამყვანი როლი ითამაშოს არა როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფლანგის ქვეყანამ, არამედ როგორც თურქული ცივილიზაციის საყრდენმა ძალამ (13).

ზოგიერთი ექსპერტი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ნეოსმანიზმი პანთურქიზმისა და პანისლამიზმის აღორძინების ნიშნებს შეიცავს, მაგრამ, მათივე აზრით, ამ იდეოლოგიის ახალი ვერსია თავისუფალია ძველი იმპერიული და ინტერვენციონისტული ბუნებისგან და იგი მხოლოდ კულტურულ და ეკონომიკურ მოტივებს ეყრდნობა (14). მართალია, ტერმინ ნეოსმანიზმს მისი იმპერიალისტური ობერტონების გამო თითქოს არ ეძლევა ფართო მნიშვნელობა (15), თუმცა კონცეფცია უკვე გაცხადებულია და გარკვეულწილად მოქმედებს კიდევ.

რუსი პოლიტოლოგის, დუგინის სიტყვით, ნეოსმანიზმი თითქოს განუხორციელებელი, ილუზორული და თურქეთისათვის ჩიხური გზაა (16), მაგრამ ეს იდეოლოგია ნამდვილად მუშაობს და იგი არაერთი თურქულენოვანი პუბლიკაციითაც დასტურდება.

სრულიადაც არ არის ყურადღების გარეშე დასატოვებელი ის გარემოება, რომ არაერთი თურქი ექსპერტი ოსმალური სამყაროს ნაწილად მიიჩნევს საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კუთხეს – აჭარასა და ქალაქ ბათუმს.

თურქეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობას ჩრდილს ჰყენს ისიც, რომ ამგვარი შეხედულებები გატარებულია ზოგიერთი თურქი ისტორიკოსის სამეცნიერო ნაშრომებსა და ისტორიის სახელმძღვანელოებში.

არსებობს რიგი სხვა სენსიტური საკითხიც. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის, უნიკალური ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციისა და დაცვის საკითხი. ცნობილია, რომ 2009 წლის ბოლოს შემუშავდა შეთანხმების პროექტი ამ ძეგლების აღდგენის შესახებ. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ოშკის, ხანძთის, იშხნის და ოთხთას რეაბილიტაციის სანაცვლოდ საქართველოში სამი მეჩეთი უნდა აღდგეს, ხოლო ბათუმში ხელახლა აშენდეს აზიზიეს მეჩეთი. ქართული მხარის ვალდებულებას, განსაკუთრებით ბათუმში მეჩეთის აგებასთან დაკავშირებით, საქართველოში გარკვეული ვნებათაღელვა მოყვა. საქართველოს მაჰმადიან მოსახლეობაზე რელიგიური გავლენის გაძლიერებად აღიქმება თურქეთის სასულიერო სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდების მიზიდვის პოლიტიკა, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება ახორციელებს. ამგვარი საკითხები მეტად ფრთხილ და ფაქიზ მიდგომებს საჭიროებს, რადგან ისინი შესაძლოა, გარე ძალებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გართულების საბაზად გამოიყენონ, ეს კი არც ერთი და არც მეორე მხარის ინტერესებს არ პასუხობს.

დამოწმებანი:

1. <http://www.radiotavisupleba.ge/content/georgia-turkey-trade-economics-cooperation/24681244.html>
2. <http://netgazeti.ge/GE/96/business/8721/>
3. <http://www.geocell.ge/ge/about/>
4. http://mfa.gov.ge/?sec_id=12&lang_id=GEO
5. <http://24saati.ge/index.php/category/news/world/2012-10-03/32411.html>
6. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/16935/>
7. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=22723>
8. <http://news.ge/ge/news/story/50094-fanjikidze-saqartvelo-turqetis-ketilmeczobluri-urtiertoba-samagalitoba>
9. <http://pirweli.com.ge/?menuid=10&id=32720>
10. <http://sana.ge/address/news/cat/4/id/237108/გოგი+ხუციშვილი%3A+%22თურქეთი+საქართველოს+ნატო-ში+შესვლას+ხელს+არ+შეუწყობს%22>
11. http://turkey.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=293&info_id=1403
12. Martina warning and Tuncey Kardas, The Impact of Changing Islamic Identity on Turkey's New Foreign Policy. <http://web.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=3&sid=edd7325f-2267-4d1d-a52c-170e7fa4958a%40sessionmgr111&hid=121>
13. კომახია მ., თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთი კავკასია <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d->
14. Dietrich Jung and Wolfgang Piccoli., "Pan-Turkist Dreams and Post-Soviet Realities: The Turkish Republic and the Turkish States in the 1990s, in website, www.akademiskopgavbank.dk/ogaver/IP-svnopsis_samlet.pdf

15. Luka Glušac, Neosmanizami Zapadni Balkan. http://balkanskicentarzabliskiistok.com/?en_luka-glusac-neosmanizam-i-zapadni-balkan,57
16. <http://kavpolit.com/neoosmanskaya-illyuziya-turcii/>
17. ქართული ნარატივი მსოფლიოსათვის, გაზ. „რეზონანსი“ – „მთელი კვირა“, 2010 წ., 20 დეკემბერი.

CERTAIN ASPECTS OF MODERN GEORGIAN-TURKISH RELATIONS

Otar Janeldze, Gori State Teaching University, Doctor

SUMMARY

Turkey was one of the first countries, which built diplomatic relations with the newly restored Georgian State in 1992 and recognized its independence.

Turkey perceives Georgia as a strategic partner and supports its integration in European and Euro-Atlantic structures. For Georgia Turkey is the the biggest in the region trading and economical country and the most important military partner.

In the article on the bases of specific cases there are discussed such spheres of relations between the neighboring states like free trade, education, investment policy, military cooperation etc. It is noted, that Turkish mobile cellular communications company “Geocell” which functions in Georgia from 1996, has made 420 million USD investments in Georgian economics and created several thousands of jobs.

According to the amount of Turkish investments in Georgia first place is taken by transportation and communications, next comes energy sector. Main part of imported from Turkey production is building materials, paper ware, home appliances etc.

Between the countries there takes place a successful cooperation in military, education and scientific the spheres. About 1500 Georgians militaries took courses at Turkish military schools. Universities of Georgia and Turkey have important contacts with each other etc.

In the article there is expressed a concern that in some textbooks and works by Turkish historians Adjara and City of Batumi are considered a part of Ottoman world.

ფოტოგალერეა კონფერენციიდან
Photogallery from the conference







